

# მუხნიერება & ტექნიკა



**19-სექტორულს სსრ მუხნიერებათა კვლევის-55**

# საკაზიო საბრძოლო აპოზანა

პროფესორი რაჰიმი აბდამძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის მომდევნო დადგენილებათა განხორციელების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში თვალსაჩინო მიღწევებია მოახვედრული.

მიმე ინდუსტრიის განუწყვეტლივ გაფართოებისა და განმტკიცების საფუძველზე განუხრელად ვითარდება მსუბუქი მრეწველობა, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგები, ვითარდება ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

1954 წლის მანძილზე სოციალისტურმა მრეწველობამ სოფლის მეურნეობას მისცა საერთო დანიშნულების 137.000 ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაანგარიშებით, 46.000 სათოხნი ტრაქტორი, 37.000 მარცვლეულის კომბაინი და მრავალი ათასი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურდვევი კავშირის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტიც არ იყო, რომ საბჭოთა ინდუსტრიის მიერ 1954 წელს სოფლის მეურნეობისათვის მიღწერი თანამედროვე ტექნიკის წარმოების გადიდებასთან ერთად, ათასობით საწარმო და დეწესებულებამ კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები გაზავანა ყამირი და ნასყენი მიწების ასათვისებლად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად. ამით არის გამოწვეული, რომ ახლა, როგორც წესი, მტკუნების დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად და სახელოსნოების გამგებებად უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები მუშაობენ. ამ სადგურების შტაბში მუდმივ მუშებად ჩარიცხულია ორ მილიონამდე ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანის მემანქანე და სხვა მუშაკი, ხოლო კოლმეურნეობებში, უშუალოდ წარმოებაში, უკვე 120.000-მდე აგრონომი და ზოოტექნიკოსი მუშაობს. მრავალი ათასი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

ყოველივე ეს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნასთან ერთად ქმნის შესაძლებლობას, რომ სრულად განხორციელდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიითთება სპეციალისტების მორგანიზებული როლის გაძლიერების შესახებ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობაში.

სპეციალისტთა ამ კადრის წინაშე, ისე როგორც სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა საბჭოთა აღმზაინს წინაშე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მეტად პასუხსაგები, თანაც საპატიო ამოცანა დააყენა:

მარცვლეული მეურნეობის განვითარება იმ ოდენობით, რომელიც 1960 წლისათვის მარცვლეულის საერთო მოსავალს ჩვენს ქვეყანაში უზარუნველყოფს, სულ ცოტა, 10 მილიარდი ფუტის რაოდენობით წელიწადში, ვინაიდან, როგორც სათანადო გამოანგარიშება ცხადყოფს, ეს რაოდენობა საჭირო მარცვლეულზე ჩვენი ქვეყნის მიით მოთხოვნილება დასაკმაყოფილებლად; მით უმეტე, რომ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადილების ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ მოხდა შემდგომი მკვეთრი აღმავლობა მარცვლეულის მეურნეობისა, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია.

ამასთან ერთად კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამოცანად წამოაყენეს უახლოესი წლების განმავლობაში მეცხოველეობის განვითარების ისეთი ღონის მიღწევა, რომელიც შესაძლებელს გახდის საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობისა და ნედლეულზე მრეწველობის მოითხოვნილების დაკმაყოფილების უზარუნველყოფას. ამ მიზნით საჭიროა, რომ უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მეცხოველეობის მთავარი პროდუქტების წარმოება ერთიორად და მეტად გადიდდეს. ციფრით განსახტებულად ეს დავალება იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, რძის წარმოების ღონე 1960 წლისათვის მილიონად ჩვენს ქვეყანაში უნდა მიაღწიოს საშუალოდ ერთ

1069



ფურცე კოლმეურნიანობა სულ ცოტა 1.700 კილოგრამამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 3.10 კილოგრამამდე, მატყლის საშუალო ნაპარსი ერთ ცხვარზე კოლმეურნეობებში უნდა გადიდდეს, სულ ცოტა 3,0 კილოგრამამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 4,2 კილოგრამამდე.

მეცხოველეობის სწრაფი განვითარების ამოცანის განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვების საკმაო რაოდენობით, რაც ამჟამად არსებული საკვები ბაზის ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ამოცანად დასახა, რომ 1960 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების წარმოება გადიდდეს: კონცენტრირებული საკვების — სულ ცოტა 65 მილიონ ტონამდე ანუ ხუთჯერ და უფრო მეტად, ვიდრე 1953 წელს; სილოსისა — სულ ცოტა 176 მილიონ ტონამდე ანუ ხუთნახევარჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს; ძირხვენებისა და საკვები ბალნეულისა — სულ ცოტა 38 მილიონ ტონამდე ანუ ოთხჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს; კარტოფილისა — სულ ცოტა 25 მილიონ ტონამდე ანუ ხუთჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს და უხეში საკვებისა — 178 მილიონ ტონამდე ანუ ერთნახევარჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს.

საკვებით პირველ რიგში საზოგადოებრივი პირობების საცესებით უზრუნველყოფასთან ერთად მითითებულია ისიც, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების ღონისძიებათა შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე იმ უხეში და წვნიანი საკვების საჭიროება, რაც შრომადღებზე უნდა მიეცეთ კოლმეურნეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ პირუტყვი.

საკვები ბაზის შექმნაში კოლმეურნეთა დანტერესების გამაძლიერებლად კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის გამაძლიერებელი ამ ღონისძიების გვერდით პლენუმმა კოლმეურნეობათა ინიციატივის გასაფართოებლად საჭიროდ სცნო, რომ კოლმეურნეობებმა თვითონ შეიმუშაონ ხოლმე საკვები კულტურების თესვის გეგმები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და მთელი ადგილობრივი რეზერვების გამოყენებით, თანაც ურჩია კოლმეურნეობებს მიიღონ ზომები საკვები ძირხვენების, საკვები ბოსტნეულის, საკვები ბახჩეულის, ხაჭკოლას, საკვები კარტოფილისა და სიმინდის ნაოხრების გასაფართოებლად.

ვინაიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ჯერ კიდევ არ არიან ჯეროვნად ჩამშენებული მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ დაინახა, რომ უახ-

ლოცეს ვადაში ისეთი მდგომარეობა იქნეს მიტყუილი, რომლის დროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მემინდვრეობაში შექმნილი მდგომარეობის შესავსად, გადაწყვეტი ძალა გახდება აგრეთვე სილოსის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში. პლენუმის დადგენილებაში ამ შინაარსით გათვალისწინებული სათანადო მუხლები იქითენ არის მიმართული, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო მექანიზაციის გზით გააღვიდდეს სოფლის მეურნეობის მუშაეთა შრომა, გადიდდეს ამ შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება; უკეთ მოეწყოს იმ ადამიანთა მუშაობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა ნაკლებად ნაყოფიერ ხელთ შრომას ეწევა და — მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად შრომის ფართო მექანიზაციისა და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესების მეშვეობით — შემცირდეს შრომისა და სახსრების ხარჯი პროდუქციის ერთეულზე, გადიდდეს შრომის საზოგადო.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად დიდდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. ამჟამად კოლმეურნეობებს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შესაძლებლობა აქვთ გამოიყონ სახსრები თვითონი წარმოების გასაფართოებლად, ექრძოდ, მშენებლობისათვის და საჭიროდ არის მიჩნეული კოლმეურნეობათა კაპიტალბანდებანი მოხმარდეს, უფინანსეს ყოვლისა, კოლმეურნეობათა მეურნეობის ამაღლებას, მამასადაც, საწარმოო სადგომების მშენებლობას, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობას.

\*  
\*  
\*

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისაკენ მიმართული ამ ღონისძიებების განხორციელება გადაუდებლად მოითხოვს ცალკეულ საკითხთა წყების ისეთნაირი მოწესრიგებას, რომლის პროცესში ყოველად აუცილებელია ხელიხელჩაკიდებული მუშაობა უშუალოდ წარმოებაში და სამეცნიერო-კულევით საქმიანობაში ჩამშენილი სპეციალისტებისა.

ამ გზით გადასაქრელი საკითხების ჯგუფს ეკუთვნის, თუ მხედველობაში ვიჭრინებთ, მაგალითად, რძისა და ძროხის ხორცის წარმოების გადიდების ამოცანას, ნახირში ფურების ხვედრითი წონის გადიდების საკითხი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სექტემბრის პლენუმმა და რაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მთავარ კვლავ აღნიშნა იანვრის პლენუმმა.

ეკვი არ არის, რომ იქ, სადაც, როგორც პლენუმის დადგენილება მიგვიითებებს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები ვეროვანად მოკიდებენ ხელს მეცხოველეობის განვითარების საქმეს და სწორად გამოიყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, სეროზული წარმატებებიც იქნება მიღწეული. საამისო მაგალითები უხვად მოიპოვება უკვე დღეს მრავალი მოკავშირე რესპუბლიკისა და ოლქის მეცხოველეობის პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, უკრაინის სსრ კოლმეურნეობებში ფურების სულადობა წლის მანძილზე 18 პროცენტით გაიზარდა, ბელარუსის სსრ რესპუბლიკაში — 24 პროცენტით, მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში — 33 პროცენტით, ომსკის ოლქში — 19 პროცენტით, ვორონეჟის ოლქში — 23 პროცენტით, ტამბოვის ოლქში — 23 პროცენტით და ა. შ.

საქართველოს მეცხოველეობაში ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ დღემდე ვერ კიდევ მეტად მცირეა ფურების ხედილი წონა მსხვილი რქოსანი პირუტყვის ნახარში, რამდენადაც მისი მაქსიმუმში მხოლოდ 21-24 პროცენტს შორის მერყეობს, ხოლო, მეორე მხრივ, ფურების ასაკობრივი და ჯიშური, საერთოდ ხარისხობრივი შემადგენლობა, მრავალ შემთხვევაში, ძირფესვიან გაუმჯობესებას საჭიროებს. მაშასადამე, საკითხი მხოლოდ იმის მოწესრიგებას კი არ უნდა შეეხოს, რომ ნახარის ვეროვანად დაეგმილი და შესრულებული ბრუნვით ბუნებრივად უზრუნველყოთ სულადობის ე. წ. გაფართოებული კვლევა წარმოება (რეპროდუქცია) ნახარში ფურების რიცხვის გასაძლიერებლად, არამედ ამასთან ერთად უზრუნველსაყოფა ფართო გადარჩევისა და რემონტის (ჩაყენების, შენახვების) შესაძლებლობაც. ეს საკითხი ვერ გადაიჭრება შედეგიანად და არც უნდა გადაიჭრას მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეორე საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით გათვალისწინების გარეშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმებმა დაგმო მეცხოველეობის დარგების დაგეგმვის ის პრაქტიკა, რომლის დროს არასაკმარისად ეწეოდა ანგარიში ცალკეული რაიონის ბუნებრივსა და ეკონომიურ პირობებს, მეურნეობის ადგილის ადგილობრივ, მრავალწლიან გამოცდილებას და გეგმის დაწესებისა თუ შესრულების შედეგების შეფასებისას მთავარ საზომად პირუტყვის რაოდენობა იყო გამოყენებული. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებში ამ გარემოებას უნდა ისიც დავართო, რომ სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი სახალხო მეურნეობის ინტერესებთან

შეფერდებით ჩვენი სოფლის მეურნეობის გარეგნული პირობები, ახალ ჩამოყალიბებული ან ისტორიულად არსებული, მაგრამ გაფართოებული მტკიცებულება და განახლებული მემცენარეობის მტკიცებულება და განვითარებას და ყველანაირი ვეროვანად ვერ შეუხამებს მეცხოველეობის დარგების განვითარების დაგეგმვა, უკუღებულყვეს პარტიისა და მთავრობის მიერ ამოწურავი სისრულით მოცემული მითითება სოფლის მეურნეობის დარგთა ორგანიზაციულად სწორი შეხამების აუცილებლობის შესახებ და ამან კიდევ უფრო მეტად გააღრმავა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის რაოდენობისა და მისი ეფექტიანი კვების რეალურ შესაძლებლობათა დისპროპორცია, რამაც აღიარებდა იმინა თავი ჩვენს მეცხოველეობაში.

წარსული მუშაობის ნაკლით გამოწვეული ამ მდგომარეობის გამოსწორების მნიშვნელოვან შესაძლებლობას ახლა იანვრის პლენუმის ის მითითება ქმნის, რომ მეცხოველეობაში გეგმების დაწესებასა და მათი შესრულების შედეგების შეფასებისას საფუძვლად მიჩნეული უნდა იყოს მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ოდენობა 100 პექტარ მიწის საავარჯულზე ხარცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების სპორით გათვალისწინებით. ეს აღარ ბოჭავს, როგორც აქამდე, ადგილობრივი ორგანოების, კოლმეურნეობების ინიციატივას და, პირიქით, მიზნად უსახავს მათ მიწის საავარჯულების უფრო ნაყოფიერად გამოყენებას.

სწორედ ეს გარემოება გვეაძლებულვებს მით უფრო მეტი სიზუსტით და ყურადღებით მოვეკიდოთ დამსული ამოცანის შედეგიანად გადაჭრას, რის ერთ-ერთი მტკიცე საწინდარი უნდა იყოს წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაობა თანამეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერება და წარმოების დასახმარებლად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამუშაო გეგმებში იმ საკითხების შეტანა, რომელთა ვეროვანი პრაქტიკული შემუშავება მეცნიერულად დასაბუთებული გარკვეული საფუძვლიდან უნდა გამოიღიადეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა დიდი მრავალფეროვანების პირობებში და ცალკეული დარგის დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის გამო საბჭოთა სახელმწიფოს ერთობლივი ეკონომიკისათვის, აგრეთვე საქართველოს მრეწველობის ცალკეულ დარგთა ფარგლისა და მიზნობრივი დანიშნულების პირობებში, ამა თუ იმ რაიონისა ან ერთი რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წამოწყების მეცხოველეობისათვის, ვიქნება, პროდუქტიული მიმართულების განსაზღვრა ან მეცხოველეობის სათანადო დარგთა სიდიდის დადგენა და სხვ. ვერ იქნება იმ ხასიათის საკითხი, რომლის გარეშე ვერ გადაჭრას შესაძლებელი იყოს რაიონის თუ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო წამოწყებისათვის

დამოუკიდებლად, მილიანად სახალხო მეურნეობი სათვის წინასწარ განსაზღვრული გარკვეული სახელმძღვანელო თვალსაზრისის გარეშე. მსგავსი საკითხები ყოველი სასოფლო-სამეურნეო წამოწყების, რაიონისა თუ რაიონთა ჯგუფისათვის უნდა გადაიჭრას სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგთა და კულტურების გადგეგმვისა, სპეციალიზაციისა და შეთანაწყობისათვის დადგენილი ერთიანი მეთოდოლოგიური და მეთოდური პრინციპების საფუძველზე. მაშასადამე, ისინი ვერ იქნებიან მხოლოდ იმპერატიული ხელმძღვანელობის გზით გადასაპყრელი საკითხები და აუცილებლად მოითხოვენ მეცნიერული გააზრება-დასაბუთების ელემენტებზე დაყრდნობას. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესაბამისად, ჩვენში ამ მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები, მაგრამ საქმე იმაშია, სახელდობრ, რამდენად სერიოზულსა და აუცილებელ მუშაობაში ენერგიულად უნდა ჩაებას სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ყველა ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მთელი კოლექტივები. ამას მოითხოვს ფარგალი, გადაუდებლობა და თვით ამ საქმის შესრულების ვადა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გამოთქვარწმენა, რომ „...კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ჩვენი ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი უმოკლეს ვადაში წარმატებით გადაჭრიან ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას“ და მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების გადიდებისათვის საბჭოთა ხალხის საერთო მუშაობაში ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივთა მონაწილეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ისეთი ცალკეული საკითხის შემუშავებითაც შეიძლება გამოისახოს, როგორცაა, მაგალითად, „ნახირის ტიპითი სტრუქტურა“ ამ თუ იმ რაიონის ან ერთი რომელიმე სასოფლო-სამეურნეო წამოწყებისათვის, „სარაიონო ტიპითი საკვები ულუფები“ პირუტყვის ამა თუ იმ სახეობისათვის, საკვებ საშუალებათა იმ ასორტიმენტის საფუძველზე, რაც ამა თუ იმ რაიონში დასაწერაგავი თესლობრუნვის ან მიწათმოქმედების არსებული თუ საპროექტო სისტემის შედეგად მიიღება. ძლიერ მნიშვნელოვანია წინადადებანი და დასაბუთებანი „პირუტყვის მოვლა-პატრონობის უფრო რაციონალური სისტემის შესახებ“, „ახალმოზარდის სისტემის დიფერენციაცია“ რაიონთა თუ ცალკეულ წამოწყებათა პირობებისა და სამეურნეო გარემოს შესაბამისად, „მომთაბარეობის გაუმჯობესებული ტექნიკა“, „ახალი საშობარო მარშრუტები“, „საძოვრებზე პირუტყვის დაწყურების ორგანიზაცია“, „საკვებათა შემზადების ახალი წესები“, „მოსაზრებანი პირუტყვის გასუქების ტექნიკისა და ორგანიზაციისათვის“, „ადგილობრივი საკვები ბალახეულის მეთესლობა“ და სხვ.

ადვილი შესაძლებელია, რომ არცთუ საკმარისი მარჯვე და ზუსტი არის აქ მხოლოდ მაგალითისათვის ჩამოთვლილი საკითხების დასაბუთებლად მიმდინარე ვიწროობით, ის მაინც საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ მიმართება და ხასიათი ამ მუშაობის, რომელიც ადგილიდან შესრულდება სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში მონაწილე ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის მიერ, უფროსი კურსების მოწინავე სტუდენტების მიერ საბოლოოში შრომების სახით, უკეთეს მათ გამოცდილი ამზარდებელი სათავეში ჩაუდგებთან, თუნდაც რომ ახალგაზრდა ვიწრო ვიწროვანად შემუშავებული ამდაგვარი საკითხების გარეგნობაზე საკანდიდატო შრომებზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის ზოგადი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კათედრებს გააჩნიათ უფროსი კურსის სტუდენტებთან ამგვარი მუშაობის ერთგვარი დადებითი გამოცდილება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ხასიათის მუშაობა უფრო სისტემატური უნდა იყოს და მას უფრო დიდი მასშტაბი უნდა მიეცეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია ფართოდ იქნეს გამოყენებული იმ სამრეწველო საწარმოთა დახმარება, რომლებიც შეფობას უწევენ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოებში. მაგრამ ამასთან ერთად პლენუმმა განიხილა ამ შეფობის გაწევის სადღისი ხასიათი და შედეგები და დასახა ლინის-ძიებები, რომელთა განხორციელებით უნდა აღიკვეთოს ასეთი შეფობით გამოწვეული უკანონო ხარჯვა სახელმწიფო სახსრებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის უმეუფყოლობა.

მრავალი ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი და სამეურნეო-კვლევითი დაწესებულება კრიტიკის თვლით თუ გადახედვს თავის მუშაობას საშეფო კოლმეურნეობებში, აღბათ, თვითონვე მონახეს საკმაოდ ბევრ მომენტს, რომელთა გამო დროულად მიიჩნევს მის მიერ შეფობის გაწევის არსებულ ყიდილზე ხელის აღებას, ამავე დროს ამ ორგანიზაციების ნამდვილად ბევრი შესაძლებლობა გააჩნია — სრულიად გარკვეულ ისეთ სახელმწიფოებო საფუძველზე, რომელიც მატერიალურ პასუხისმგებას აკისრებს ორივე მხარეს — ქუშპირიტად ქმედითი და არა „ლიტონისტკვიერი და ფარატინდოკუმენტურა“ შეფობა გაუწიოს ამა თუ იმ კოლმეურნეობას. ცნობილია, სახელდობრ, რომ პირუტყვისათვის მიცემის წინ საკვების სათანადო შემზადება (დაკუსვა, დაქუცმაცება, დაფქვა, გაფუება და სხვ.) დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ საკვებ საშუალებათა უფრო რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით და ცნობილია აგრეთვე, რომ ეს პროცესი ფერმაში ერთ-ერთი შრომატევადია, მაშასადამე, საჭიროებს მექანიზაციის საგანგებოდ მოწყობილ ე. წ. საკვებ სამქროში. საკვებათა ასორტიმენტის, ფერმის სიდიდისა, კვების რეჟიმისა, საკვები ულუფისა

და რამდენიმე სხვა მომენტისაგან დაშორებით კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობამდე, რაიონიდან რაიონამდე ეს საკვები საამქრო შეიძლება დასახულებული და განსხვავებული მოსაწყობი იყოს როგორც სიდიდის, ისე აღჭურვილობის, დატვირთვის ხასიათისა და სხვა მხრივ. მაშასადამე, საჭირო ხდება ადგილობრივ საკვებ ბაზას და პირუტყვის მოვლა-შენახვის წესს შეფარებული პროექტების შემუშავება საკვები საამქროს მოსაწყობად. და განა მცირედი დახმარება იქნება, უკეთეს, ეთქვათ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაქულტეტის უფროსი მოქმედი სტუდენტს, მისი გამოცდილი აღმზრდელის ხელმძღვანელობით, საღიპლომო პროექტის დავალბად მიეცემა რომელიმე ერთი ფერმისათვის ან რაიონის ფერმებისათვის ტიპური საკვები საამქროს პროექტის შემუშავება და ჯეროვანი მოწონების შემდეგ კოლმეურნეობა სავალდებულოდ გაიხდის ამ პროექტის განხორციელებას. ამრიგად, რადგან აუცილებელია მეცხოველეობის განვითარების დარგში დავალბათა მიკუმსას გათვალისწინებულ იქნას ცალკეული რაიონის ეკონომიური და ბუნებრივი პირობები, აგრეთვე მეურნეობის წარმოების მრავალი წლის გამოცდილება, — ადვილი მისახვედრია, რომ გადავადებულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ზემოთხსენებული და მრავალი სხვა ელემენტის დადგენილ სასტუდენტო აღნუსხვა და შემოქმედებითი გააზრება ყოველივე იმისა, რაც დღემდე მოუპოვებია ჩვენი სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.








ამ მხრივ კ ამ პრაქტიკის ჯეროვანი შესწავლა, ალბათ, ბევრ საინტერესოს ეტყვის, მაგალითად, ჩვენი ზოოპიციენტებს პირუტყვისათვის განკუთვნილ შენობებში გამოყენებული ადგილობრივი საბენი მასალის შესაბამისობის შესახებ იმ მოთხოვნებთან, რომელიც უნდა წარედგინოს ამ მასალის რაციონალური მეცხოველეობის წარმოების თანამედროვე ტექნიკის თვალსაზრისით. ყურადსაღები გახდება, ალბათ, თვით ნაგებობის ტიპიც, როგორც კლიმატის ადგილობრივ პირობებს ხანგრძლივი გამოცდილებით შეხამებული და პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის გამოცდილებით დამყარებული, არც თუ ყოველთვის უარსაყოფი, წესების მარჯვედ შესრულებასთან შეფარდებული. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ქეშმარიტად ბევრი რამ ცალკეული და სადეტალო დასაყენებელი და გამოსასწორებელი იქნება, მაგრამ ჩვენი მეცხოველეობისათვის სასარგებლო მთელი ამ მუშაობის მთავარი უპირატესობა მაინც ის იქნება, რომ თავიდან ავი-

ვიღებთ, ხშირად, არასაკმარისი დაკვირვებულობით ტიპობრივი პროექტებიდან გადმოტანილი მშენებლობის ნაკლსა და სიძვირეს. ჩვენი მეცხოველეობის ყოველდღიურობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი პირუტყვისათვის კულტურული სადგომების მშენებლობისადმი მისწრაფებამ და მრავალ შემთხვევაში ეს ნაყოფიერადაც ხორციელდება. მაგრამ არა ნაკლებად ხშირად დამპროექტებულსაც და მშენებელსაც პირუტყვის სადგომის კულტურულობის საზომად ჩვენს ბარშიც და ჩვენს მთაშიც აუცილებლად აუფრი და კრამიტი მიაჩნია, სადმე ერთგან მოწონებულ და იქაურობისათვის მიზანშეწონილი განაწილება პირუტყვის ასაკობრივი და საწარმოო ჯგუფების შენობაში გონია ერთადერთი მარჯვე ხერხი. უკუწვევები რჩება, რომ პირუტყვისათვის განკუთვნილი თუნდაც რიყის ქვისა ან ალიზის შენობა კულტურულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფს მეცხოველეობის წარმოების უფრო რაციონალურ ტექნიკას, სისუფთავეს არსებულ სამეურნეო პირობებში, პირუტყვის ჯანმრთელობას, დიდ პროდუქტიულობას და სხვ.

ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები ცოტას როდი აკეთებენ მოწინავე გამოცდილებსა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და დანერგვისათვის. საკმაოდ დიდი მუშაობა მიმდინარეობს ჩვენში მოკლე თუ გრძელვადიანი კურსების მოწყობით სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაშიც მცირედი არ არის აგრეთვე ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-მუშაკთა მონაწილეობა. მაგრამ, ვფიქრობთ, ძნელი სათქმელია, რომ ამ კურსებზე მეცადინეობისა და გამოცდილებისა და მიღწევითა პროპაგანდისას რაიმე ნაწილში მნიშვნელოვან საილუსტრაციო მასალას აწვდიდეს საქართველოს მეცხოველეობის პრაქტიკა. არც საკვირველია, რადგან ზოოტექნიკამ და ვეტერინარიამ საქართველოში დამაკმაყოფილებელი ფარგლითა და სიღრმით ჯერ კიდევ ვერ მოპოვდა ხელი ჩვენი მეცხოველეობის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებულ საკითხთა იმ წყების მეცნიერულ გააზრებას, რომლის რამდენიმე მაგალითი შემოთ აღინიშნა და რომელთა მიზანარსობრივი ერთობლიობის მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინო ხდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების დადგენილებათა ფონზე.



# ტ. ს. გალსაჟის მანქანი



# საბჭოთა აგრონომიული

## მეცნიერების მიღწევა

ალექსი ბაბიჩი მაღახაძე  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

სოციალისტური მიწდებების მოსავლიანობის ამაღლება ამჟამად ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

მოსავლიანობის ზრდა ყველაზე აქტუალურია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა, ივნისის და 1955 წ. იანვრის პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის დარგში წამოყენებულ პრობლემათა შორის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი სერიოზულობით დასახეს ჩვენი ქვეყნის წინაშე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის, განსაკუთრებით მარცვლოვანი კულტურის მეურნეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ყველა დარგის საფუძვლის, გრანდოზული განვითარების გეგმა, მრეწველობის ნედლეულით და მოსახლეობის სურსათ-სანოვავით სრული უზრუნველყოფის მიზნით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ამ სიუხვის პრობლემის გადაწყვეტის ძირითად საშუალებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სახნავ-სათესი ფართობის გადიდება ყამირი და ნასენი მიწების ათვისების ხარჯზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოსავლიანობის პროგრესული ამაღლება — შრომის ნაყოფიერების ზრდა.

აგრონომიულ ღონისძიებათა შორის მოსავლიანობის გადიდებას ნიადაგის გაუმჯობესებელი წესით დამუშავების გზით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ნიადაგის სწორი დამუშავების გარეშე არ არის არავითარი შესაძლებლობა სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში თავისი

დანიშნულება მაქსიმალურად გამოავლინოს. ამიტომ ნიადაგის დამუშავება მართებულად ითვლება მიწათმოქმედების საფუძვლად. მიუხედავად მისი ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ნიადაგის რაციონალური დამუშავების სისტემას მთელი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

სოფლის მეურნეობის ისტორია გვიჩვენებს, რომ აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემის ადგილობრივ პრობლემთან შეუსაბამლად გამოყენება მცენარეთა ზრდა-განვითარების ფაქტორების არაპრობონიულ მდგომარეობას ქმნის, რაც, რა თქმა უნდა, თავის უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ნიადაგის ნაყოფიერებაზე, აგრეთვე მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე.

საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერება, რომლისათვისაც უცხოა ყოველნაირი მეტაფიზიკა, მატერიალისტური დიალექტიკის კანონების გამოყენების საფუძველზე ებრძოდა და ებრძვის ყოველგვარ ღოგმებს და მკედარ — უსიცოცხლო აგრონომიულ სქემებს.

საბჭოთა მოწინავე აგრონომიული მეცნიერება მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა სისტემას საფუძვლად უდებს მცენარის ზრდა-განვითარების არა ერთ რომელიმე თვისებას და მასზე მოქმედ ცალკეულ ღონისძიებებს, რომელთაც, რ. ვილიამსის განმარტებით, კლებადი ნაყოფიერებისაკენ მივყავართ, არამედ მცენარის მიულ ბიოლოგიას და მათზე მოქმედ ღონისძიებათა კომპლექსს. საბჭოთა მეცნიერებამ და სოციალისტური მიწათმოქმედების პრაქტიკამ დამტკიცა, რომ მხოლოდ ასეთ ღონისძიებათა კომპლექსის

სურათზე ნაჩვენებია ზოგიერთი თავისებურებანი ნიადაგის დამუშავებისა ახალი მეთოდით:

1. 40—50 სმ და მეტ სიღრმეზე ხენა წარმოებს ერთჯერ 3—4 წელიწადში მალევეის სისტემის უფრო გუთნით.
2. ნაწვერალის აჩრქვა წარმოებს ყოველწლიურად მოსავლის აღებასთან ერთად. აჩრქვას მიმართავნ სარეველებთან საბრძოლველად ანულებზე, აგრეთვე ნიადაგის თესვისწინა დამუშავების დროსაც.
3. ნიადაგის მოხეცვა რგოლური საგრავეებით წარმოებს იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა მიწის პირის მისწორება, განსაკუთრებით ანულის აჩრქვის შემდეგ.
4. ნიადაგის დამუშავება თათებიანი კბილებიანი ფარცნით წარმოებს თესვის წინ ან სარეველებთან ბრძოლის აუცილებლობის დროს.

გამოყენებით არის შესაძლებელი ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება და მოსავლიანობის ამაღლება.

კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდი ყურადღებით ემტკიცება როგორც სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მრეწველობისა და სხვა დარგის მოწინავე ადამიანების საქმიან წინადადებებს, ინიციატივას, პრაქტიკული ინტუიციით მიგნებულ, გაუმჯობესებულ ახალ ხერხსა და წესს. ჩვენს ქვეყანაში ამის გამო მრავალი ახალი ფერხი და მეთოდი გასცდა იმ კომუნურების ფარგლებს, სადაც იგი წარმოიშვა, და დანერგა მრავალ სხვა რესპუბლიკასა და მხარეში. სწორედ ასეთი ბედი ეწია დღეს დასავლეთ ციმბირის კურგანის ოლქში სოფ. მალცეევოში კომუნურ მემინდვრე ბრიგადის ტერენტი მალცევის მიერ ნიადაგის დამუშავების ახალ წესს, რომელშიც, თავისი პრაქტიკული და თეორიული დიდი მნიშვნელობის გამო, მთელი კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსებისა და აგრონომიული მეცნიერების მუშაკთა მრავალი მილიონიანი კოლექტივის ყურადღება მიიქცია.

საბჭოთა კავშირის მრავალ რესპუბლიკასა და მხარეში ნიადაგის დამუშავების ეს წესი იცდება და ინერგება. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული საქართველოშიც.

როგორც ცნობილია, ნათესალახიანი მიწათმოქმედების სისტემის საშუალებით, ვილიამსის მიხედვით, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის პერიოდული ხასიათი აქვს. როტაციის იმ პერიოდში, როდესაც მინდორი მრავალწლიანი ბალახით არის დაფარული, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება წარმოებს, ხოლო დანარჩენ პერიოდში ხდება მისი რღვევა — ხარკვა. ნაყოფიერების აღდგენისა და რღვევის ასეთიან შეთანაწყობის თეორიულ საფუძვლად მიჩნეული არის ის, რომ მხოლოდ მრავალწლიანი ნარევი ბალახების ნათესი შეუძლია ორგანული ნივთიერების დაგროვება ნიადაგში და სტრუქტურის შექმნა. ყველა ერთწლიანი კი და მათ შორის ბალახებიც ამ თვისებას მოკლებულია და ამიტომ ერთწლიანების თესვის პერიოდში ნიადაგი არამცთუ ორგანული ნივთიერების დაგროვებას და სტრუქტურის წარმოქმნას არა აქვს ადგილი, არამედ ნაბალახარ პერიოდში გაუმჯობესებული ნაყოფიერების ელემენტების შემცირებაც ხდება. ამ გარემოების მაპირობებელ მიზეზს წარმოადგენს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახმცენარეების ნაშთების ბიოქიმიური დაშლის განსხვავებული ხასიათი. რადგან მრავალწლიანები ვეგეტაციის

გვიან შემოდგომაზე ამთავრებენ, ამიტომ მათი ნარჩენების დაშლა ანაერობიუზისის, ქარბონის, პირობებში ხდება, ხოლო ყველა ერთწლიანი, როგორც სტეპის მცენარეები, ვეგეტაციის ამთავრებს ზაფხულში ან მის დასაწყისში და მათი ორგანული ნარჩენების დაშლა, ამის გამო, აერობულ პირობებში წარმოებს. ტ. მალცევა ნიადაგის დამუშავების თავისი ახალი წესის შემუშავების თეორიულ საწყისად სწორედ აღნიშნული დებულება მიიჩნია. მან სრულიად სწორად დასვა საკითხი — თუ ნიადაგის ნაყოფიერების ბედი დამოკიდებულია მცენარეული ორგანული ნაშთების დაშლის პროცესის ხასიათზე, მაშინ, თუ ერთწლიანი კულტურების ნაშთების დაშლას ისეთ პირობებში ჩაეყენებთ, როგორც მას ბუნებრივად აქვს ადგილი მრავალწლიანი ბალახმცენარეების ნარჩენების დაშლის დროს, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ერთწლიანების ნაშთების დაშლის შედეგადაც უნდა დაგროვდეს ჰუმუსი და წარმოიქმნას მტკიცე სტრუქტურა, რადგან თვისობრივად მრავალწლიანი ბალახები და ერთწლიანი კულტურები ერთმანეთისაგან, შემადგენელ ნივთიერებათა მხრივ, არსებითად არ განსხვავდება.

ნიადაგის ნაყოფიერების მარეგულბელი პირობის თეორიის ასე სწორად მიგნების შემდეგ, ნიადაგის დამუშავების არსებული მეთოდის ახალი წესით შეცვლას ფართო გზა გაეხსნა. ერთწლიანი მცენარეების ნაშთების ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის გამოყენების საკითხის ასეთნაირმა გადაწყვეტამ მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებას ფართო პერსპექტივა დაუსახა. პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანების ნაშთების დაშლის სასურველი მიმართულებით წარმოათვის შემთხვევაში, ნაყოფიერებას თესლბრუნვაში პერიოდული აღდგენის მაგიერ სისტემატური გაუმჯობესების ხასიათი მიეცა. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მალცევის წესით ნიადაგის დამუშავების დროს ნაყოფიერების რღვევას ადგილი არ ჰქონდეს, არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ სისტემის გამოყენების შემთხვევაში ნიადაგში ორგანული ნივთიერებების დაგროვებისა და სტრუქტურის შექმნა-შემცირების ისეთი თანაფარდობა მყარდება, როდესაც პირველი, ე. ი. აღდგენა ჭარბობს მეორეს — რღვევას და ამიტომ ნაყოფიერების სისტემატურ ამაღლებას აქვს ადგილი. ერთწლიანი კულტურების ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის სამსახურში ჩაყენება მოსავლიანობის გაძლიერებას უსაზღვრო შესაძლებლობას უქმნის და ამით ერთხელ კიდევ ადასტურებს ბურჟუაზიული კლებადი ნაყოფიერების „კანონის“ მცდარობას.

მართალია, რაგორც ცნობილია, ნიადაგის ნაყოფიერების თვისება ძირითადად დამოკიდებულია მწვანე მცენარის შერჩევითი შთანქმის უნარზე, რის გამოც ნიადაგის ზედაფენებში ხდება მცენარის საკვები ნივთიერების აკუმულაცია, ორგანული ნივთიერების დაგროვება და სტრუქტურის წარმოქმნის საშუალებით წყლის, პერსისა და სითბოს რეჟიმის მოწესრიგება. საკვები ნივთიერებების ნიადაგის ზედა ფენაში ორგანული ნივთიერების სახით დაგროვების თვისების მხრივ მრავალწლიან და ერთწლიან მცენარეებს შორის თვისობრივი განსხვავება არაა. განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივ მხარეშია. მრავალწლიანი ბალახები ყოველწლიურად უფრო მეტი რაოდენობით ტოვებენ ნაშთებს ნიადაგში, ვიდრე ერთწლიანები და, მაშასადამე, პირველი უფრო მეტად ამდიდრებენ ნიადაგს საკვები ელემენტებით, ვიდრე მეორენი, მაგრამ თუ, თუნდაც ათმინდვრიან თესლობურნაში გავიანგარიშებთ მრავალწლიანი ბალახების მინდორზე ორი წლის დგომის პერიოდში დარჩენილი ნაშთების რაოდენობას და შევადარებთ დანარჩენ 8 წლის განმავლობაში ერთწლიანებისაგან დატოვებული ნაშთების რაოდენობას, გამოირკვევა, რომ ერთწლიანების ორგანული ნაშთების საერთო რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში უფრო მეტია, ვიდრე მრავალწლიანებისა. აქედან ცხადია, რომ ერთწლიანების ნაშთების შესაფერისი დაშლის პირობებში მოქცევით, ჰუმუსისა და სტრუქტურის რაოდენობრივი მატება უფრო მეტად შეიძლება, ვიდრე მარტო მრავალწლიანების შემთხვევაში. თესლობურნაში ერთწლიანი კულტურებისა და მრავალწლიანი ბალახების თესვა, რა თქმა უნდა, ამ შესაძლებლობის ფარგალს კიდევ უფრო მეტად აფართოვებს.

ერთწლიანი კულტურების ნაშთების დაშლის პროცესში ანაერობული ხასიათის გაძლიერების შესაძლებლობა მალცევი ნიადაგის დამუშავების არსებული წესის, ე. ი. ყოველწლიურად 20-22 სმ სიღრმეზე ხვნის ახალი წესით ნიადაგის დამუშავების საშუალებით განაზრახულია.

მალცევის წესით ნიადაგის დამუშავება პერიოდული ორმა გაფხვიერებისა და ზედაპირული დამუშავების (აოშვა, დაფარცხვა) გარკვეულ შეთანწყობაში გამოიხატება. მალცევი თავის ოთხ და ხუთმინდვრიან სამინდვრე თესლობურნაში პირველ მინდორს უთმობს ანეულს, რომლის მომზადებაც იწყება ნაწვევრალის აჩეხით და მომდევნო გაზაფხულზე ნიადაგის ორმა 40-60 სმ სიღრმეზე უფროსი გუთნით გაფხვიერებით; შემდეგ, ზაფხულის განმავლობაში; დიკიონის საომღებო 6-8 სმ სიღრმეზე რამდენიმეჯერ აოშვა-აჩეხვას აწარმოებს, ნიადაგში ტენის დაგროვებისა და სარეველებთან

ბრძოლის მიზნით, ხოლო შემოდგომაზე (ამ წესით ნიადაგის დამუშავების მხოლოდ პირველ რუტაციულში) მეორედ ახდენს ორმა გაფხვიერებას. მალცევის ხელზე ჩატარებული გაფხვიერების პერპენდიკულარული მიმართულებით. თესლობურნის როტაციის დანარჩენ პერიოდში დამუშავება მხოლოდ აოშვა-აჩეხვის სახით წარმოებს. ამ წესით ნიადაგის დამუშავების გამო ერთწლიანი კულტურული მცენარეების (და ბალახების) საოშ ფენაში მოქცეული ორგანული ნაშთები აერთბულად იშლება, რაც, მალცევის მიხედვით, მცენარის საკვები ელემენტებით მომარაგების ამოცანას ახორციელებს, ხოლო საოშ ფენის ქვემოთ, ნიადაგის შედარებით მკვერ ფენაში მოქცეული ფესვის ნაშთები; ჰაერის ნაკლებობის გამო, ძირითადად ანაერობულად იშლება, რის შედეგადაც წარმოიშობა აქტიური ჰუმუსი ნიადაგის მტკიცე სტრუქტურის წარმოქმნის იწყებს. ამრიგად, ამ წესით ნიადაგის დამუშავება აკულტურებს, აუმჯობესებს არა მარტო სახნავ ფენას, არამედ ქვესახნავ ფენასაც.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა უპირატესობა ან რა ნაკლი აქვს მალცევის წესით ნიადაგის დამუშავებას აქამდე არსებულ წესთან შედარებით? ნიადაგის დამუშავებისადმი წაყენებულ მოთხოვნის შედეგად, როგორც ცნობილია, წარმოადგენს:

- 1) ნიადაგს მიეცის ფხვიერი აგებულება — მცენარის დაფესვიანება-განვითარებისათვის ხელსაყრელი აგროფიზიკური, აგროქიმიური თვისებები და 2) სარეველების მოსპობა გამოიწვიოს.

დამუშავებისადმი წაყენებულ ამ მოთხოვნის შედეგად მალცევის წესი წარმატებით ასრულებს, რადგან ა) ქვე-საოშ ფენაში სტრუქტურის სისტემატური წარმოქმნა-გაუმჯობესება და 50-60 სმ სიღრმეზე ნიადაგის პერიოდული შეძერა ხდება — არა კაპილარული ფორმების რაოდენობის მომატება; ბ) გასტრუქტურება — ორმა გაფხვიერება აიღობს ნიადაგში წყლის მიმდობილს და შენახვა-ტევადობის თვისებებს; გ) პერიოდული ორმა გაფხვიერება ნიადაგში ხერცელებსა და სორობებს ქმნის, რაც, ერთი მხრივ, ტენის დაცვისა და, მეორე მხრივ, ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს. ამ გზით შექმნილი ტენის მარაგი დადებითად მოქმედებს მომდევნო წლის მოსავალზედაც; დ) მალცევის წესით ნიადაგის დამუშავება საოშ ფენის ქვემოთ ანაერობულ, ბიოქიმიურ პროცესებს ააქტივებს და ჰეროფიკაციის პროცესს აძლიერებს; ე) დამუშავების ეს წესი მცენარის დაფესვიანების არსებულ მწველზე აღემატება.

სარეველებთან ბრძოლის მთავარ საშუალებას ნიადაგის სწორი დამუშავება წარმოადგენს. ნიადაგის პერიოდული ღრმა გაფხვიერება ღრმადსვინანი სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

გარდა ამისა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგის დამუშავების ეს მეთოდი პროვანციული წესითაც ახორციელებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ გაზაფხულზე თესვას წინ უძღვის ნიადაგის აჩვივით სარეველების გამოტყუება-აღმოცენება, შემდეგ — მათი დამუშავებით მოსპობა და გაწმენდილ მიწაზე კულტურის თესვა.

ამგვარად, აგროფიზიკური თვისებების გაუმჯობესებასთან ერთად, მალცევის წესი სარეველებთან ბრძოლის ქმედითი საშუალებაა.

მალცევის წესით ნიადაგის დამუშავების სისტემა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ჩვენს პირობებში მალცევის სისტემის გამოყენებისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებს: ეს წესი შემუშავებულია დასავლეთ ციმბირის პირობებისათვის, სადაც სავეგეტაციო პერიოდი მოკლეა, წლურთი საშუალო ტემპერატურა დაბალი (0°-ს უახლოვდება), ნალექების რაოდენობა 300-350 მმ-ია და უთანაბროდ განაწილებული, გაზაფხული და ზაფხულის პირველი ნახევარი მშრალი — გვლიანია, მეორე ნახევარი და შემოდგომა — შედარებით ტენიანი, ნიადაგები — შავმიწა, გამოტუტული და ბიცობიანია. გრუნტის წყლის დონე 4-10 მეტრი, ჰუმუსის რაოდენობა 9-10%. ბუნებრივ პირობათა ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ნიადაგწარმოქმნის პროცესს აქ მდელო-სტეპის ხასიათი აქვს და ერთწლიანი კულტურების ვეგეტაციის დასასრულისათვის, ბუნებრივად, ორგანული ნაშთების დაშლას ანაერობული პროცესის ჭარბობა უნდა ახასიათებდეს.

საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიური პირობების დასავლეთ ციმბირის ამავე პირობებისაგან განსხვავება გვეაღებს დაკვირვებულ მიდგომას და ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგურ-კლიმატური პირობების თავისებურებით ნაკარნახევი ცვლილებების შეტანას მისში — როგორც გაფხვიერების სიღრმის, ისე მისი სისწირის, ნორმალური ზენის პერიოდული წარმოების და სხვა მხრივ.

საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური პირობები ამ მხრივ სამ ზონად შეიქმნება: I — მთის ნორმალური შემიწებისა, II — ბარის რუხი-ყავისფერი სარწყავი და III — ურწყავი ფიცი (მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის, ხირხატიანი, მცირე სიღრმის) და დაქაობებული ნიადაგების ზონა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მთიანეთის ზონის ის ნიადაგები, სადაც ხანმოკლე ვეგეტაციისა და ნიადაგწარმოქმნის მდელის და მდლო-სტეპის პროცესის გამო ორგანული ნაშთების დაშლაში ანაერობიზმისი ჭარბობს. ამის გამო მალცევის წესი ყველაზე უკეთ შეუძლია აქ თავისი დანიშნულება გაამართლოს.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ნიადაგები (ყომრალი, მუქი ყავისფერი, რუხი ყავისფერი, დაშლამუხულები და ბიცობიანი), რომლებიც მალცევის წესის გამოყენებისათვის დამატებით აგროტექნიკურ ელემენტს მოითხოვს მცენარეთა ნაშთების დაშლის შემოდგომისკენ გადასაწყვედ. ასეთ ღონისძიებად გამოყენებული უნდა იყოს ძირითადი კულტურის მოსავლის აღებისთანავე მწვანე მასის დიდი რაოდენობით მომცემი სანაწვევრალი კულტურების თესვა.

დაშლამუხულები ნიადაგებზე ამ ღონისძიების განხორციელებას (სანაწვევრალი კულტურის თესვა) თან უნდა ახლდეს დრენაჟი.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნეთ საერთოდ ურწყავი (სადაც სანაწვევრალი კულტურა არ მოვა) და, კერძოდ, ფიცი-ხირხატიანი ნიადაგები, რომლებზედაც ორგანული ნივთიერების დაგროვება და ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება ძირითადად მრავალწლიანი ბალახა მცენარეების თესვით შეიძლება. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა ჭარბტენიანი ნიადაგები, სადაც მალცევის წესის შემოღება ანაერობიზმისი პირობებს კიდევ უფრო გააძლიერებს და ამით ნიადაგის საწარმოო ღირსებას შეამცირებს.

ამრიგად, მალცევის წესით ნიადაგის დამუშავება შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითად, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად.



# სენსაკლური ნერვული სისტემის ქირურგია

პროფესორი კონსტანტინე ჩიქოვანი  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ლომა სიბაა

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ქირურგიულ დისციპლინის გამოყვით და ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, ნერვული სისტემის ქირურგია, რომელსაც ნეიროქირურგია ეწოდება.

ქალა-ტენის ოპერაციებს ძველად მიმართავდნენ სახალხო მკურნალები. ამას მოწოდებდა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ თავის ქალაზე არსებული დღეუბები. იმ დროისათვის შესაფერის ხელსაწყოები უნდა არსებულყოფი, იმდენად ოსტატურადაა ჩატარებული თავის ქალას ტრეპანაცია.

ცენტრალური ნერვული სისტემის ქირურგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსული სამეცნიერო და პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი გამოჩენილ წარმომადგენელს, ცნობილ დოსტაქარს ნ. ი. პიროგოვს, რომელმაც თავის ნაშრომებში ფართო ადგილი დაეთმო ქალა-ტენის ოპერაციების აღწერას. ნ. ი. პიროგოვი, როგორც რუსული სამხედრო-საველე ქირურგიის მამამთავარი, უპირატესად ქალა-ტენის საომარი დაზიანების კლინიკასა და მკურნალობას შეისწავლიდა.

პირველი ნეიროქირურგიული დაწესებულების ჩამოყალიბება რუსეთში გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგისა და ფსიქიატრის გ. მ. ბეხტერევის სახელთანაა დაკავშირებული. მან გასული საუკუნის მიწურულში, 1897 წელს, პირველმა ჩაუყარა საფუძვლი ნეიროქირურგიულ განყოფილებას, სადაც ნერვული სისტემის დოსტაქრებმა მუშაობენ ლ. მ. პუსეპი, ა. გ. მოლოტკოვი და სხვ.

მეფის რუსეთში ნეიროქირურგიის განვითარებისათვის ზრუნავდნენ მხოლოდ ცალკეული ამ დისციპლინით დაინტერესებული პირები, რომელთაც იმდროინდელი ხელისუფლებამაც არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა როგორც მეცნიერების სხვა დარგების, ისე ნეიროქირურგიის განვითარება.

უკვე რევოლუციის გამარჯვებიდან 3-4 წლის გავლის შემდეგ, ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, როსტოვში და სხვ. ყალიბდება განცალკევებული ნეიროქირურგიული განყოფილებები, რომელთაც სათავეში უდგებიან უკვე იმ დროისათვის გამოჩენილი დოსტაქრები: ა. ალ. ბოლენკოვი, ა. გ. მოლოტკოვი, ნ. ნ. ბურდენკო, ა. ზ. გეიმა-ნოვიჩი, ვ. ნ. შამოვი, ა. ი. ემდინი და სხვ.

1926 წელს გამოჩენილი რუსი მეცნიერის გ. მ. ბებტერევის მოწოდების — ა. გ. მოლოტკოვის თაოსნობით ლენინგრადში ყალიბდება მსოფლიოში პირველი ნეიროქირურგიული ინსტიტუტი — ქირურგიული ნევროპათოლოგიის ინსტიტუტი.

1934 წელს საბჭოთა კავშირის გამოჩენილი დოსტაქარი, საბჭოთა ნეიროქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, ნ. ნ. ბურდენკო ქ. მოსკოვში აყალიბებს ნეიროქირურგიულ ინსტიტუტს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა საბჭოთა მეცნიერული და პრაქტიკული ნეიროქირურგიის განვითარების მძლავრ კერად.

მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და როსტოვის ნეიროქირურგიულ დაწესებულებებში აღზრდილი კადრები ამჟამად მომსახურებენ უწყვეტ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობას.

საქართველოში ნერვული სისტემის ქირურგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით აწ განსვენებულ აკადემიკოს გ. მ. მუხაძეს, პროფესორებს ნ. ი. კახიანს და ა. გ. მაჭავაძეს, რომლებიც მიმართავდნენ ოპერაციებს თავისა და ზურგის ტვინზე და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე.

დიდი სამამულო ომი იყო გამოცდა არა მარტო საბჭოთა არმიისათვის, არამედ ის იყო ჩვენი მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის, ინჟინერებისა და ტექნიკოსების, მედიცინის მუშაკთა და სხვ. ცოდნისა და მიღწევების უდიდესი გამოცდაც.

საბჭოთა მედიცინის მუშაკებმა თავისი უანგარო წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

საქართველოს ნეიროქირურგები საბჭოთა ქვეყნის სხვა ნეიროქირურგებთან ერთად მტკიცედ იდგნენ საბჭოთა ხალხების უანმრთელობის დაცივის სადარჯოზე. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა საბჭოთა არმიის მწყობრში დაებრუნებინათ ვერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე დაბრუნდნენ. დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს საევაკუაციო ნეიროქირურგიულ ჰოსპიტალში შემუშავდა პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული დაზიანების მეტად მძიმე გართულებების — კავუნალგიის მკურნალობის ორიგინალური მეთოდი (პ. ბ. ჩიქოვანი), რომელიც ამჟამად საყოველთაოადაა აღიარებული.

დიდი სამამულო ომის დღეებში იზრდებოდნენ ნეიროქირურგთა კადრები, რომლებიც ომის ძღვევამოსილად დამთავრების შემდეგ განხდნენ პირველი ნეიროქირურგიული განყოფილების ინიციატორები და ორგანიზატორები.

საქართველოში პირველი ნეიროქირურგიული განყოფილება ჩამოყალიბდა 1946 წლის ნოემბერში. ყველადასთვის ცნობილია, თუ რაოდენი პასუხისმგებლობა აწვეს დოსტაქარს, რომლის გამოცდილებასა და ოპერაციული ტექნიკის სრულყოფაზე დიდადა დამოკიდებული ქირურგიული ჩარევის გამოსა-

ვალი, ავადმყოფის გამოჯანმრთელების სახით. მით უმეტეს მეტი პასუხისმგებლობა აკისრია ნეიროქირურგს, რომლის ქირურგიული დანის სამოქმედო ასპარეზი მთელი ორგანიზმის ფუნქციების მარეგულაციული ორგანო — თავის ტვინის წარმოადგენს. აქედან ნათელია, თუ რა სიფაქივე და უაღრესი ტექნიკური გამოცდილება მართებს ნეიროქირურგს ოპერაციული ჩარევის დროს.

ვინაიდან თავისა და ზურგის ტვინის პათოლოგიური პროცესის — დაავადების კერის აღმოჩენად ნეიროქირურგს უხდება დაარღვიოს იმ დამცველი ჯავშნის მთლიანობა, რომელსაც თავის ქალას და ხერხემლის ძვლოვანი კედლები წარმოადგენს, ნეიროქირურგის სამოქმედო ასპარეზი უნდა განისაზღვროს ზუსტად დაავადების კერით. ზედმეტი ძვლოვანი საფარის მოცილება როგორც თავის, ისე ზურგის ტვინისათვისაც არცთუ ისე უვნებელია.

ამიტომ ოპერაციულ ჩარევამდის აუცილებელია დადგინდეს თავისა და ზურგის ტვინის დაავადების ზუსტი დიაგნოზი, თვით დაავადების არსისა და მდებარეობის ლოკალიზაციის მხრივ.

სწორედ ზუსტი დიაგნოსტიკისათვის იქნა მოწოდებული ნეიროქირურგიული ავადმყოფის კომპლექსური შესწავლა. ამჟამად არ არის თითქმის არც ერთი ნეიროქირურგიული დაწესებულება, სადაც ავადმყოფი შეისწავლებოდეს განკერძოებით, მხოლოდ ერთი სპეციალისტის მიერ. ნეიროქირურგიულ ავადმყოფს შეისწავლიან ნეიროქირურგები, ნეიროპათოლოგები, ნეიროფიზიოლოგები, ოტონევროლოგები, ნეიროფიზიოლოგები და სხვა სპეციალისტები. ამ სპეციალისტთა მიერ ავადმყოფის შესწავლის დროს მიღებული შედეგების დაბირისპირებით კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მონაცემებთან, კომპლექსური მსჯელობის შედეგად, ისმება ზუსტი დიაგნოზი. მხოლოდ ასეთი შესწავლის შემდეგ შეიძლება დადგინდეს, თუ რა ადგილას და რა დონეზე შეიძლება გაიხსნას თავის ქალას ან ხერხემლის ძვლოვანი ქსოვილი.


აქვე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი როლი თავის ტვინის ამა თუ იმ პათოლოგიური პროცესის მდებარეობისა და არსის განსაზღვრაში, რომელსაც თავის ტვინის პარაკუქტში ჰაერის შეყვანა თამაშობს. თავის ტვინის პარაკუქტში და სუბარაქნოიდურ სივრცეში ჰაერის შეყვანა, შემდგომი რენტგენოგრაფიით ან, როგორც მას უწოდებენ, — პნევმოენცეფალოგრაფია, დიდ დახმარებას უწევს ნეიროქირურგს. იგი ხშირად აზუსტებს როგორც დაავადების არსს, ისე მის მდებარეობას და ამით ნეიროქირურგისათვის ოპერაციული ჩარევის გეზის მაჩვენებელია.

ჩვენ ამ წერილში განვიხილავთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში თავისა და ზურგის ტვინზე წარმოებული ოპერაციების მეთოდოკას.

თავის ტვინში პათოლოგიური პროცესის — ტვინის ჩირქტროვა, სიმსივნე, ცისტის და სხვ. დადგენი-

სას, ნეიროქირურგი მიმართავს ოპერაციას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს. ადგილობრივი ტიკივრებით, იმისდა მიხედვით თუ ქალასარმიელ მილაკში კეთდება ოპერაცია, ტარდება ამა თუ იმ ფორმის განაკვეთი. ერთი კვეთით იკვეთება კანი და კანქვეშა ქსოვილი ქალას მყესოვან აბჯართან ერთად. სპეციალური მოჭებრების საშუალებით ხდება წვრილი სისხლძარღვების პირდაპირი სანათურების დახშვა. ამგვარად მიღებული კანის ნაფლეთი, რომელიც ფართო ფეხით დაკავშირებულია ქალას დანარჩენ კანთან და სხვა ქსოვილებთან, სცილდება ძვლისასარღვლას და გადაფინება თავისი ფიხის მიმართულებით. ტარდება განაკვეთი ძვლისასარღვლეზე, რამდენიმე ადგილას შიშვლდება ძვალი, რომელზედაც ხელის საზურდავით ედება რამდენიმე სატრეპანაციო ხვრელი. შემდეგ ორ მეზობელ ხვრელს შორის სპეციალური გამტარით ტარდება მავთულის ხერხი, რომლის საშუალებით ეს ორი ხვრელი ერთმანეთს უკავშირდება. ასე მეორდება სხვა ხვრელების მიმართაც. ამრიგად ქალას მთლიანი ძვლის კოლოფიდან ამოიხრება გარკვეული ნაწილი, რომელიც ძვლისასარღვლეთან ერთად გადაიწევა კანის ნაფლეთის მიმართულებით. ამრიგად, ნეიროქირურგის წინაშე თავის ტვინი და მისი გარსები აღმოჩნდება. ტვინის მაგარი გარსის გახსნისათვის საჭიროა მასში გამავალი სისხლძარღვების გადაკვანძვა ორ ნაკერს შორის, რომლის შემდეგ ფაქიზად იკვეთება მაგარი გარსი.

იმისდა მიხედვით, თუ რა დაავადებასთან გვაქვს საქმე, ამის შემდეგ ნეიროქირურგის ტაქტიკა სხვადასხვაგვარია. თუ სიმსივნე ტვინის გარსებიდან გამომდინარეობს, მაშინ საჭიროა ფაქიზი მანიპულაციით, ელექტროკოულატორის დახმარებით მისი გათიშვა სხვა ქსოვილებისაგან და ამოღება. თუ სიმ-



ნახ. 1. თავის ტვინის სიმსივნე — არაქნოიდენდოლოლიომა, ამოკვეთილი ოპერაციის დროს

სივრცე ტვინის ქსოვილში ღრმად მდებარეობს, წინასწარ ტვინის სპეციალური ზონდის ჩხვლეტით სიმსივნის მდებარეობის განსაზღვრის შემდეგ, ელექტროდანი იკვეთება ტვინის ქსოვილი, ფრთხილად განიერდება ჭრილობა და, თუ ეს შესაძლებელია, მთლიანად ხდება სიმსივნის მოცილება ტვინის ქსოვილიდან (ნახ. 1). თუ ეს შეუძლებელია, იკვეთება სიმსივნის გარსი — კაფსულა და სპეციალური მჭრელი კოვზის საშუალებით ამოიფხვიკება სიმსივნური ქსოვილი.

თუ ტვინის შემოფარგლულ ჩირქტროვასთან გვაქვს საქმე და მისი გარსი — კაფსულა კარგადაა განვითარებული, ხდება აბსცესის ამოსხვება. თუ ეს საშიშროებასთანაა დაკავშირებული, იხსნება აბსცესის კედელი, სპეციალური ამომწოვი აპარატით ხდება ჩირქის ამოწოვა, აბსცესის ღრუში ამორეცხვა ფიზიოლოგიური ხსნარით და მისი კედლების მოსხურება პენიცილინით, აბსცესის ღრუში კაუჩუკის მილის ჩატოვებით, რათა შედგომში შესაძლებელი შეიქნეს აბსცესის ღრუს ხელახალი გამორეცხვა და პენიცილინის ხსნარით მოსხურება.

თავის ტვინის აბსცესის ასეთი მეთოდით მკურნალობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი ერთ-ერთი ავადმყოფის ავადმყოფობის ისტორიას.

ავადმყოფი რ. გ. მ-შვილი (15 წლისა) ნეიროქირურგიულ განყოფილებაში შემოვიდა 1950 წლის 15 თებერვალს.

კლინიკაში შემოსვლისას ავადმყოფს აწუხებდა გულყრები — კრუნჩხვითი მოძრაობებით მარჯვენა ხელ-ფეხში, მეტყველებით გაძნელება, პერიოდული ხასიათის თავის ტკივილი, გულის რევა და პირღებინება.

ავადმყოფის ნეიროქირურგიულმა, ნევროლოგიულმა და ნეიროფთალმოლოგიურმა გამოკვლევამ დაადგინა სიმსივნური დაავადების არსებობა თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში. დაავადების ადგილმდებარეობის დაზუსტებისათვის მივმართეთ პნევმოცეფალოგრაფიას. ამ უკანასკნელმა, როგორც ეს მოყვანილი სურათიდან ჩანს (ნახ. 2.), დაადგინა სიმსივნური წარმოქმნის არსებობა თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს თხემის წილში.

1950 წლის 21 მარტს ავადმყოფს გაუკეთდა ოპერაცია. ოპერაციის დროს ტვინის ქსოვილში 1-1,5 სმ-ის სიღრმეზე ბუნეკით მივიღეთ მოყვითალო-მომწვანო ფერის ჩირქი. ნემსის მიმართულებით ელექტროდანი გაიხსნა აბსცესის კედელი. ვინაიდან კაფსულა ძალზე თხელი აღმოჩნდა, ღრუდან ამოიწოვა დაახლოებით 40-45 სმ<sup>3</sup> მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩირქი. ღრუში ჩადებულ იქნა კაუჩუკის მილი. ავადმყოფს ჩაუტარდა მკურნალობა პენიცილინით როგორც კუნთებში, ისე ადგილობრივად აბსცესის ღრუში შეყვანით.



ნახ. 2. ჩირქტროვა თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში (ნევროლოგია)

რამდენიმე დღის შემდეგ კაუჩუკის მილი ამოვიღეთ. ჭრილობა შეხორცდა გართულების გარეშე.

ოპერაციიდან გავიდა 4—5 წელი, ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს.

ნეიროქირურგიის განვითარებამ, ოპერაციული ტექნიკის სრულყოფამ შესაძლებელი გახადა ჩარევა თავის ტვინის გვერდით პარაკუბზე, მესამე და მეოთხე პარაკუბზე, რომლის ფსკერზედაც მდებარეობენ სასიცოცხლო ცენტრები.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოწოდებული იქნა თავის ტვინის სამწვერა ნერვის ნევრალგიის მიმე ფორმების ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდი, რომელიც მოგრძო ტვინში ამ ნერვის დაღმავალი ტრაქტის გადაკეთაში მდგომარეობს. ასეთი მეთოდით ამ მიმე დაავადებას წარმატებით მკურნალობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, როსტოვის, თბილისის და სხვა ნეიროქირურგიულ დაწესებულებებში.

ჩვენს კლინიკაში მოწოდებულია სამწვერა ნერვის დაღმავალი ტრაქტის აღმოჩენის ორიგინალური მეთოდი.

ჩვენი კლინიკა წარმატებით განაგრძობს თავის ტვინის სიმსივნური დაავადებების დიაგნოსტიკისა და ქირურგიული მკურნალობის მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას და სრულყოფას.

როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ნეიროქირურგიულ დაწესებულებებში, ისე ჩვენს კლინიკაშიც განსაკუთრებით კარგი შედეგებია მიღებული ზურგის ტვინის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობის საქმეში.

ჩვენი დაკვირვებით, ზურგის ტვინის სიმსივნეების დროული დიაგნოსტიკისა და ოპერაციული მკურნალობის შედეგად ავადმყოფთა თითქმის 80 % სრულიად გაუჯანსაღებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ოპერაციამდე ავადმყოფებს აღენიშნებათ კიდუ-

რგის დამბლები, შარდის ბუშტისა და სწორი ნაწილის ფუნქციების მოშლით, ოპერაციის შემდეგ მოძრაობა და ძალა კიდურებში ნორმას უბრუნდება, შარდის ბუშტისა და სწორი ნაწილის ფუნქციები სრულიად აღდგება (ნახ. 3).



ნახ. 3. ზურგის ტვინის სისხივნი, ამოკვეთილი ოპერაციული გზით

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს განყოფილებაში წარმოებულმა დაკვირვებებმა დაგვაჩვენა, რომ ხშირად იშიაზისა და რადიკულიტის შემთხვევებში აღგილი აქვს მალთაშორისი ხრტილოვანი ღსკოს გამოვარდნას ხერხემლის არხში, რაც თავისი ზეწოლით იწვევს ზურგის ტვინის ფესვების გაღიზიანებას. ამ დაავადების მკურნალობა სხვადასხვა სამკურნალო წამლო საშუალებებითა და ფიზიკური მეთოდებით არაერთარ შედეგს არ იძლევა. ოპერაციული ჩარევით გამოვარდნილი ღსკოს ამოკვეთა ავადმყოფს სრულიად აჯანსაღებს.

განსაკუთრებით უნდა შევჩრდეთ თავის ტვინის ტრავმულ დაავადებაზე, რომლის მკურნალობის საქმეში ნეიროქირურგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა თავის ტვინის ტრავმამიღებული რამდენიმე ასეული ავადმყოფი. უმრავლესობას გაუკეთდა ესა თუ ის ოპერაცია.

ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ტრავმული ეპილეფსია, რომლის ეტიოპათოგენისა და მკურნალობის შესახებ, მიუხედავად ამ თემაზე მრავალი ასეული შრომის გამოქვეყნებისა, ჯერჯერობით ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ტრავმული ეპილეფსიის ეტიოპათოგენის შესწავლისა და მკურნალობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ჩვენს კლინიკაში და იგი

ჩვენი მეცნიერული კომპლექსური კლინიკურ-ექსპერიმენტული ძიების საგანია.

ნეიროქირურგიის ერთ-ერთ საჭირობოპრობლემას კითხს თავის ტვინის ტრავმული შემუბება-გაფუების ეტიოპათოგენის შესწავლა და ამ მიტად საშიში გართულების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ამ გართულების შესახებ აკადემიკოსი ნ. ნ. ზურდენკო ამბობდა: „ვინც დაეუფლება ტვინის შემუბების გაფრთხილებისა და მკურნალობის ხელოვნებას, იგი დაეუფლება ავადმყოფის სიცოცხლისა და სიკვდილის გასაღებს“.

აქედან ჩანს, თუ რა აქტუალურია ტვინის შემუბება-გაფუების საკითხის შესწავლა. ამ მხრივ დიდი მუშაობა ტარდება საბჭოთა კავშირის წამყვანი ნეიროქირურგიულ დაწესებულებებში. ჩვენი კლინიკის კოლექტივი აწარმოებს ტვინის შემუბება-გაფუების ექსპერიმენტულ შესწავლას და, ხელმძღვანელობს რა დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. ბ. პავლოვის მოძღვრებით, თვლის, რომ იგი რეფლექსური წარმოშობისა. ამის შესაბამისად ჩვენს კლინიკაში მუშავდება მწვავე შემუბება-გაფუების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ორიგინალური მეთოდები.

ჩვენს რესპუბლიკაში სპეციალიზირებული ნეიროქირურგიული დაწესებულება მხოლოდ ერთია. ეს ავადმყოფი ჩვენი კოლექტივის ყველა წევრს კვლიეციური კონსულტაცია გაუწიოს სხვადასხვა რაიონების სამკურნალო დაწესებულებებს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადების დიაგნოზის დასუსტებაში და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრაში.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს ნეიროქირურგიული კლინიკის მთელ კოლექტივს, ხელმძღვანელობს რა რუსეთის წამყვანი ნეიროქირურგიული დაწესებულებების მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილებით, გარკვეული წვლილი შეაქვს ცენტრალური ნერვული სისტემის ქირურგიის ჩვენს რესპუბლიკაში დაწერვისა და საერთოდ მისი განვითარების საქმეში.

ჩვენი გვრძნობთ, რომ ჩვენი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის ამაღლებასაკენ, მის საკეთილდღეოდ. ამიტომ ჩვენი ყოველდღიური კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესება, სრულყოფა.



# საბჭოთა კარტოგრაფიის ახალი მიღწევები



(ახლად გამოსული გეოგრაფიული ატლასების მიმოხილვა)

აქემსარჩა ასლანიკაშვილი

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

## I

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კარტოგრაფიულმა მეცნიერებამ და მრეწველობამ სახელოვნად დაავიწყებინა დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის შემოქმედებითი სამუშაოები და სამშობლოს მისცა ისეთი ახალი, კაპიტალური კარტოგრაფიული ნაშრომები, რომლებიც ძვირფასი განაძალ შევსებდნენ მსოფლიო კარტოგრაფიის ოქროს ფონდში. ეს არის საზღვაო ატლასი, რომლის პირველი ტომი 1950 წელს, ხოლო მეორე ტომი 1953 წელს გამოვიდა, და მსოფლიოს ატლასი, დიდი სამაგიდო ფორმატისა, რომელიც 1954 წელს გამოიცა.

ამ კაპიტალური კარტოგრაფიული შრომების გარდა საბჭოთა მკითხველმა 1954 წელს მიიღო უფრო მომცრო ზომის, მაგრამ უაღრესად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობის ორი ატლასი — საბჭოთა კავშირისა (საშუალო ფორმატის) და მსოფლიოსი (მცირე ფორმატის).

დიდი ნაშუქარი მიიღო აგრეთვე საბჭოთა მსწავლებლობამ — გეოგრაფიული ატლასი, რომელიც 1954 წელს გამოვიდა.

აღნიშნული ატლასების შექმნა და გამოცემა ომის შემდგომი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ესაა არა მარტო საბჭოთა კარტოგრაფიული მეცნიერებისა და მრეწველობის, არამედ საერთოდ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და საბჭოთა ადამიანის კულტურის დონისა და მის კულტურულ მოთხოვნილებათა განუხრელი ზრდის შედეგი.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევეცდებით რამდენაღმე გავაცნოთ მკითხველს აღნიშნული ატლასების მნიშვნელობა და შინაარსი.

### საზღვაო ატლასი

საზღვაო ატლასი მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ გრანდიოზულ კარტოგრაფიულ ქმნილებას წარმოადგენს, რომელიც ზღვების შესახებ არსებულ ცოდნათა თანამედროვე დონეს შეესაბამება და ზღვაოსანთა და მეცნიერთა დიდ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი წარმოადგენს ფუნდამენტალურ კარ-

ტოგრაფიულ სახელმძღვანელოს ოკეანეებისა და ზღვების გეოგრაფიის შესახებ, საცნობარო ხასიათის კარტოგრაფიულ თხზულებას, რომელიც უნდა მოემსახუროს სამეცნიერო დაწესებულებებს, შტაბებს, აკადემიებს და საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის ოფიცრებს. ამასთან ერთად, ეს ატლასი წარმოადგენს სამეცნიერო სახელმძღვანელოს საზღვაოსავეპრო და სარეწაო ფლოტის კაპიტანებისა და შტურმანებისათვის, აგრეთვე საბჭოთა, პარტიულ და მეცნიერ მუშაკთა ფართო წრეებისათვის ისევე, როგორც უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზღვების გეოგრაფიას სწავლობენ.

საბჭოთა სახელმწიფო თითხმეტ ზღვას ეკვრის და სამ ოკეანესთანაა დაკავშირებული. საბჭოთა გემები, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას მთელი მსოფლიოს ქვეყნებთან, ყველა საზღვაო და საოკეანო გზით სასაგებობენ, ხოლო საბჭოთა სარეწაო გემები წარმატებით ეუფლებიან არქტიკისა და ანტარქტიკის წყლებს.

საბჭოთა სახელმწიფოს ფლოტი სამართლიანად ამყობს არა მარტო თავისი საბრძოლო ტრადიციებით, არამედ იმ დიდი საკანაშურითაც, რაც მან მსოფლიო ოკეანის შესწავლის საქმეს შემატა. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობამ დიდი საზღვაო ატლასის შექმნა სწორედ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს დაავალა. ამ სამინისტროს მუშაებთან თანამშრომლობდნენ საბჭოთა გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები და კარტოგრაფ-პრაქტიკოსთა დიდი კოლექტივი.

ატლასის პროგრამა 1941 წლის აპრილში იქნა დამტკიცებული, შეიქმნა სარედაქციო კოლეგია: პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა პროფესორი, ფლოტის აღმირალი ი. ს. ისაკოვი, მთავარ რედაქტორად — დოცენტი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პირველი რანგის ინჟინერ-კაპიტანი ლ. ა. ლემინი. პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეებად პირველი ტომისათვის — დოცენტი, საზღვაო-სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, კონტრ-ადმირალი ვ. ა. ბეტროვსკი, მეორე ტომისათვის —

აკადემიკოსი, პირველი ტომის ინჟინერ-კაპიტანი ვ. ვ. შულეიკინი.


1947 წლის იანვარში საზღვაო ატლასის პროგრამა და სასიხვი რუკები განხილულ იქნა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ყრილობის მიერ. ყრილობამ ეს ნიმუშები მოიწონა.

საზღვაო ატლასი მსოფლიოს კომპლექსურ ატლასს წარმოადგენს და თავისი შინაარსის მიხედვით სამ ტომად იყოფა: პირველი ტომია სანავიგაციო-გეოგრაფიული, მეორე — ფიზიკურ-გეოგრაფიული და მესამე — სამხედრო-პოლიტიკური, რომელიც ჯერ არ გამოსულა.

საზღვაო ატლასის I ტომი, სანავიგაციო-გეოგრაფიული\* (ფორმატი:  $37 \times 51$  სმ) შეიცავს ოკეანეების, ზღვებისა და ზღვაოსნობისათვის საინტერესო ცალკეული რაიონების, სრუტეების, უბეების, კუნძულთა ჯგუფების, მსოფლიოს უმთავრესი ნავსადგურების ზოგადგეოგრაფიულ რუკებს და იძლევა სანავიგაციო-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს ამ ობიექტთა შესახებ. ყველა რუკა, როგორც წესი, მეტრატორის პროექციაშია შედგენილი, რადგან მხოლოდ ეს პროექცია იძლევა სანავიგაციო ხასიათის დაუმახინჯებელ მონაცემებს.

ატლასის პირველი ტომის რუკები 83 ფურცელზეა გეოგრაფიული თანმიმდევრობით განლაგებული, წერილი მასშტაბებიდან მსხვილ მასშტაბებზე გადასვლით. პირველ განყოფილებაში ოკეანეთა სამიზონილო რუკებია თავმოყრილი, დანარჩენი ათი განყოფილება შეიცავს ზღვების ჯგუფებისა და ოკეანის ნაწილების რუკათა შემდეგ კოლექციებს: ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის ზღვები, ატლანტის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ზღვები, ხმელთაშუა ზღვის აუზი და აფრიკის სანაპიროები, ინდოეთის ოკეანის ჩრდილო ნაწილი, ავსტრალია და ოკეანია, ავსტრალია-აზიის ზღვები, შორეული აღმოსავლეთის ზღვები, წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილი, ჩრდილო ამერიკის ატლანტის ოკეანისა და წყნარი ოკეანის სანაპიროები, სამხრეთ ამერიკა და ოკეანეთა მიმდებარე ნაწილები. ყოველი კოლექციის დასაწყისში მოცემულია ზღვების საბიზონოლო რუკები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული ზღვების ერთიანი მიმოხილვის საშუალებას იძლევიან. ამ რუკათა უმრავლესობა ერთ საერთო მასშტაბშია ( $1:10.000.000$ ) მოცემული, რაც აადვილებს მათ ურთიერთ შედარებას. უფრო დაწვრილებითი შესწავლისათვის მოცემულია ზღვათა გენერალური რუკები  $1:5.000.000$  და  $1:3.000.000$  მასშტაბებში. ამ რუკათა შორის აღსანიშნავია შვიდი, აზოვისა და კასპიის ზღვების რუკები, რომლებიც კიდევ უფრო და-

წვრილებითაა მოცემული იმ ცალკეული საზღვაო რაიონების რუკები, რომლებიც მსხვილზღვაოსნობის სირთულის გამო განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ. მათი მასშტაბი კიდევ უფრო მსხვილია ( $1:1.500.000$ -დან  $1:150.000$ -დე). მათ შორის არის, მაგალითად, სუეცის არხისა და დარდანელის სრუტის რუკები  $1:500.000$  მასშტაბისა, აგრეთვე ბოსფორის სრუტის რუკა  $1:150.000$  მასშტაბისა და სხვა მნიშვნელოვანი ნავსადგურებისა და სამხედრო-საზღვაო ბაზების გეგმები.



ატლასის რუკები ისეა გაფორმებული, რომ ყოველ მათგანზე ადვილად ხერხდება გეოგრაფიული კოორდინატებისა და მანძილების განსაზღვრა. ყველა რუკა შედგენილია ახალ მასალაზე დაყრდნობით. ზღვებისა და ოკეანეების სიღრმეები ნაჩვენებია ნიშნულებით და იზობათებით. სანაპირო ხაზიდან მატერიკული ფერდობის დაწყებამდე (200 მეტრამდე) ზღვის ძირის რელიეფი უფრო დეტალურადაა გამოსახული (2, 5, 10, 20, 50, 100 და 200 მეტრიანი იზობათებით, მასშტაბის შესაბამისად), მატერიკულ ფერდობზე 500 და 1000-მეტრიანი იზობათებია გავლებული, ხოლო ოკეანეთა ძირზე—მხოლოდ 1000-მეტრიანი. ოკეანის ფსკერის რელიეფის ციხვას ძალზე აადვილებს სიღრმითი საფეხურების კარგად შერჩეული ფერები, განსაკუთრებული სანავიგაციო მნიშვნელობა აქვს ლამიანი სანაპიროების 0-10-მეტრიანი საფეხურის გამოყოფას განსხვავებული ფერით.

\* Морской атлас, том I, навигационно-географический. Военно-морское министерство Союза ССР, Издание морского генерального штаба, 1950 г.

ოკეანის ფსკერის რელიეფის მსხვილი ფორმები (ქვაბურები, ღრმა ღრმულები, ჭორომები, ქედები და ზეგნები) გამოყოფილი და აღნიშნულია საკუთარი სახელებით. ყველა რუკაზე სიღრმითი ნიშნულებთან ერთად ნაჩვენებია გრუნტის ხასიათი შემდეგნაირად ნაწილაკების ზომების მიხედვით (მაგ., ლოდები, როჭვი და რიყე, თიხა, თიხოვანი ლამი, ქვრა, კლდოვანი გრუნტი, მარჯანი და სხვ.).

სამომხილოვ და გენერალური რუკების სატიტულო გვერდებზე მოცემულია ცნობები ზღვის მიმოქცევის ხასიათის შესახებ.



ზღვის დინებანი ნაჩვენებია სამომხილოვ და გენერალურ რუკებზე ზამთრისათვის, ხოლო ზღვებში, რომლებიც იყინება — ზაფხულისათვის. ყველანაჩვენებია აგრეთვე მცურავი ყინულების გავრცელების საზღვარი თვისა ან სეზონის აღნიშვნით. „უძრავ ყინულებად“ აღნიშნულია უზნები, რომელთა გადალახვა მხოლოდ ყინულმჭრელებს შეუძლიათ.

საოკეანო და ზღვების სამომხილოვ რუკებზე ნაჩვენებია საოკეანო გზები მიმართულების, სანაოსნო თევების და მანძილების აღნიშვნით. ყველა რუკაზე გამოსახულია სახელმწიფო საზღვრები როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო ატლასის ოკეანეებისა და ზღვების ყველა რუკაზე არანაკლები გულმოდგინებით არის დამუშავებული ხმელეთიც. საზღვაო რუკებზე გამოსახული ხმელეთი ისეთივე დეტალური ზოგადგეოგრაფიული შინაარსისაა, როგორც ზღვები. ხმელეთის რელიეფი გამოსახულია ჰიქსომეტრიულად და მასშტაბისა და რელიეფის თავისებურებებთან შესაბამისი კვეთისიმალებით.

ატლასის ბირველი ტომი სარგებლობას ხაზგანმართლად აადვილებს გეოგრაფულ სახელწოდებათა მაჩვენებელი\*, რომელიც ცალკე წიგნად ერთის მას. მაჩვენებელში შეტანილია ატლასის რუკებზე გამოსახული ყოველი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებათა კოორდინატების ჩვენებით. ამ სახელწოდებათა რიცხვი 120 ათას აღწევს. მაჩვენებელში მოცემულია აგრეთვე გეოგრაფიულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი და გრცელი განმარტება საზღვაო ატლასში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსკრიპციის თავისებურებებისა და მეთოდების შესახებ.

საზღვაო ატლასის ბირველი ტომი იმდენად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, რომ მან სტალინური ბრემია დაიმსახურა.

საზღვაო ატლასის II ტომი\*\* წარმოადგენს მსოფლიო ოკეანის კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ატლასს, რომელიც ასეთი სრული შინაარსით ჯერ არც ერთ ქვეყანას არ გამოუცია.

ატლასი ომბი ნაწილისაგან შედგება. ბირველ ნაწილში — „უმთავრესი საზღვაო ნაოსნობანი და ექსპედიციები“ — მოცემულია ცნობები გეოგრაფიულ აღმოჩენათა და ზღვებისა და ოკეანეების გამოკვლევათა ისტორიიდან. მეორე ნაწილში — „ოკეანიაგრაფია“ — გაშუქებულია ოკეანეთა ჰიდროლოგიური რეჟიმი, ოკეანის ფსკერის აღნაგობა და ზღვის ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი. მესამე ნაწილში — „კლიმატი“ — წარმოდგენილია მსოფლიო ოკეანის კლიმატი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები მთელი დედამიწისათვის. მეოთხე ნაწილია „დედამიწის მავნიტიზმი, კარტოგრაფია, ასტრონომია“, იგი შეიცავს ამ საკითხებთან დაკავშირებულ ზოგად ცნობებს და საცნობარო მონაცემებს.

ატლასის ბირველ, შესავალ ნაწილში მრავალგვარი კარტოგრაფიული სახვითი საშუალებით არის განსახიერებული ის უმთავრესი საზღვაო ცურვანი და ექსპედიციები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და ოკეანეებისა და ზღვების შესწავლაში. ატლასის ექვს ფურცელზე განლაგებული მრავალი რუკა სრულ წარმოდგენას იძლევა რუსი და საბჭოთა მეზღვაურების წამყვანი როლის შესახებ მსოფლიო ოკეანის გამოკვლევებში ეს რუკები ნათლად დაასტურებენ რუს მკვლევართა უდავო პრიორიტეტს მთელ რეგეოგრაფიულ აღმოჩენებში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის განსახიერებული რუს მოგზაურთა აღმოჩენები აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ უკიდურეს რაიონებში, ანტარქტიკაში. წყნარ და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეებში. „ოკეანოგრაფია“-ს დათმობილი აქვს ატლასის

\* Морской атлас, том I. Указатель географических названий. Военно-Морское министерство Союза ССР. Издание Морского генерального штаба, 1952 г.

\*\* Морской атлас, том II, физико-географический. Военно-морское министерство Союза ССР. Издание Морского генерального штаба, 1953 год.



33 გვერდი, აქ მოცემულია მსოფლიო ოკეანის ფსკერის რელიეფის საერთო რუკა და ცალკეულ ოკეანეთა ფსკერის რელიეფის რუკები. ამ რუკებზე საინტერესოა ცნობები მოცემული დედამიწის ქერქის აღნაგობისა და მისი ფორმირების პროცესების შესახებ როგორც ოკეანეთა ფსკერზე, ისე კონტინენტებზე. აღსანიშნავია, რომ მრავალრიცხოვანი ბათიმეტრიული მონაცემებისა და გეოფიზიკურ დაკვირვებათა მაქსიმალურმა გამოყენებამ, ატლასის ამ რუკათა ავტორებს, შესაძლებლობა მისცა დაედგინათ ზოგერთი ურთულესი დამოკიდებულებანი რელიეფსა და ტექტონიკას შორის და ამ გზით გამოველინებინათ ოკეანის ფსკერის ძირითადი გეომორფოლოგიური ნიშნები. ამ მხრივ საინტერესოა რუკებზე კარგად გამოსახული ხმელეთის ფორმათა გავრცელებანი წყლის ქვეშ, რაც დიდ დახმარებას გვიწევს ოკეანის ფსკერის აღნაგობის ხასიათის გამოვლინებაში.

დიდად სასარგებლო მუშაობა ჩატარებია ატლასის მთავარ რედაქციას ოკეანის ფსკერის წყალქვეშა რელიეფის მსხვილ ფორმათა ტერმინებისა და სახელწოდებების დადგენა-მოწესრიგების საზიო. მაგალითად, ანტარქტიკული ღრმულებისა და მდლობების რთული სახელწოდებანი შეცვლილია მოკლე სახელწოდებებით. ამას გარდა ატლასის ამ რუკებზე პირველად ვხედავთ ინდოეთის ოკეანის, ცენტრალურ და აღმოსავლეთ წყნარი ოკეანის ღრმულთა მკაფიო გამოსახულებებს.


დიდ მცნეირულ ინტერესს წარმოადგენს რუკა „მიწისძვრები და ვულკანები“, რომელიც დედამიწის ქერქის უფრო მეტად მოძრაე უბნებსა და იმ გეოტექტონიკურ კანონზომიერებათა ხასიათს გვიჩვენებს, რომლებიც ოკეანეთა ფსკერისა და მატერიკების გეომორფოლოგიურ თავისებურებებს აპირობებენ. რუკა—„კონტინენტებისა და ოკეანეთა ფსკერების გეომორფოლოგია“ — გამოსახავს დედამიწის ქერქის რელიეფის ძირითად ტიპებს. ამ ტიპთა კლასიფიკაციას, როგორც რუკიდან ჩანს, საფუძვლად უდევს გეოტექტონიკური პრინციპი და მისაზრება, რომ დედამიწის ქერქის ფორმირების პროცესი მატერიკებისა და ოკეანეთის ფარგლებში ერთნაირია.

დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე მსოფლიო ოკეანის გრუნტების, სანაპიროთა ტიპების, ტემპერატურის, მარილიანობის, სიმკვრივის, ყინულების, მოცვევებისა და დღვების რუკები, რომლებიც ოკეანეთა ჰიდროლოგიურ რეჟიმს ასახვენ. ზღვის დინებათა რუკებზე გამოსახულია მუდმივ ზედაპირულ დინებათა სისტემები ზამთრისა და ზაფხულისათვის. ცალკეულ ოკეანეთა დინებების რუკაზე ნაჩვენებია მათი ტემპერატურული სხვაობები.

რუკა—„ოკეანეთა მცენარეული და ცხოველთა სამყარო“—გვიჩვენებს მსოფლიო ოკეანის ბიოგეოგრაფიულ დარაიონებას და ზღვის ცხოველებისა და მცენარეების ძირითადი ჯგუფების გავრცელებას. სა-

ინტერესოა, რომ ამ დარაიონების საფუძვლად მიღებულია გავრცელებული პლანქტონისა და ფსკერის ფაუნის სახეობრივი შემადგენლობა.

კლიმატურ რუკებზე მოცემულია ცნობები ული მატის შემქმნელი ფაქტორების შესახებ, ნაჩვენებია ძირითად მეტეოროლოგიურ ელემენტთა გეოგრაფიული განლაგება და მოცემულია დედამიწის კლიმატური დარაიონება. ატლასის ამ ნაწილში ჩვენ ვხვდებით, მაგალითად, უაღრესად საინტერესო შინაარსის შემდეგ რუკებს: „დედამიწის ზედაპირის სითბოს ბალანსი“, „ჰაერის წნევა და ქარი“, „წყლი-



სა და ჰაერის ტემპერატურათა სხვაობა“, „ჩრდილო ნახევარსფეროს ციკლონებისა და ანტიციკლონების გადანაცვლებათა ძირითადი მიმართულებანი“ და სხვ.

საინტერესოა ცნობები მოცემული ჰაერის მასების სეზონური გადანაცვლების რუკაზე. რუკა გვიჩვენებს — იმდენად მნიშვნელოვანია ჰაერის მასების სეზონური გადანაცვლება, რომ მას თან ახლავს დედამიწის ბრუნვის წამიერი ღერძის რხევა, რაც სათანადო გრაფიკების სახითაა რუკაზე გამოსახული.

„დედამიწის კლიმატური ზონებისა და ოლქების რუკა“ წარმოადგენს დედამიწის კლიმატური დარაიონების ერთ-ერთ სრულ სქემას, იგი გენეტურ პრინციპზეა აგებული და მატერიკებისა და ოკეანეთების კლიმატთა ერთ სქემაში გაერთიანების საშუალებას იძლევა. ყოველი ნახევარსფეროსათვის გამოყოფილია ოთხი ძირითადი კლიმატური ზონა—ეკვა-

ტორული, ტროიკული, ზომიერი და არტეკული (ან ანტარტიკული) და სამი გარდამავალი ზონა — სუბეკვატორიალური, სუბტროპიკული და სუბარტიკული. ზონები იყოფა ოლქებად ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებებით და ამინდის საერთო ხასიათთან დაკავშირებით.

ცალკე რუკებადაა გამოსახული ქარის მიმართულება და ძალა, გრივალი წლის ყოველი თვისათვის, აგრეთვე დრუბლიანობა, ნისლი, ხილვადობა, ატმოსფერული ნალექების განაწილება.

დღღამიურს მაგნიტიზმი წარმოდგენილია გეომაგნიტური რუკებით. ცალკეა მოცემული მაგნიტურ მიხრილობათა, დახრილობათა და ვერტიკალურ და პორიზონტალურ შემადგენელთა რუკები 1950 წლის ეპოქისათვის.

ატლასის ერთი ფურცელი დათმობილი აქვს ზღვების, უბეების და სრუტეების შედარებითი ზომების თვალსაჩინო კარტოგრაფიულ გამოსახულებებს, რომლებზედაც კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ცნობებია მოყვანილი (მოცულობა, საშუალო სიღრმე, უდიდესი სიღრმე, საზღვრები უბეებსა და სრუტეებს შორის და სხვა).

ატლასის ის ფურცელი, რომელიც კარტოგრაფიულ პროექციებს აქვს დათმობილი, წარმოდგენს იქილება მათემატიკური კარტოგრაფიის საფუძვლების შესახებ და გვაძლევს ატლასში გამოყენებულ პროექციების კრიტიკული შეფასების საშუალებას.

საინტერესო სასტრონომიული ცნობებია მოცემული ატლასის ასტრონომიული ნაწილის რუკებზე. ვარსკვლავთა ცის რუკების ნეგატიური გამოსახულება მნათობთა კოორდინატების ადვილად აღზნის საშუალებას იძლევა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზღვაო ატლასის მეორე ტომი დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მეცნიერული განვითარებების შედეგს წარმოადგენს. მის შედგენაში გამოყენებულია არა მარტო მრავალწლოვანი ოკეანოგრაფიული დაკვირვებანი და სპეციალური ექსპედიციების შედეგები, არამედ უდიდესი ლიტერატურა ზღვების გეოგრაფიისა და ზღვაოსნობის ისტორიის შესახებ; უამრავი ცნობარები, სახელმძღვანელოებები და კატალოგები, სარქივი მასალები და ხელნაწერები, ლოცვები და რუკები. ატლასის მრავალი რუკა სრულიად ორიგინალური სამეცნიერო კვლევის შედეგს წარმოადგენს, მათი ნაწილი სრულიად ახალ, წინათ დაუშუშავებულ თემებს ეხება. განსაკუთრებით მდიდარია ატლასი კარტოგრაფიული სახეობის საშუალებების მრავალფეროვანებით და მრავალი ახალი სახეობით მეთოდების გამოყენებით. ატლასის ამ ტომის შედგენაში მონაწილეობა მიიღო საკავშირო მნიშვნელობის ათზე მეტმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ.

(გაგრძელება იქნება)


**სატვირთო მოტოციკლების და ტექნიკის ქილკები**

**სატვირთო მოტოციკლი**

ხშირად საჭიროა ტვირთის მცირე ბარტის გადაზიდვა — ნაკლები ნივთების მიტანა მაღალიდან სახლში, ფოსტის დატარება და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში დიდი ტვირთტევადობის მანქანების გამოყენება არამისაშენებელია. გაცილებით ეკონომიურია ამის გაკეთება სატვირთო მოტოციკლით, რომელიც დაკონსტრუქციებულია ინჟინერ ე. ე. ბახჩივანჯის მიერ. ჩვეულებრივ მოტოციკლს წინიდან მან დაამაგრა სატვირთო ურიკა 0,8 კუბური მეტრი მოცულობით. მასში 150 კგ ტვირთი ეტევა. მოტოციკლის მართვა ხორციელდება ურიკის მობრუნებით. ურიკის მოთავსება წინ მოტოციკლის ჩარჩოს განტვირთავს მღუნავი ძალებიდან და აშუსუბუქებს მოტოციკლის მართვას.

სატვირთო მოტოციკლის დამატებით უპირატესობას წარმოადგენს უკომპრესორო სამაცივრო სისტემის დადგენის შესაძლებლობა. ეს სისტემა მუშაობს სითბოთი, რომელსაც ძრავი გამოყოფს. ამისათვის ცილინდრის თავში დადგმულია კლაკნილა, შეერთებული ძარის იატაკზე დადგმული რადიატორის

რომ მეტად მარტივია, უზრუნველყოფს ტემპერატურის მნიშვნელოვნად დაწვეს ურიკაში და ამავე დროს გადამტებურებისაგან იცავს ძრავს. მოტოციკლი არ მოითხოვს სპეციალურ გარაკს, მისი შენახვა მაღალიის შენობაშიც შეიძლება. მოტოციკლით მოძრაობის სის-



შლანთან, გაცივების სისტემაში წრავე — 60 კილომეტრამდეა სისხმება გამაგრილებელი ხსნარი. ათში, საწვავის ხარჯი — 3,5 ლიტრით კონსტრუქცია, გარდა იმისა, ტრი 100 კილომეტრ გზაზე.

## იუსტინე ივანეს-ძე ჯანელიძე

ივანე ნიკოძეძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გამოჩენილი ქირურგი ი. ი. ჯანელიძე ეკუთვნის საბჭოთა მედიცინის მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლედას, რომელთაც თავისი ნოვატორული შემოქმედებითი შრომით ხელი შეუწყო ჩვენი მეცნიერების მძლავრი აღმავლობით განვითარებას. ი. ი. ჯანელიძემ ბრწყინვალედ გადატარა ქირურგიის მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი.

ი. ი. ჯანელიძე დაიბადა 1883 წ. 2 აგვისტოს სამტრედიოში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ აქედან მალე გარიცხეს სტუდენტთა „არეულობაში“ მონაწილეობის გამო და ამიტომ იძულებული იყო უმაღლესი განათლება მიეღო თსსს-ში — შვეიცარიაში, სადაც 1909 წ. დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, რუსეთში საექიმო მუშაობის უფლების მიღებისათვის, არსებული წესის თანახმად, მას უნდა ჩაებარებინა სახელმწიფო გამოცდები, რაც მან წარმატებით შეასრულა 1910 წ. მოსკოვის უნივერსიტეტში.

თავისი საექიმო მუშაობა ი. ი. ჯანელიძემ დაიწყო პეტერბურგში პეტრე-პავლეს საავადმყოფოში, რომელიც წარმოადგენდა ქალთა სამედიცინო ინსტიტუტის (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ — ლენინსკის 1 სამედიცინო ინსტიტუტი) კოინიკების სამუშაო ადგილს. საექიმო მუშაობის მეორე წელს (1912 წ.) ი. ი. ჯანელიძე უკვე პროფ. კადიანის ასისტენტად მიიწვიეს, ხოლო 1920 წელს ამავე ინსტიტუტში მან შეიქმნა გამოჩენილი პროფესორი ნ. ა. ედლიმინოვი. 1927 წ. ი. ი. ჯანელიძე არჩეულიქნა ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის გამგედ.

თავისი დიდი შრომისმოყვარეობის, ღრმა ცოდნის, უბაღლო პედაგოგიური და ორგანიზატორული ნიჭის გამო ი. ი. ჯანელიძემ არამეტოუ ღირსეულად განაგრძო თავისი გამოჩენილ წინამორბედ მეცნიერთა მუშაობა, არამედ კიდევაც ასწია იგი უფრო მაღალ

საფეხურზე და თავის კლინიკას დიდი სახელი მოუპოვა მთელს საბჭოთა კავშირში. მის კლინიკას ლენინგრადში სამკურნალოდ ეტანებოდა მრავალი ავადმყოფი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ხოლო ექიმები — დახელოვნებულნი — სადა სამეცნიერო მუშაობის მიზნით, რადგან მან ბრწყინვალე ქირურგისა, უნიჭიერე სი პედაგოგისა და ღრმა დ. ფართო ცოდნის მქონე მეცნიერის სახელი დაიმკვიდრა.



ი. ი. ჯანელიძის პირველი სამეცნიერო შრომა — გულის ჭრილობის ოპერაციული განკურნების შესახებ გამოქვეყნდა 1913 წელს და მის შემდეგ 40 წლის მოღვაწეობის მანძილზე თავისი შრომებით ძვირფასი წვლილი შექმნიდა საბჭოთა ქირურგიის საგანძურში. მისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის სტილისათვის დასახსიათებელია ქირურგიის პათოლოგიიდან მრავალფეროვანი და დამუშავებული საკითხების კვლევა დიდი კლინიკური დაკვირვების საფუძველზე და

მათი წესტი და ორიგინალური ხერხებით გადატარა და პრაქტიკულ ქირურგიაში დანერგვა.

ფართო გამოყენება მოიპოვა საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ მის მიერ დამუშავებული მხრის და ბარძაყის სახსრების ამოვარდნილობის ჩაყენების წესმა, რომელიც ყველა სახელმძღვანელოში შეტანილია როგორც „ჯანელიძის წესი“. მისი მონოგრაფია „გულის ჭრილობები და მათი ქირურგიული მკურნალობა“ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს ყოველი ქირურგისათვის. ი. ი. ჯანელიძის ბაღალი არა ჰყავდა პლასტიკურ ქირურგიაში. მას ეკუთვნის კანის გადაწერვის და სახის, განსაკუთრებით, დაზარებული ცხვირის პლასტიკის შესანიშნავი დამუშავება; მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით მოგვაწოდა მან დიდ მასალაზე შემოწმებული სიღამწერების ეფექტიანი მკურნალობა; მან გააფართოვა გულმკერდის ქირურგია და თითქმის ქირურგისათვის ერთ ღროს აკრძალული გულმკერდის ღრუ პრაქტიკისი ქირურგისათვის სახეებით მისაწვდომ ადვილად გა-

დაქცია. ფილტვების უცხო სხეულების (ტყვია, ყუმბარის ნამსხვრევები და სხვ.) ამოღება და, განსაკუთრებით, ცეცხლსაროლი ჭრილობების გამო წარმოშობილი ბრონქიალური სერვომილების ოპერაციული მკურნალობა მან საბჭოთა ქირურგიის ბრწყინვალე მიღწევად გახადა, რისთვისაც მას სტალინური პრემია მიენიჭა.

ი. ი. ჯანელიძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ისახავდა ქირურგიის პრაქტიკული შესაძლებლობის რაც შეიძლება ფართოდ განოყენებას. შემთხვევითი არ არის, რომ ი. ი. ჯანელიძემ, გარდა ინსტიტუტის კლინიკისა, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე პერვუნინის საავადმყოფოს (ლენინგრადი) ქირურგიულ განყოფილებაში გადაუღებელ ქირურგიულ პრაქტიკულ სამუშაოზე, ხოლო 1933 წ., როდესაც ეს საავადმყოფო სასწრაფო დახმარების ინსტიტუტად გადაკეთდა, იგი შეიქნა მისი სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამ ინსტიტუტში, რომელსაც ახლა ი. ი. ჯანელიძის სახელი მიეკუთვნა, გაშლილ ღრმა სამეცნიერო მუშაობის საფუძველზე შემუშავდა მკურნალობის მრავალი მეთოდი, რომლებიც შემდეგში მთელ კავშირში ინერგებოდა. შეუძლებელია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის გადაფასება მუცლის ქირურგიის — აპენდიციტის, კუჭის წყლულის, ნაწლავთა გაუვალობისა და სხვა მთელი რიგი აქტუალური საკითხების გადაჭრა-დამუშავებაში.

ი. ი. ჯანელიძე, გარდა სამეცნიერო პრაქტიკულ-ბედაგოგიური მუშაობისა, დატვირთული იყო აგრეთვე რედაქციული საქმიანობით. იგი იყო თითქმის ყველა მსგევი გამოცემა და ქირურგიული ჟურნალების — «Опыт советской медицины в Великой Отечественной войне 1941—1945 гг.», «Новый хирургический архив», «Хирургия», «Вестник хирургии им. Грекова» და სხვ. სარედაქციო კოლეგიების წევრი ან რედაქტორი.

ი. ი. ჯანელიძე ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ქირურგიულ ყრილობებზე და ქირურგიულ საზოგადოებებში, რომელთა მუშაობის მაღალი მეცნიერული დონით წარმართაუბა მას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრებოდა მისი როლი. პიროგოვის ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე (1950 წ. 15/III), რომელიც ი. ი. ჯანელიძის სსონისადმი იყო მიძღვნილი, რუსული მედიცინის ცნობილმა ისტორიკოსმა და ქირურგმა პროფ. ა. მ. შაბლდოვსკიმ განაცხადა: «მე არ შეეყოყმანდები ვთქვა, რომ იუსტინე ივლიანეს-ძის როლი იყო ღრმა აღმზრდლობითი ხასიათისა. და იგი ზრდიდა ხანდახან საზოგადოების სხდომაზე მხო-

ლოდ თავისი დასწრებით. საზოგადოების არა ერთი წევრი, იცოდა რა, რომ მას მოუხმენს ი. ი. ჯანელიძე, იძულებული იყო ჯერ გულმოდგინედ მიეფიქრა ბინა თავისი გამოვლა, ვიდრე იგი თუნდაც მარტო კამათში გამოვიდოდა“.

როგორც საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი ქირურგი, 1946 წ. ი. ი. ჯანელიძე არჩულ იქნა 25-ე საერთაშორეო საკავშირო ქირურგიული ყრილობის თავმჯდომარედ; რამდენჯერ იყო არჩეული ლენინგრადის პიროგოვის სახელობის ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარედ; იყო აგრეთვე ამავე საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს ქირურგიული საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე; 1944 წ. არჩეულ იქნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946 წ. როგორც საბჭოთა კავშირის დიდი ავტორიტეტის მქონე ქირურგი, ი. ი. ჯანელიძე აირჩიეს საკავშირო ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარედ.

ი. ი. ჯანელიძის დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა განსაკუთრებული გასაქანი პოვა დიდი სამამულო ომის პერიოდში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგის თანამდებობის შესრულების დროს. იგი გამუდმებით მოძრაობდა და ყველგან დიდ დახმარებას უწევს დაჭრილთა მკურნალობის საქმეს. გმირულ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაჭრილ მეზღვაურთა და ოფიცერთა მკურნალობის ორგანიზაციის რთულ საქმეში მისი დიდი გამოცდილებით, ღრმა ცოდნით ჩატარებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუშაობა ღირსეულად იქნა დაფასებული საბჭოთა მთავრობის მიერ და მედიცინის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტს ი. ი. ჯანელიძეს 1945 წ. საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ი. ი. ჯანელიძე დიდი სამამულო ომის წლებში მხირად ესტუმრებოდა ხოლმე საქართველოს და მონაწილეობას ღებულობდა არა მარტო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, იგი აგრეთვე პრაქტიკულადც მუშაობდა თბილისის და სხვა ქალაქების ევაკო-პოსპიტლებში. ყოველი მისი მონაწილეობა კონფერენციების მუშაობაში ან მისთვის ჩვეული ბრწყინვალე ტექნიკით შესრულებული ოპერაცია უდელი გავლენას ახდენდა ჩვენს ქირურგიაზე. ყოველ მის გამოვლაში ბევრ შემთხვევაში პოულობდნენ ჩვენი ქირურგები არა მარტო რთულ ან ახალ საკითხებში, რომელთაც იგი ორიგინალურად წყვეტდა, არამედ აგრეთვე ძველ, მაგრამ აქტუალურ საკითხებშიც, რომელთაც იგი თავისი ღრმა ცოდნისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ასაბეჭტო აშუქებდა.

ძნელია ი. ი. ჯანელიძის ამოწურავი დახასიათების მოკლედ მოცემა და მისი როლის განსაზღვრა ჩვენს, ქართული ქირურგიის განვითარებისათვის. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რუსული მეცნიერების ნიუიერ ნიადაგზე დაეყვავებულ, ამ დიდი შესაძლებლობის მეცნიერის იდეური გავლენა საქართველოს სამედიცინო აზროვნებაზე და, კერძოდ, ქირურგიაზე უზომოდ დიდი იყო.

ი. ი. ჯანელიძის საქართველოში ყოველი მოსვლა მნიშვნელოვან ამბად იქცეოდა ჩვენი ქირურგებისათვის, რადგან ყოველი მისი გამოსვლა ექიმთა საგვ აუდიტორიაში ამ აუდიტორიას გადააქცევდა მცირე დროით, მაგრამ უდიდეს სკოლად, რომელშიაც ჩამოვარდნილ დაძაბულ სიჩუქში გაისმოდა მისი, შინაარსით ღრმა და ფორმით შესანიშნავი სიტყვა. მასთან კონტაქტის შედეგე ამ აუდიტორია-სკოლას მე-

ნიერული მოთხოვნებიცაა დაკმაყოფილებას დიდი გრძნობით სტოვებდა არა მარტო ჩვენი ქირურგული ახალგაზრდობა, არამედ გამოცდილებით მდიდარი ჭაღარა ქირურგებიც. საქართველოს არა ერთი ქირურგი იყო გაბედნიერებული მისი მეცნიერული უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს გარეშეც, ლენინგრადში, მის საუცხოოდ მოწყობილ კლინიკაში.

საბჭოთა ქირურგია კიდევ დიდხანს ბოვებს შთაგონებას მის შესანიშნავ შრომებში და მადლიერი თაობა — მეცნიერებისადმი, თავის მოწოდებისადმი, სამშობლოსადმი ერთგულებით, თავისი მასწავლებლის მაგალითის მიხედვით, გულითად მადლობას გადაუხდის ი. ი. ჯანელიძეს, მისი შესანიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამო.

## საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები

### საკავშირო სამშენებლო გამოფენაზე


მოსკოვში, ფრუნჯეს სანაპიროზე, მოთავსებულია მუდმივი საკავშირო სამშენებლო გამოფენა. მის 14 დარბაზსა და პავილიონში და ღია მოედანზე განლაგებულია რვა ათასზე მეტი ექსპონატი. გამოფენა, რომელიც თითქმის 25 წელია რაც არსებობს, უკანასკნელ ხანებში შეიგოს ახალი ძვირფასი ექსპონატებით. ისინი მნახველებს აცნობენ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს, რაც საბჭოთა კავშირშია შექმნილი, ექსპეტურ საშენ მასალებს, ახალ სამამულო მანქანებსა და მექანიზმებს, საუბრეთესო არქიტექტურულ პროექტებს.

საშენი მასალების მრეწველობის პავილიონში ფართოდაა ნაჩვენები კერამიკის, მინის, ხის, ქვის, თაბაშირისა და სხვა ნაკეთობანი. ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი ასაწეობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების ჩვენებას. პავილიონი „სახანაო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა“ მნახველთ აცნობს რკინაბეტონის ელემენტებისა და ბლოკებისაგან საცხოვრებელი ბინების, სასოფლო-სამეურნეო შენობებისა და ნაგებობათა აგების ტიპობრივ პროექტებს და თანამედროვე მეთოდებს.

გამოფენის მნახველები რწუნდებიან ასაწეობი რკინაბეტ-

ტონის გამოყენების დიდ ეფექტივობაში, როცა რკინაბეტონის კონსტრუქციების პავილიონს ათვლიერებენ.

გამოფენის ღია მოედანზე უჩვენებენ სხვადასხვა მანქანების და მექანიზმების ასამდე ნიმუშს—კომპლურ ამწეებს, ავტოგრიდერებს, ბულდოზერებს, სერეპერებს, ქვის საჭრულ მანქანებს და სხვა მოწყობილობას.



ნახატზე — გამოფენის ერთ-ერთი კუთხე: „რკინაბეტონის კონსტრუქციების პავილიონი“. წინა პლანზე — ბეტონტუმბო, საათში 20 კუბური მეტრი ბეტონის წარმადობით.

(„ბრადე“)

(2000 წელი იულიუსის კალენდარის შემოღებიდან)

## პრეზიდენტის განცხადება

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

თავის პრაქტიკული საქმიანობის პროცესში აღმნიშნავი ყოველთვის მოქმედებს მის გარშემო მიმდინარე მრავალფეროვანი მოვლენების შესაბამისად, განსაკუთრებული ანგარიში ეწევა იმ მოვლენებს, რომლებზედაც კაცობრიობის არსებობაა დამოკიდებული. ასეთ მოვლენათა შორის მნიშვნელოვანია დღე-ღამე და წელიწადის დროთა ცვლა. ეს მოვლენები გამოწვეულია დედამიწის მოძრაობით, რაზედაც რაიმე სახის ზემოქმედება შეუძლებელია. ამიტომ აღამიანებმა თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა შეუფარდეს აღნიშნულ მოვლენებს. ეს მოვლენები პერიოდულად მეორდება და მათი ხანგრძლიობა მუდმივია. ეს შემჩნეული იყო უძველესი დროიდანვე და ამის საფუძველზე დღე-ღამე და წელიწადი გამოყენებულ იქნა დროის აღრიცხვის ერთეულებად.

დღე-ღამეებითა და წლებით დროის აღრიცხვის სისტემას კალენდარი ეწოდება. კალენდარის შექმნა დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან, ქრონოლოგიურ ჩანაწერებთან. განვითარების რაც უფრო მაღალ დონეზე აღის მცენიერება და კულტურა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კალენდარს.

მორწმუნეთა აზრით, ღმერთმა ქვეყნის გაჩენისთანავე დაწერა კალენდარი და მის მიხედვით — სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულები, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია აღდგომის დღესასწაული. ცხადია, რომ ასეთ შეხედულებას არაფერი საერთო არა აქვს სიმართლესთან. სინამდვილეში კალენდარი ძალზე რთული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად არის მიღებული.

კალენდარის შედგენის პროცესში მრავალ სიძნელეებს წააწყდნენ, რომელთა შორის უმთავრესია შემდეგი: დღე-ღამე, რომელიც მზის ამოსვლა-ჩასვლით არის გამოწვეული, ზუსტად გამოკვეთილი ერთეული არაა. სხვადასხვა დროს დღე-ღამის დასაწყისად სხვადასხვა მომენტი იყო მიღებული. ამჟამად დღე-ღამის დასაწყისად შუაღამე ითვლება. მაგრამ არ არსებობს რაიმე ნიშ-

ნი, რომელიც ზუსტად ყოველთვის შუაღამეს გვიჩვენებდეს. აქ მკვლევარებმა ცის მნათობებზე დაკვირვება მოიშველიეს და სასურველ შედეგს მხოლოდ მრავალი საუკუნის დაბაბული კვლევის შედეგად მიიღვიეს. კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა განსაზღვრა წელიწადის ხანგრძლიობისა, რომელიც მზის გარშემო დედამიწის მოძრაობით არის გამოწვეული. წლიური პერიოდის მქონე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა დღისა და ღამის ხანგრძლიობათა ცვალებადობა: ზაფხულში დღე მეტია ღამეზე, ხოლო ზამთარში, პირიქით — დღე მეტია ღამეზე. გაზაფხულზე და შემოდგომაზე არის დღე-ღამე, როცა დღე ღამის ტოლია. მათ გაზაფხულისა და შემოდგომის დღე-ღამეობა ანუ ბუნობა ეწოდება. წლის დასაწყისად მკვლევარებმა გაზაფხულის დღე-ღამეობა (ბუნობა) მიიღეს.

გაზაფხულის დღე-ღამეობათა შორის გავლილი დროის მონაკვეთს ტროპიკული წელიწადი ეწოდება. ცის მნათობებზე მრავალსაუკუნოვან დაკვირვებათა შედეგების შედეგად გამოირკვა, რომ ერთი ტროპიკული წელიწადი შეიცავს 365 დღე-ღამეს 5 საათს 48 წუთს 46,1... წამს.

ძველად ცის მნათობებზე დაკვირვებამ ხალხი ისე გაიტაცა, რომ მათ უფრო მეტ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სინამდვილეში აქვთ. მაგალითად, კალენდარის შედგენის საკითხში ყურადღება მიჰქცევს მთვარის სახე-ცვალებასაც: ეგონათ, რომ მთვარეც ახდენს გავლენას სახალხო მეურნეობაზე. გამოირკვა, რომ მთვარე ოდაცხრა ნახევარი დღე-ღამის განმავლობაში გავლენის თავის სახეებს ანუ ფაზებს და ისევე თავიდან იწყებს. მოკლედ, მთვარის ფაზათა პერიოდი უდრის 29,5 დღე-ღამეს. ამის მიხედვით ცდილობდნენ შეედგინათ ისეთი კალენდარი, რომელშიც ასახული იქნებოდა სამი ძირითადი ერთეული: წელიწადი, მთვარის ფაზების პერიოდი და დღე-ღამე. მაგრამ ასეთი კალენდარის შედგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

უძველეს დროში სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვანაირი კალენდარი ჰქონდათ. მათში ასახული იყო ერაკუნული მეურნეობის ხასიათი. თავისებურად და საკმაოდ რთული კალენდარი ჰქონდათ უხსოვარი დროიდან ჩინელებს. ასევე დროის აღრიცხვის განსაკუთრებული სისტემით სარგებლობდნენ ბაბილონელები, ფინიციელები და სხვ.

3000 წლის წინ ჩვენს ერამდე ეგვიპტელებს ჰქონდათ მზის კალენდარი, რომლითაც ისინი სავსე მუშაობას აწესრიგებდნენ. დროის აღრიცხვის ძირითად ერთეულად მიღებული იყო წელიწადი, რომელიც 12 თვეს შეიცავდა, თითოეული თვე — 3 დეკადას, ე. ი. 30 დღე-ღამეს. მაშასადამე, 12 თვე 360 დღე-ღამეს შეადგენდა. წლის ბოლოს ჩაურთავდნენ კიდევ 5 დღე-ღამეს. ამრიგად, ერთ წელიწადში 365 დღე-ღამეს ანგარიშობდნენ, მაგრამ დროგამოშვებით წლის ხანგრძლიობას ცვლიდნენ მნათობებზე დაკვირვების მიხედვით. წლის დასაწყისად მიღებული იყო ვარსკვლავ სირიუსის პირველი ამოსვლა განთიადისას, რაც 19 ივნისს ხდება.

ძველად რომაელებს ჰქონდათ მთავარ-მზის კალენდარი, რომელსაც აგარაული წლის მიხედვით ასწორებდნენ ქურუმები. ზოგჯერ ქურუმები თავიანთ უფლებას ბოროტად იყენებდნენ და კალენდარს თვითნებურად ასწორებდნენ, რაც დიდ უთანხმოებას იწვევდა. რომის სახელმწიფოს გაძლიერებისა და გაზრდის შედეგად საჭირო შეიქმნა მტკიცე კალენდარის შემოღება.

რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა დროის აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით მოიწვია ეგვიპტელი ასტრონომი სოზიგენი, რომელმაც ეგვიპტური მზის კალენდარის საფუძველზე შეადგინა მეტად მარტივი და საკმაოდ ზუსტი კალენდარი. ამ ახალ კალენდარში შემოღებული იყო ორნაირი სიგრძის წლები: პირველი, ჩვეულებრივი წელიწადი, რომელიც 365 დღე-ღამეს შეიცავდა, და მეორე, ნაკიანი წელიწადი, რომელიც 366 დღე-ღამეს გრძელდება. ყოველ ოთხ წელიწადში პირველი სამი წელი ჩვეულებრივ წლად იქნა გამოცხადებული, ხოლო მეოთხე კი — ნაკიანად. ამრიგად, წლის საშუალო ხანგრძლიობა  $365\frac{1}{4}$  დღე-ღამე შეიქნა, რაც დაახლოებით ტროპიკული წლის ხანგრძლიობას უდრის. წლის დასაწყისი გადატანილი იყო პირველ იანვარს.

ახალი კალენდარი იულიუსის განკარგულებით შემოღებული იყო რომის იმპერიაში 46 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ე. ი. 2000 წლის წინ და მას იულიუსის კალენდარი უწოდეს.

ჩვენი წელთაღრიცხვის 325 წელს ნიკეის საეკლესიო კრებაზე იულიუსის კალენდარის მიხედვით დაწესდა ქრისტიანული რელიგიის დღესასწაულები. აღდგომა დაუკავშირდა გაზაფხულის დღედამტოლობას.

325 წელს იულიუსის კალენდარის მიხედვით გაზაფხულის დღედამტოლობა 21 მარტს იყო. ამის გამო ქრისტიანული რელიგიის მიხედვით გაზაფხულის დღედამტოლობა „სამუდამოდ“ დაუკავშირდა 21 მარტს.

იულიუსის კალენდარის მიხედვით წლის საშუალო ხანგრძლიობა  $365\frac{1}{4}$  დღე-ღამეს უდრის, რაც 11 წუთითა და 14 წამით უფრო მეტია ტროპიკულ (ნამდვილ) წელიწადზე. ამ შეცდომის გამო, ტროპიკული წელიწადი ყოველწლიურად 11 წუთით და 14 წამით უფრო ადრე იწყება, ვიდრე კალენდარული წელიწადი. დროთა მსვლელობაში ეს ცთომილება თანდათანობით გროვდება და 128 წლის შემდეგ ის ერთ სრულ დღე-ღამეს აღწევს. მაშასადამე, 325 წლიდან 128 წლის შემდეგ, ე. ი. 453 წელს გაზაფხულის დღედამტოლობა, ნაცვლად 21 მარტისა, 20 მარტს მოხდა; კიდევ 128 წლის შემდეგ — 19 მარტს და ასე შემდეგ.

21 მარტიდან დღედამტოლობის თანდათანობითი დაშორება კალენდარის ნაკლად იქნა აღიარებული თეოლოგების მიერ. ამ ნაკლის გამოსწორება მღვდლებისა და ეპისკოპოზების მსჯელობის საგანი გახდა, განსაკუთრებით XVI საუკუნეში. 1512-17 წლებში კალენდარის შესწორების საკითხი განხილული იყო ლათერანების მიერ. მიწვეული იყო ცნობილი ასტრონომი ნიკოლოზ კოპერნიკი. მაგრამ რადგან წლის ხანგრძლიობა იმ დროს ზუსტად ცნობილი არ იყო, ამიტომ ნ. კოპერნიკის რჩევით, კალენდარის რეფორმის საკითხი გადადევს.

კალენდარის რეფორმა მოხდა 1582 წელს პაპის გრიგორიუს XIII ბრძანებით. ამ წელს გაზაფხულის დღედამტოლობა უკვე 10 დღით იყო ჩამორჩენილი 21 მარტიდან. ამიტომ ნაბრძანები იყო, რომ 1582 წლის 4 ოქტომბრის ხუთშაბათის შემდეგ დღე — პარასკევი ჩაეფარათ არა 5 ოქტომბრად, არამედ 15 ოქტომბრად. ამით გამოასწორეს უკვე დაგროვილი შეცდომა. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო რომაელებში შეცდომის დაგროვების აცილება. რადგანაც ყოველ 400 წელიწადში იულიუსის კალენდარით შეცდომა გროვდებოდა დაახლოებით 3 დღე-ღამე (ერთი დღე-ღამე 128 წელიწადში), ამიტომ ყოველი 400

წელიწადი შეამტკიცეს 3 დღით. ამისათვის მთელი საუკუნეების წლებში (1600, 1700, 1800...), რომლებიც იულიუსის კალენდარით ყველანი ნაკიანია, ახალი კალენდარის მიხედვით ნაკიანად ჩათვალეს მხოლოდ ის წლები, რომელთა საუკუნეების რიცხვი უნაშთოდ იყოფა ოთხზე. ასეთი წლები ყოველ 400 წელიწადში მხოლოდ სამი წელიწადია, რომლებსაც თითო დღე დააკლდა. ამით იულიუსის კალენდარის 400 წელიწადი შემოკარბულ იქნა 3 დღით, რითაც კალენდარული წელიწადი ტროპიკულ წელიწადს დაუახლოვდა. ასე შეიქმნა ახალი კალენდარი, რომელსაც გრიგორიუსის კალენდარი ანუ ახალი სტილი უწოდეს.

1600 წელს 10 დღიანი განსხვავება ძველსა და ახალ სტილს შორის არ შეცვლილა, რადგან ეს წელი ორივე კალენდარის მიხედვით ნაკიანი იყო. 1700 წლის თებერვლიდან ეს განსხვავება 11 დღე შეიქნა, ვინაიდან ამ წელს ძველი სტილით თებერვალი 29-დღიანი იყო, ხოლო ახლის მიხედვით — 28-დღიანი. 1800 წლის თებერვლიდან განსხვავება 12 დღე შეიქნა, 1900 წლის თებერვლიდან კი 13 დღე გახდა. ახალსა და ძველ სტილს შორის განსხვავება 13 დღე დარჩება 2100 წლის თებერვლამდე.

გრიგორიუსის კალენდარი გავრცელდა იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და პორტუგალიაში; სხვა ქვეყნებში კი — უფრო გვიან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთში პროგრესული წრეების მიერ რამდენჯერმე იყო წამოყენებული ახალ კალენდარზე გადასვლის პროექტი, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს და მეფის თვითმპყრობელურ მთავრობას ეშინოდა კალენდარის რეფორმისა, რადგანაც ასეთ ღონისძიებას შეეძლო ხალხში ერთგვარი განათლება შეეტანა და შეერყია მორწმუნეთა რწმენა რელიგიური დღესასწაულებისადმი. მაგალითად, 1899 წლის კალენდარის რეფორმის კომისიის ანგარიშში ვკითხულობთ: „კალენდარის რეფორმა შეიძლება საზიანო იქნეს პასექისათვის“ (აღდგომის დღესასწაულისათვის). ეს „საზიანო“ გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ახალი კალენდარით მართლმადიდებელთა აღდგომის დღესასწაული ზოგჯერ ებრაელთა აღდგომის დღესასწაულს ემთხვევა. ასეთ „საზიანო“ ამბავს ანგარიში აღარ გაეწია მხო-

ლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარატის საბჭოს 1918 წლის 25 იანვრის დადგენილებაში ნათქვამია:

„იმ მიზნით, რომ რუსეთში შემოღებული იქნეს დროის ისეთი აღრიცხვა, როგორც მიღებულია თითქმის ყველა კულტურულ ერებში, სახალხო კომისარატსა საბჭო ადგენს: 1918 წ. იანვრის დამთავრების შემდეგ ნაცვლად პირველი თებერვლისა მიღებული იქნას 14 თებერვალი, შემდეგ 15 თებერვალი და ასე შემდეგ“.

ამრიგად, 1918 წლის თებერვალს დააკლდა 13 დღე-ღამე და ამით წელთაღრიცხვა წაწეულ იქნა წინ 13 დღით. ამით გამოსწორდა ის განსხვავება, რომელიც არსებობდა რუსეთის კალენდარსა და ევროპა-ამერიკის კალენდარს შორის. შემდეგ, ასეთივე რეფორმა გატარდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და ამის შედეგად საბჭოთა კავშირის ხალხები შეუერთდნენ დროის აღრიცხვის იმ სისტემას, რომელიც ყველა კულტურულ ქვეყანაშია მიღებული. ამის შესაბამისად შეიქმნა ცნება: „ახალი სტილი“ — გრიგორიუსის კალენდარი და „ძველი სტილი“ — იულიუსის კალენდარი.

გრიგორიუსის კალენდარის მიხედვით წლის საშუალო ხანგრძლიობა 26 წამით აღემატება ტროპიკული წელიწადის სიგრძეს. ამის შედეგად, მხოლოდ 3300 წლის შემდეგ დაგროვდება შეცდომა — ერთი დღე-ღამე, ე. ი. ვაზაფხულის დღედასწორება 21 მარტიდან გადმოინაცვლებს 20 მარტს. იმ შეცდომას პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. მაშასადამე, სოფეტის მხრივ თანამედროვე კალენდარი უნაკლოდ შეიძლება ჩიითვალის. მაგრამ კალენდარის რეფორმის საკითხი დამთავრებული მაინც არ არის.

ამჟამად არსებულ კალენდარს მრავალი ნაკლი აქვს. პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ის მრავალ უხერხულობას და გართულებას იწვევს.

პირველი — კვირის დღეები არ არის შეთანხმებული თვის რიცხვთან და წელიწადთან. ამის გამო სხვადასხვა წლის ტაბელ-კალენდარი სხვადასხვანაირია. მაგალითად, 1954 წლის 28 ნოემბერს იყო კვირა, ხოლო 28 დეკემბერს კი — სამშაბათი; 1955 წლის 28 ნოემბერს იქნება ორშაბათი.

მეორე — სამუშაო დღეთა რიცხვი ცვალებადია სხვადასხვა თვეში, აგრეთვე სხვადასხვა წელ-

	თებერ- ვალში	ივლისში	აგვისტო- ში	სექტემბერში
1954 წელში	24	27	26	26
1955 წელში	24	26	27	27

ეს გარემოება, სხვა უხერხულობის გარდა, ართულებს თვიური სამუშაო გეგმების შედგენის საკითხს და სხვადასხვა თვისათვის დღიური ხელფასის გამოანგარიშებას.

მესამე — სამეურნეო წლის ოთხი კვარტალი არათანასწორია. თითოეულ კვარტალში როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეები სხვადასხვა რაოდენობით არის.

ამ უხერხულობათა აცილების მიზნით, 1923 წელს შექმნილი იყო სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი კალენდარის რეფორმის ჩასატარებლად. ამ კომიტეტმა განიხილა 200-დე პროექტი, რომლებიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ. ამ პროექტებიდან ყველაზე საუკეთესოდ ცნობილი იქნა შემდეგი.

### ახალი კალენდარის პროექტი

ყოველი წელიწადი შეიცავს ოთხ კვარტალს. თითოეული კვარტალი კი — 91 დღე-ღამეს. კვარტალი იყოფა სამ თვედ, რომელთა შორის პირველი თვე 31-დღიანია, ხოლო ორი შემდეგი — 30 დღიანი. წლის დასაწყისად რჩება პირველი იანვარი; მასსადავ, პირველი კვარტალის თვეებია იანვარი, თებერვალი და მარტი. მეორე კვარტალისა — აპრილი, მაისი და ივნისი და ასე შემდეგ.

წლის ოთხი კვარტალი შეადგენს 364 დღე-ღამეს (4×91 დღე). ყოველ წელიწადს ემატება ერთი—ახალი წლის დღე, ნაკიან წელიწადს კი—კიდევ ერთი ნაკიანი წლის დღე. ამრიგად, ამ ახალი კალენდარის პროექტის მიხედვით ტაბელ-კა-

1953, 1954, 1955 წლებში 1957, 1958, 1959 წლებში ერთი ახალი წლის დღე		1956, 1960 წლებში ერთი ახალი წლის დღე და ერთი ნაკიანი წლის დღე სულ 2 დღე	
I კვარტალი	იანვარი	თებერვალი	მარტი
II კვარტალი	აპრილი	მაისი	ივნისი
III კვარტალი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
IV კვარტალი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
კვირა	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24
ორშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
სამშაბათი	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
ოთხშაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27
ხუთშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
პარასკევი	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
შაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30

როგორც ვხედავთ, ახალი ტაბელ-კალენდარი მეტად კომპაქტიურია და ამასთანავე ის არ განიცდის არსებით ცვლილებას სხვადასხვა წლებისათვის. ყოველი კვარტალის პირველი თვე იწყება კვირა დღით და კვარტალის ბოლო თვე თავდება შაბათს. ყოველი თვე 26 სამუშაო დღეს შეიცავს, რაც გაამარტივებს სამუშაოთა დაგეგმვის საკითხს. ამასთანავე, თვიური ხელფასის მქონე მუშა-მოსამსახურის დღიური ხელფასიც ყოველ თვეში ერთი და იგივე იქნება, რაც გაამარტივებს საბუხ-პალტრო-საფინანსო გამოთვლებს.

ყოველ კვარტალში 78 სამუშაო და 13 კვირა დღე იქნება. ყოველ წელიწადში 312 სამუშაო, 52 კვირა დღე და ერთი ახალი წლის დღეა. ნაკიან წელიწადში კი კიდევ ერთი დღე დემატება.

ამ ახალი კალენდარის შემოღება მოსალოდნელი იყო 1939 წლიდან. მაგრამ ეს არ მოხდა სხვადასხვა მიზეზების გამო.





## ამერიანე კუხიძე

ვეშაპსანადირო ფლოტილია „სლავას“ ექსპედიციის მონაწილე

### III

#### პეტრე ზარვა და ჯუმბერ ინწკირველი

1925 წელს, როცა ბათუმელი ბუზალტრის ისილორე ინწკირველის ოჯახში ვაჟი დაიბადა, ქერჩელმა მეთევზემ პეტრე ანდრიას-ძე ზარვამ მიიღო შორეული ნაოსნობის შტურმანის დიპლომი. რამდენიმე წლის განმავლობაში ზარვა შავ ზღვაზე ცურავდა და ოცნებობდა ისეთ ხომალდზე მოხვედრას, რომელიც ბოსფორის იქით რეისებში მიდიოდა. ახალგაზრდა კაპიტნის ოცნება მოხლოდ 1952 წელს განხორციელდა. იგი მიღებულ იქნა პირველი საბჭოთა ვეშაპსანადირო ფლოტილიის „ალუტის“ შემადგენლობაში, რომელიც ლენინგრადიდან შორეულ აღმოსავლეთში მიდიოდა.

„ალუტის“ შექმნას თავისი გამართლება ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ მთელი რიგი ფაქტებით ჩვენმა მეცნიერებმა დამატიციეს ვეშაპებზე ნადირობაში რუსი ხალხის პრიორიტეტი. ათასი წლის წინათ ვეშაპებზე ნადირობდნენ გაბელური რუსი ზღვისპირელები — თეთრი და მარენციის ზღვების სანაპიროს მცხოვრებლები. ასევე წარმატებით ნადირობდა ვეშაპებზე ჩვენი ქვეყნის შორეული ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის — ჩუკოტკის ნახევარკუნძულის მოსახლეობა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება იმედი გვექონოდა, რომ საბჭოთა ადამიანები არ ჩამორჩებოდნენ თავიანთ წინაპრებს ვეშაპებზე ნადირობის საქმეში. ეს იმედი საესებით გამართლდა.

ზარვა ფლოტილია „ალუტის“ ერთ-ერთი ვეშაპსანადირო გემის „ტრუფფრონტის“ მეთაური გახდა. შორეულ აღმოსავლეთსა და შემდეგ ანტარქტიკაში მუშაობის წლებში ზარვამ აღზარდა ათობით საბჭოთა ვეშაპსანადირე. ეს გულკეთილი, სიცოცხლით აღსავსე ორმოცდაათი წლის კაპიტანი, რომელიც დაავროვა ხომალდის ტარებისა და ვეშაპებზე ნადირობის უდიდესი გამოცდილება, მარტო მეზარჯეებს როდი ამზადებს. თითოეული, ვინც მოხვდება „სლავა-7“-ზე, რომლის კაპიტანია ზარვა, იქნება იგი რივითი მეზღაუბრი თუ კაპიტნის თანა-

შემწე, სწრაფად იზრდება მუშაობაში, იძენს ცოდნას და გამოცდილებას, რადგან მას უანგარო დახმარებას უწევს ფლოტილია „სლავას“ ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი და კაპიტანი.

ბალტიისა და შავ ზღვებში რამდენიმე წელს ცურვის შემდეგ ინწკირველი ზარვას თანაშემწე გახდა, მას ყველა ულოცავდა.

ჩვენთან „სლავა-7“-ს „აკადემიას“ უწოდებენ. არ არის თითქმის არც ერთი რეისი, რომ ამ ვეშაპსანადირო გემზე ზარვას არ გაუგზავნონ ახალი მოწაფეები — ახალგაზრდები, რომლებმაც ისურვეს მებარჯეები გახდნენ.

როცა ინწკირველი „სლავა-7“-ზე მოვიდა, მას თან ახლდა რამდენიმე მოწაფე მებარჯე. ესენი იყვნენ ბოქმანი შიპიცინი, კომუნისტი შორეული კიროვის ოლქიდან; „სლავას“ ყველა რეისის მონაწილე, მებარჯის თანაშემწე ოხუბოვი კურსკის ოლქიდან, მეზღაუბრე ჭელიძის მომავალი მასწავლებელი ლაზარევი, ექვსი რეისის მონაწილე, წარსულში ივანოველი კოლმეურნე კაზაკოვი — ციმიბირიდან.

ისინი ზარვასაგან სწავლობდნენ ვეშაპებზე ნადირობის ხელოვნებას, ხოლო კაპიტნის თანაშემწეები, კერძოდ, ინწკირველი, მოწაფეებს გადასცემდნენ გემის მართვის თავიანთ ცოდნას. ჯუმბერი ასწავლებდა მომავალ მებარჯეებს და მათთან ერთად თვითონაც სწავლობდა.

— ერთი რამ განსაკუთრებით მომწონს ჯუმბერი ისილორეს-ძემე, — მითხრა კაპიტან-მებარჯემ ზარვამ, — ეს არის მისი ინტერესი ნადირობისადმი. აი, მე ვდგავარ ზარბაზანთან, ჯუმბერი ხილდურზეა. იგი ჩემს განკარგულებას სწრაფად გადასცემს მეზღაურებას და მესაჭეს. როცა ნადირობა დამთავრდება, უსათუოდ მოვა ჩემთან და მკითხავს, თუ რატომ გამოვიყენე ესა თუ ის მანევრი...


1952 წელს, „სლავას“ მეექვსე რეისის დროს, „სლავა-7“-მა, რომელიც ანტარქტიკაში მღებარე კლდოვან პატარა კუნძულის რაიონში იმყოფებოდა, ფლოტილიის სარდლობის განსაკუთრებული დავალება მიიღო. საქმე იმაში იყო, რომ სახალხო არ-

\*დასასრული. იხ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1955 წ., № 1, № 2.

ტისტ ღორვის გამოყვანა რადიოგრაჟა. იგი ითხოვდა ჩაყვანათ მისთვის ბინგვინები, რომლებსაც იგი წერთის და შემდგომ ცირკში გამოყვას. სხვადასხვა ექსპონატის ჩატანას ითხოვნენ აგრეთვე მთელი რიგი მუზეუმები. ამ დავალებების შესასრულებლად კუნძულზე უნდა გადასხდარიყო მეზღვაურთა ჯგუფი, რაც ანტარქტიკის პირობებში არცთუ ისე ადვილია. ეს საქმე ზარვამ დაავლა ჯუმბერ ინწკირველს...

ნაპირზე გადასხდომის პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ ინწკირველმა გადასასხდომად მეორე ადგილი ამოარჩია და მთელი ჯგუფი მშვიდობით გადაიყვანა ნაპირზე.

კლდეებზე ისხდა ასობით ათასი ბინგვინი. ისინი ოდნავადაც არ შეშფოთებულან ადამიანების მიახლოებისას. ინწკირველმა და მისმა ამხანაგებმა ადვილად დაიჭირეს ასამდე ფრინველი. ნაპირზე იწვა რამდენიმე ზღვის სპილო. ეს არის ვეებერთელა, დაახლოებით სამტონიანი ზღვის ცხოველი, რომელსაც ცხვირს ქვევით პატარა ხორთუმი აქვს. ინწკირველმა ერთ-ერთი მათგანის გემზე წაყვანა განიზრახა. ეს უწყინარი ცხოველი მშვილად იწვა იმ დროსაც კი,



ჩვენ ყოველდღიურად გადმოვიდართ ოკეანეში მღებარე უღებარ კუნძულზე. სადაც ექსპონატებს ვაგროვებთ საბჭოთა კავშირის მუზეუმებისათვის, ზოოლოგიური ბაღებისა და სასწავლებლებისათვის. სურათზე—ერთ-ერთი კუნძულის მისადგომთან

როცა ადამიანები ცდილობდნენ ადგილიდან მის დაძვანა. იგი მხოლოდ ღრუტუნებდა, თითქოს აჯვარებდა მათ — აბა, სცადეთ, თუ წამიყვანთ. მუშევი იქნა სტუმარი ვიქნებო.

მაგრამ მეზღვაურები დარწმუნდნენ, რომ მექანიზმების გარეშე შეუძლებელი იყო სპილოს „მოტაცება“. ამიტომ ხელი აღიქვს თავიანთ განზრახვაზე. საერთოდ კი ინწკირველის ექსპედიცია გემზე მდიდარი ნადავლით დაბრუნდა.

მეშვიდე რეისის დროს, 1953 წელს, ზარვა ნაპირზე დარჩა, რათა გამოეყენებინა თავისი კუთვნილი ერთობლივი შევებულება. „სლავა-7“-ზე მეზარჯედ დანიშნა შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსული სოცილისტური შრომის გმირი თევდორე პროკოვის-ძე პროკოპენკო.

1940 წელს პროკოპენკომ მუშაობა დაიწყო ფლოტილია „ალუტუზე“. მას ვეშაპებზე ნადირობას ასწავლიდა პეტრე ზარვა. მალე ახალგაზრდა მონადირემ გაუსწრო არა მარტო თავის მასწავლებელს, არამედ საუკეთესო კაპიტან-მეზარჯეს ა. პურგინსაც. 1953 წლისათვის პროკოპენკოს ანგარიშზე იყო 2.750 მოკლული ვეშაპი. ასეთი წარმატება არ ჰქონია არც ერთ მეზარჯეს მსოფლიოში.

ზარვასთან გავილი სკოლა ჯუმბერს განსაკუთრებით გამოადგა მეშვიდე რეისში. გამოცდილმა მეზარჯემ პროკოპენკომ სწრაფად გამოყო ინწკირველი სხვა თანაშემწეებისაგან და ისინი გამუდმებით ერთად ნადირობდნენ.

ერთხელ გაზეთმა „სოვეტსკი კიტობოი“ ფართოდ აღწერა ინწკირველისა და პროკოპენკოს ერთობლივი ნადირობა. მიუხედავად იმისა, რომ ცხრაბალიანი ქარიშხალი იყო, „სლავა-7“ გაბედულად მიაპობდა ზვირთებს. ზარვასთან მტკიცედ იღვა თევდორე პროკოვის-ძე, ხოლო ხიდურზე ჯუმბერ ინწკირველი, რომელიც ელვის სისწრაფით ასრულებდა კაპიტან-მეზარჯის ყველა განკარგულებას. ორი საათის განმავლობაში სტიქიასთან გააფთრებული ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა მეზღვაურების გამარჯვებით — ვეშაპი მოკლულ იქნა...

### სულით ძლიერი

...ექიმები განციფრებული იყვნენ: ჭრილობა იმდენად მძიმე იყო, რომ მოსალოდნელი იყო ადამიანი სამუდამოდ ინვალიდად დარჩენილიყო. იგი კი დაკინებით მოითხოვდა მალე გაეწერათ ჰოსპიტალიდან. ამბობდა:

— გამიკეთ ერთი რამ, თუ ფორტზე არ შეიძლება ჩემი გავსახვა, მე ხომ რაღაცით მაინც უნდა მოვეტანო სარგებლობა სამშობლოს. თუ თქვენ საჭიროზე მეტ ხანს დამტოვებთ ჰოსპიტალში, მე სასწავლო წელი გამიცდება.

ძნელი იყო სწავლა — ნაჭრილობები ჯერ კიდევ შეხორცებული არ იყო. ამის მიუხედავად, 1944 წელს ჩაბარებულ იქნა უკანასკნელი გამოცდები და აბესალომ მელიტონის-ძე ზენაიშვილმა მიიღო შორეული ნაოსნობის შტურმანის დიპლომი. იგი დანიშნულ იქნა ბათუმის ნავსადგურის კაპიტნის მოადგილედ.

ასე გახდა მეზღვაური ლანჩხუთის რაიონიდან ჩამოსული 20 წლის კოლმეურნე, რომელსაც სწავლა დიდა სამამულო ომმა შეაწყვეტინა.

1948 წელს მე უნდა წარვმდგარიყავი ჩემი ახალი უფროსის — ფლოტილია „სლავას“ კაპიტან-ღირექტორის უფროსი თანაშემწის წინაშე. აი, სწორედ მაშინ გავიცანი ზენაიშვილი, რომელიც ის-ის იყო დაენიშნათ ამ თანამდებობაზე.

საოცარი იყო. თუ რა სწრაფად გაერკვა ახალი უფროსი თანაშემწე „სლავაზე“ არსებულ რთულ ვითარებაში. ეს გემი ყველაზე დიდია ჩვენი ქვეყნის სარეწაო ფლოტში. მისი წყალწყვა დაახლოებით 30.000 ტონაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ეს არის დიდი და რთული მცურავი საწარმო ათობით საამქროთი, რომლებშიც 700-ზე მეტი კაცი მუშაობს.

„სლავაზე“, რომელსაც 5 გემზანი აქვს, ხდება მოკლული ვეშაპების დამუშავება. ისინი მოაქვთ ხომალდის კიჩოსთან, სადაც მოწყობილია სპეციალური დახრილი ხერელი, რომელსაც „სლიბი“ ეწოდება. აქედან ვეშაპები გემზანზე ამოაქვთ. სხვადასხვა მექანიზმით შეიარაღებული ათობით ადამიანი 100-ტონიანი ვეშაპის დამუშავებას 25-28 წუთს ანდო-

მებს. ვეშაპს ჯერ ააცლიან ქონის სქელ ფენას, შემდეგ ამოგლეჯენ ვეებერთელა ენას, მოსჭრიან გრავალტონიან თავს, ამოსჭრიან ღვიძლს, გულს, ყუფილ ტვებს, კუჭს. ყველაფერ ამას კვებენ და სჭრიან ქონის სახარში ქარხნის ქვაბებში.

„სლავაზე“ მოწყობილი ეს ქარხანა ვეებერთელაა. მასში დადგმულია ათობით სხვადასხვა სახის ქვაბი, რომლებშიც ორთქლით ქონი იხარშება. სპეციალურ ნაკადურ ხაზზე მგლე ხორცისაგან დებულობენ საკვებ ფქვილს, ცალკე საამქრო აწარმოებს ღვიძლის დამარილებას, „A“ ვიტამინის გამომუშავებას.

ყველა საამქროსა და სახელოსნოს განაგებს კაპიტან-ღირექტორის უფროსი თანაშემწე ზენაიშვილი. იგი ბასუსს აგებს აგრეთვე „სლავას“ კიჩოზე მიმარებელი მოკლული ვეშაპების შენახვისათვის, თვალს ადევნებს შტურმანების მუშაობას.


მეშვიდე რეისში ზენაიშვილი მონაწილეობდა როგორც ვეშაპებზე სანადირო გემის კაპიტნის უფროსის თანაშემწე. ეს დაუცხრომელი ხასიათის ადამიანი ისწრაფოდა გემისაკენ, რომლითაც ვეშაპებზე ნადირობდნენ. ეს აკმაყოფილებდა სწორედ მის ცოცხალ ბუნებას.

### დიადი მეგობრობა

„სლავა“ — ეს არის გიგანტური სოციალისტური საზოგადოების მცურავი ნაწილი. 7-8 თვის მანძილზე შორეულ ნაოსნობაში ყოფნისას ჩვენ სამშობლოსთან ვართ მთელი ჩვენი არსებითი, აზრებით...



ერთ-ერთ კუნძულზე ჩვენ ენაზე უზარმაზარი ზღვის სპილო. იგი სრულიად უფრეხელი ცხოველია



ამ ადგილებში თავს აპარებენ ანტარქტიკული სელაპები. ცხოველებს არავითარი შიში არ გამოუხატავს ადამიანებთან შეხვედრის დროს

რეისში ყოფნისას ყოველდღიურად ვხედავთ და ვგრძნობთ ხალხთა დიდი მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც ყველა ჩვენი წარმატების მთავარი პირობა და საწინდარია.

ჩვენი კოლექტივი არის დიდი, მეგობრული, მრავალეროვანი ოჯახი. ფლოტილის კოლექტივში ირიცხება ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები 20-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი. მთელ მსოფლიოში ცნობილია ანტარქტიკაში უკანასკნელი სამი რეისის დროს გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მეზარეის, ციმბირელი ვასილ ლონგინოზის-ძე ტუბიკოვის წარმატებები. მან მოკლა 1.000-დე ვეშაი, რითაც სამშობლოს მისცა 100 მილიონი მანეთი. ეს ხომ უბრალო საბჭოთა ადამიანის ტიტანური შრომის შედეგია! და როდესაც ტუბიკოვს შეეკითხებით, რა არის მისი გამარჯვების საფუძველი, როგორ მიადწია მან ვეშაებზე ნადირობის ისტორიაში უმაგალითო მაჩვენებლებს, იგი ვიპასუხებთ:

— კაპიტანთან მტკიცე მეგობრობის შედეგად ჩვენ ისე ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცის ორი ხელი.

ვეშასანადირო გემის „სლავა“-ის კაპიტანის მეორე თანაშემწე ბაშკირი მარჯულ ვაგაბოვი სწრაფად დაუმეგობრდა უფროს თანაშემწეს ქართველ აბესალომ ზენაიშვილს და უკანასკნელმა, ფლოტილის კაპიტან-დირექტორის რუს სოლიანოვის აღზრდილმა, ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ვაგაბოვისათვის შეესწავლებინა ვეშასანადირო გემის სწრაფი დაბმა და დატვირთვა, გადაეცა მისთვის ანტარქტიკაში საშტურმანო სამსახურის თავისი გამოცდილება.

„სლავა“-15“-ის მექანიკოსია ლიტველი ვლადიმერ შმოლსტერი, რომელიც აღზარდა ფლოტილის უფროსმა მექანიკოსმა, „სლავას“ ყველა რეისის მონაწილემ უკარინებლად ალექსი პროცენკომ. შმოლსტერი მუდამ უდიდესი სიყვარულით ლაპარაკობს უფროს მექანიკოსზე.

და ბოლოს, საბჭოთა ადამიანების ურდვევი მეგობრობისა და ურთიერთისადმი სიყვარულის მაგალითად მინდა მოვიყვანო ჩემი ოჯახური მედნიერების ერთი ფაქტი, რომელსაც ადვილი ჰქონდა „სლავაზე“. 1948 წლის 6 იანვარს ჩემმა მეუღლემ, ასტრახანელი მუშის ქალიშვილმა, ალექსანდრა აკიმის ასულმა ლენოვამ, რომელიც ჩემთან ერთად იყო ნაოსნობაში, ვაჟი შობა. ეს იყო პირველი ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც სამხრეთ პოლუსთან დაიბადა. ჩვენ პირმშოს ანტარქტიკი დავარქვით. არასდროს არ დამავიწყდება, თუ რაოდენ დიდი და ქუშმარითად ძმური სიხარულით შეხვდნენ ანტარქტიკის დაბადებას ჩემი ამხანაგები — სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ასეთი მეგობრობა, ერთმანეთისადმი გულისხმიერება, ურთიერთზე ნამდვილად ადამიანური ზრუნვა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხალხი იზრდება სახელოვანი კომუნისტური პარტიის დიდი იდეებით, რომელიც ადამიანებს ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობას უნერგავენ.

ჩვენი ფლოტილის მრავალრიცხოვანი კოლექტივი აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი. მას ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყანაში კომუნისტების აშენების დიდი მიზანი.

# პირველი რეისი

## მთვარე

რატომ მივპრინავთ ჩვენ მთვარეზე \*


პროფესორი ვ. ნ. ხომეძე

პლანეტათმცოდნეობის საზოგადოების პრეზიდენტი

ახლოდება მეცნიერების ისტორიაში უდიდესი დღე — პირველი პლანეტათმცოდნეობის ხომალდის სტარტისა. მძლავრი ძალა მიზიდულობისა, რომელიც ჩვენ მჭიდროდ გვბოჭავს დედამიწაზე, დამლეული იქნება. ადამიანები — დედამიწის შვილები, რომელთა სხეული დედამიწის ატომებისაგან შედგება, არსებანი, რომლებისთვისაც აუცილებელია დედამიწის საკვები, დედამიწის წყალი და დედამიწის ჰაერი, პირველად სტოვერზე დედამიწის. იწყება უდიდესი ასტრონომიული აღმოჩენების ეპოქა, კოსმოსური გრა ადამიანის ისტორიაში.

ეს გრა იწყება საბჭოთა მეცნიერების გაფრენით მთვარეზე. მრავალი ათასი და ათასობით წელი — მთელი ის დრო, რაც კაცობრიობა არსებობს, მთვარე მას ემსახურებოდა „ფარნად“, რომელიც ფანტაზიად ღამის წყვილადს. ათასობით წლის მანძილზე ადამიანები მთვარის მიხედვით ითვლიდნენ დროს, უძველესი კალენდარი მთვარის ფაზებთან იყო დაკავშირებული. აღმოსავლეთის მრავალ ხალხს აქამდე აქვს მთვარის კალენდარი. ჩვენ თუ დამოურდა მთვარისა... ძველი საოლბო მთვარეს თმერთად თვლიდნენ, ეგვიპტელებმა მას და მიკქონდათ შესაწირავი. ასტროლოგები — შუა საუკუნეების ცრუმეცნიერნი ამტკიცებდნენ, რომ მთვარე „განავებს“ სიზმრებს, კრი-

ლობებს, ძარცვას, „განავებს“ კვირის პირველ დღეს და ვერცხლს. მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისში გალილეიმ მთვარისაკენ მიმარ-



ექსპედიცია ვათსონის სამ ჰაბურდლს

თა ტელესკოპი და დაინახა იქ მთები. გასული საუკუნის შუაში ასტრონომებმა შეადგინეს მთვარის ზუსტი რუკები. ისინი ტკებულდნენ მთვარის ბეიჯებით, ცდილობდნენ გამოეცნოთ ზოგი რამ და აი ეს ეპოქა დასრულდა. მოკლე დროის შემდეგ საბჭოთა მეცნიერები ფეხს დადგამენ მთვარის ნიადაგზე, აიღებენ ხელში მთვარის მტკვრის სემეს.

პირველი ექსპედიცია ცოტა ხანს

დაკოფს მთვარეზე და სასურველი იქნებოდა მას რაც შეიძლება ბევრი დაეთვალაღიერებინა. ამიტომ დასაშვებად არჩეულია ადგილი წვიმების ზღვაში, პლატონის კრატერის სამხრეთით (მთვარის სახის მარჯვენა „წარბთან“). აქ უშუალო მახლობლობაში იმყოფება მთვარის მატერიკი, მთავრები — მთვარის ალპები და კავასიონი, კონუსისებრი მთა ბიკო და კრატერის რკოლებრი ნაწილი. ბოლოს და ბოლოს ჩვენ გავიგებთ, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მთვარის „ზღვა“, „მატერიკი“ და მთების სხვადასხვა ტიპები. აქედან შორს არ არის კრატერი არისტარქი. ჩვენ დიდი ხანია გვინტერესებდა, თუ რატომ ასე მკვეთრად ანათებს ის საესე მთვარეობის დროს. გარდა ამისა, თვით კრატერი პლატონი განსაკუთრებით საინტერესოა — იქ შემჩნეულია შევე-



პირველ ყოვლისა ჩვენ გვინტერესებს მთვარის მთის ქანები

რე და ქვიისაგან. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი პლანეტათმცოდნეობის მიმოსვლისადმი. ეს ბუნებრივად არის, ვინაიდან ის ინტერესს საბჭოთა კავშირში (რუსეთში) ჩაისახა და აქვე გაღწეულია მისი ძირითადი საკითხები (ე. ი. კოსმოლოგიის შრომები). ვაკეაფიცილებთ რა ამ ინტერესს, ჩვენ ერთნაირი სისტემატრად ბუკდავს მასალებს ამ საკითხზე. შესაძლოა სხვადასხვა მასალებში განსხვავება იყოს ამ მოგზაურობის შესაძლებელი თარიღებში (იხ., მავალიონი). ჩვენი ჟურნალის გასული წლის № 10), მაგრამ ძირითადად მასალები მეცნიერების მიერ უკანასკნელად მოპოვებულ მონაცემებს ეყრდნობა. ამ ნომრიდან იწყებთ მთვარეზე ვითომდა 1974 წლის განხორციელებული მოგზაურობის აღწერის ბუკდავს. შესაძლოა, წლების განმავლობაში ზოგი რამ შეიცვალოს, მაგრამ ეს საკითხს ძირითადად არ ცვლის — მით უფრო სამიველი იქნება ასეთი გაფრენა.

რადიოს დღეობაში ცვლილებები. დაკავშირებულია თუ არა ეს განათებულიობასთან, რომელიმე ქიმიურ რეაქციებთან ან (რაც ჩვენ ყველაზე ძალიან ვესვრის) — ცოცხალი ობის წარმოშობასთან? ათულო ვლუბის განმავლობაში მეცნიერები მკითხაობდნენ ამ თემაზე და, როგორც იქნა, ჩვენ სარწმუნო ცნობებს მივიღებთ.

ასტრონომებმა და გეოლოგებმა მოამზადეს კითხვების მთელი სია: ნამდვილია თუ არა მთარის ზედაპირი დაფარული მსხვილი მტვერით: ამას მოწაურები დაიხასხვეწი პირველსავე წამებში. დიდია თუ არა მტვერის შრის სისქე? როგორია ტემპერატურა მის ქვეშ? როგორია იქ მთის ქანები? ამ კითხვებზე რომ პასუხები მივიღოთ, ექსპლედაცია გათბრის სამ ჰაზურლილს: „ზღვაში“, „მატერიკზე“ და კრატერში.

რთული ვაფრენა მთვარეზე მოწყობილია არა სპორტული მიღწეებისათვის, არც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის. მთვარის გაცნობა ჩვენ, შესაძლებელია, არა ერთბაშად, არა პირველსავე წელს, უდიდეს სარკველობას მოვიტანს.

პირველ ყოვლისა ჩვენ გვიანტერესებს მთარის მთის ქანები. წინასწარ ცნობილია, რომ მთარის ყველა ქანი შედგება ისეთივე ქიმიური ელემენტებისაგან, როგორც დედამიწისა. ამიტომ საესებთი შესაძლებელია, რომ მთვარეზე ნაპოვნი იქნება სისარგებლო წილი-სკულის ბუდობები. რასაკვირველია, ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ ისეთები, რომლებიც დედამიწაზე იშვიათი და ძვირფასია და რომელთაც 400 ათას კილომეტრზე წადების აზრი აქვს, მაგალითად, იშვიათი ელემენტები, კეთილმოხილი ღლითონები, ძვირფასი ქვები.

მთვარე აგებულია ისეთივე ატომებისაგან, როგორც დედამიწა, მაგრამ ეს ატომები სხვა პირობებში იმყოფებიან: სიმძიმის ძალა ნაკლებია, ჰაერი არ არის, არ არის ჭანგბადი და არ ხდება ქანგვა, არ არის წყალი, დიდია ტემპერატურის ცვალებადობა. ამიტომ, შესაძლებელია, მთვარეზე შეგვხვდეს მინერალები, რომლებიც არ გვანად დედამიწის მინერალებს. ჩვენ იმედო ვაქვს აღმოვაჩინოთ ასალი ქიმიური ნაერთები. რაში გამოგადგება ისინი? ეს გამოიკვლევა მანძინ, როცა შესწავლილი იქნება მათი თვისებები.

ასტრონომები უდიდესი მოუთმენლობით ელოდებიან მთვარეზე

გაფრენას, თუმცა ამ გაფრენის მიმენტიდან მთვარე გამოდის მათი ლენოლოგებიდან და შედის სეკუნდარული გეოლოგებისა და სელენოგრაფების (ბერძნული სიტყვიდან „სელენე“ — მთვარე) — მთვარის გეოლოგებისა და გეოგრაფების განვარტლებაში. ასტრონომები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი მნათობა დაკვირვებით ატმოსფეროს საზღვრებს გარეთ. ატმოსფერი — მათი მთავარი მტერი. ის ამასინჯებს პლანეტის გამოსახულებას, ფანტაზებს სიბიჯს, გადახრის მათ, განარინებს მსოფლიოს სივრცეში, პარავს ასტრონომებს სამუშაო დღეებსა და სა-

დაპირველები კი — გამკვირვებულნი პლანეტაშირისო სივრცეში. მთვარე იან ერთბაშად ჩანს დედამიწის აკედან მთისებრსებელია შესწავლილ იქნეს ღრუბლების მოძრაობა, ამინდის შეცვლა ერთბაშად ფართო სივრცეზე და, განსაკუთრებით, მცირედ დასახლებულ რაიონებში — პოლუსების ახლოს და ოკეანეებში. შესაძლებელია ეს განსაკუთრებული მოგვეჩვენოს, მაგრამ მთარის რუკა, რომელიც ჩვენს განვარტლებასაშია — უფრო დაწერილობითი და ზუსტია, ვიდრე ანტარქტიდისა და ფრეიის ულანეთის რუკები. როცა ჩვენ მოგხვდებით მთვარეზე, ინფრარითულ სხივებში ფოტოგრაფიის დახმარებით რუკაზე იქნება აღნიშნული ყველა ნაკლებ შესწავლილი მხარე. ეს უფრო მარტივია, ვიდრე ამ რაიონების დეტალურად შესწავლა უშუალოდ დედამიწაზე, რადგან, როგორც იტყვიან, „მოდლიდან უფრო კარგად ჩანს“.



მთარისა და უფრო მოხერხებული იქნება დედამიწის ასტრონომიული დაკვირვებების წარმოება.

ათებს, როცა ღრუბლები გადაეფარება ცას. მთვარეზე არ არის ანთითქმის არ არის ატმოსფერი, იქ ისინებლები არ არსებობს. ასტრონომებს უკვე დასახული აქვთ ატმოსფეროს საზღვრებს გარეთ დაკვირვებების ფართო გეგმა. ამის შესასრულებლად საჭიროა მრავალი ექსპედიცი. ამიტომ პირველ საბჭოთა ექსპედიციის წინაშე დასმულია ამოცანა: გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა მთვარეზე შეიქმნას დედამიწა-მოქმედი ასტრონომიული ობსერვატორია.

თუ ასეთი ობსერვატორია შეიქმნება, მას შეუძლია არა მარტო ციური, არამედ დედამიწის საქმეებიც აკეთოს. ატმოსფეროს ზედა ფენების შესწავლა მთვარისაგან უფრო მოსახერხებელია, ვიდრე დედამიწიდან, რადგან დედამიწის მეტეოროლოგები მათ უყურებენ მკვირივი ჰაერის სივრცეში, მთვარისაგან

დაბოლოს, ობსერვატორია მთვარეზე დაგეგმარება ტელეხედვის გაერთელებაში, რადგან ერთადერთ რეტრანსლაციურ სადგურს მთვარეზე შეუძლია შეცვალოს ყველა კამერა და ყველა რეტრანსლაციური სადგური, რომელთაც ჩვენ ახლა ვგადაბნ ყოველ 100 კილომეტრზე. რასაკვირვებელია, „მთვარის“ ვადაცემები დაიხასხება დედამიწის სფეროს მხოლოდ ერთ ნახევარზე, იქ, სადა მთვარე პორონტზე იმყოფება.

ასტრონომისათან თანხრად უდიდეს სარგებლობას მიიღებს ფიზიკაც: დატოვებს რა დედამიწა, ფიზიკოსები თავიანთ განვარტლებას იძენენ რთ ბუნებრივ ლაბორატორიას: ერთი მათგანია მთვარე, მეორე — პლანეტათმორისო სივრცე. შეიძლება ითქვას, მეორე ლაბორატორია ფიზიკისათვის პირველზე კიდევ უფრო სიანტერესია.

მასში ასეთი პირობებია: რაკეტის შვით განათებულ მხარეზე — უხვი ნაკადი, სინათლის, ულტრაიისფერი, რენტგენისა და სხვა სხივებისა, რომლებიც არ გაიის ატმოსფეროში და დედამიწაზე შესწავლებს მხოლოდ ლაბორატორიებში. ჩრდილში — ტემპერატურა ახლოა მიწის 273 გრადუსსთან, რომელსაც ჩვენ დედამიწაზე გვეზღობოთ დიდი სიძნელით, რთული შექმნაზედის დახმარებით. გარეშე — ნივთიერების არაჩვეულებრივი გაუხშირება — რამდენიმე ატომი უფრო სანტიმეტრზე. პლანეტათმორისო სივრცის ვაკუუმი ათასობით მილიონჯერ უფრო მა-

დალია საუკეთესო რადიონათურების ვაკუუმები.

ყველა ცდა, დაკავშირებულს დაბალ ტემპერატურებთან, მკვეთრი გაღასვლით დაბალი ტემპერატურების მაღლისკენ, და ნივთიერების განსაკუთრებულ გაუსწონებასთან, აზრი აქვს ჩატარებულ იქნეს პლანეტაშიორის სივრცეში. ეს გამოკვლევები ნაწილობრივ უკვე დაწყებულია ხელოვნურ თანამჯავჯავზე. მთვარეზე გაფრენის დროს ეს გამოკვლევები გატარებულდება გაფართოებული მოცულობით.

პლანეტაშიორის ლაბორატორია პანტერესებს აგრეთვე ექიმოკოსებს და ბიოლოგებს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ მიდის ქიმიური რეაქციები და სასიცოცხლო პროცესები სამყაროში, სადაც სიმძიმე არ არის, და მთვარეზე, სადაც სიმძიმე შესუსტებულია. სიცოცხლის დარგში ჩვენ არ მოველით დიდ აღმოჩენებს, თუმცა ზოგიერთ მეცნიერს იმედია აქვს მთვარის წიაღეში იბოვოს უქანებადო ბაქტერიები (ეგრეთ უწოდებული ანაერობები). მაგრამ თუ ისინი იქ არ არის, სავსებით შესაძლებელია, რომ დედამიწის ზედაერთ ბაქტერიას უნარი ჰქონდეს შეეგუოს მთვარის პირობებს. ამ ცდებს ექსპერიმენტი ექიმი ჩაატარებს. მან აგრეთვე უნდა გამთარგმნოს, თუ როგორ გრძნობენ თავს ადამიანები მთვარეზე. შესაძლებელია, სიმძიმის ძალის შემცირება ნაყოფიერად იმოქმედებს ადამიანებზე გადა-

ღილი გულით. ჩვენ უკვე წარმოგვიდგინა მომავალი კურორტი მთვარეზე გულით ავადმყოფებისათვის.

ამ სტატიაში გამოთქმულია ბევრი ვარაუდი, ბევრი მათგანი უარყოფილი იქნება ერთი თვის შემდეგ. მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ უკვე ვამთარგმნებ ვარაუდების ეპოქას და ვიწყებთ ზუსტი მეცნიერების ეპოქას მთვარის შესახებ. შესაძლებელია, ჩვენ ვიპოვით, რასაც მოვლეთ, შესაძლებელია — არა. მთავარი ამაში არაა.

რათა განვმარტოთ, მივიყვანო მაგალითს. წარმოიდგინეთ მწერალი, რომელიც წერს რომანს, მაგრამ იცნობს ერთადერთ ადამიანს. მთელი მისი ინიჭის, შრომისმოყვარეობისა და დამკვირვებლობის მიუხედავად, რამდენი შემთხვევითი, არადაზმასათვლელი, არასწორი იქნება მის აღწერასა და დასკვნებში!

მეცნიერება აქამდე ხშირად ვარდებოდა ასეთი ამ წარმოსახვითი მწერლის მდგომარეობაში. ჩვენ ვამარტავდით სიცოცხლეზე და ვიცოდით სიცოცხლის ისტორია დედამიწეზე, ვიცნობდით რა დედამიწის მიის ქანებს — ვლამარტავდით მისი ქანების წარმოშობის შესახებ და ა. შ. აქამდე ჩვენ ჯეროვანად ვიცნობდით მხოლოდ ერთ სამყაროს — პლანეტას დედამიწის სახელწოდებით. ახლა ჩვენ გვიცნობთ კიდევ ერთ სამყაროს —

მთვარეს და თუმცა ეს სამყარო არაა ჩვენის ტოლფასი, თუმცა, ის უფრო მოსაყენი, ერთფეროვანი და უფეროვანი, თუმცა ის გააფართოებს ჩვენი მეცნიერების ჰორიზონტს არა ერთიორად, არამედ, დაღუსთან 5—10 პროცენტით, — ეს 10 პროცენტი ჩვენ უდიდეს სარგებლობას გამოვიტანს. ამერიკიდან საბჭოთა გამოგონებლებს, შემწიან რა ახალ კონსტრუქციებს, მასალებს, მოწყობილობებს, აპარატებს, მხედველობაში ექნებათ ფაქტები, მოპოვებული მთვარეზე. ისინი იტყვიან: „მთვარეზე ეს მინერალი წარმოიშობა ანგვარად; მასასადამე, თუ ჩვენ მასზე ვიმოქმედებთ ასე, ჩვენ მივიღებთ იმას, რაც ვეინდა“. ისინი იტყვიან: „პლანეტაშიორის სივრცეში კოსმოსური სხივების მოქმედებით ესა და ეს მიმდინარეობს. მასასადამე, თუ ჩვენ მსგავსი სხივების ნაკადს ასე მდგომარეობით, ჩვენ საჭირო შედეგს მივიღებთ“.

სახელოდობ, მეცნიერთა ჰორიზონტის ამ გაფართოებაში, კაცობრიობის გამოცდილების გაზრდაშია პლანეტაშიორის გაფრენის მთავარი დანიშნულება. ჩვენ მივებგზავრებთ მთვარეზე იმისათვის, რათა განვავითაროთ გეოლოგია, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. საბოლოო ანგარიშით ეს ნიშნავს: „ჩვენ მთვარეზე მივფრინავთ, რათა ვაკავაქოვოთ სიცოცხლე დედამიწეზე“.

## ადამიანი კოსმოსური გაფრენის დროს

გ. ა. აკოშიანი

ხომალდის „მთვარე-1“ ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

სიცოცხლე დედამიწეზე წარმოიშვა დაახლოებით მილიარდი წლის წინათ, დაახლოებით მილიარდი წელია ცოცხალი არსებები ვანცელანდენ სრულყოფას, ეგუებოდნენ დედამიწის პირობებს, მაგრამ პლანეტაშიორის პირობებთან არაა შეგუებული არც ცხოველები და არც ადამიანები. ამიტომ პლანეტაშიორის ხომალდის აგებაშდე ბევრად აღრე ექიმებმა და ფიზიოლოგებმა, ერთი მხრივ, ინიჩირებმა — მთვარე მხრივ, ყველაშხრივ მოიფიქრეს, თუ როგორ უნდა იყოთ მოწყობილი კაბინა, სადაც უნდა იცხოვრობ მჯავჯავებმა მთვარეზე გაფრენისას.

ადამიანის ორგანიზმის შესწავლა ისეთ პირობებში, რომლებშიც უახლოვდება კოსმოსური გაფრენის პირობებს, ჩვენ დავიწყეთ

დიდი ხნის წინათ. ჯერ კიდევ 1952 — 1954 წლებში მფრინავებმა, რომლებიც რაკეტულ თვითმფრინავებში დაფრინავდნენ, ფიზიოლოგის გამოდგებული ყურადღება მოითხოვეს.

რეკა თვითმფრინავებმა დაიწყეს ასვლა 15-20 კილომეტრზე ზევით, აუცილებელი გახდა მფრინავის დაცვა კოსმოსური ნაწილაკების ნაკადისაგან, რომლებიც პლანეტაშიორის სივრციდან მოდიოდნენ. კოსმოსური სხივები, ულტრაიისფერი, რენტგენული, რადიოაქტიური სხივების მსგავსად დამლტველია ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

მაგრამ მათი რაოდენობა საერთოდ მცირეა და, როგორც იონოსფეროში გაფრენებმა გვიჩვენა, მათგან საიმიდოდ დამცველს წარმოადგენს ლითონის კაბინა.

ტიმპერატურული პირობები პლანეტაშიორის სივრცეში აუტანელია ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ერთი მხრიდან რაკეტა ხურდება მზის მხურვალე სხივების ნაკადით, საპირისპირო მხრიდან კი — მსოფლიო სივრცის ციხული წყვდიადია. ჩვენ შემოგვთავაზეს რთული მოწყობილობანი, რომლებიც ათანაბრებენ ტემპერატურას: ათბობენ ჩრდილის მხარეს მზის ხარჯზე, აკრიდებენ მზიან მხარეს — ჩრდილოეთის ხარჯზე. მაგრამ ჩვენს რაკეტაში ჩვენ უარი ვთქვი ამ ზორზოხი სისტემისაგან. კაბინის ჰერმეტიკ ვარსნი არის თბოსაბოლოდაყოფი ფენა, რომელიც საიმიდოდ არის დაცული სისხისა და სიციფისაგან, თვით კაბინაში კი არის მოწყობილობა ჰაერის კონდენსირებისათვის, ელექტრული

გათბობა და ელექტრული გაგრილება.

რაკეტის მგზავრებისათვის ყველაზე საშიშია აფრენის ხანმოკლე წუთები, როცა რაკეტის კედლები დღამიწის ატმოსფეროში სწრაფი, მოძრაობის ძლიერ თბება. ამიტომ არა გვაქვს რა გამაგრებელი მოწყობილობების იმედი, ჩვენ ჯერ კიდევ ვაფრენამდე ვიცავთ სპეციალურ კოსტუმებს — სკაფანდრებს ახალი სითბო-გაუმტარი მასალისაგან ჰერმეტიკული მუზარადით. მაშინაც კი როცა ტემპერატურა კაბინაში 75 გრადუსამდე იწევს, რაც თითქმის წარმოუდგენელია, ჩვენ ვერ ვივარძლოთ სიცხეს. სკაფანდრებს აწყოლი გამჭვირვალ ფარებით, ჩვენ არ გავიხდით მიუღ გზაში. სიფრთხილის ეს ღონისძიება მიიღება იმ თითქმის შეუძლებელი შემთხვევისათვის, როცა რაკეტის კედლები მნიშვნელოვანი სიდიდის მეტეორიტო გაიხვრიტება და კაბინიდან სივრცეში განიბნევა მიუღი პაეტი. ჩვენთვის საკმარისი იქნება ჩამოვუშვათ ჰერმეტიკული მუზარადის ფარი, რათა სამყობლოში აღმოვჩნდეთ და აუქჩარებლად შეუღვეთ შეეკუებას.

სწრაფი გაფრენისას წარმოიქმება აგრეთვე არასასიამოვნო ვადატორები. ეს შეგრძნება ცნობილია იმისათვისაც, ვისაც არასოდეს არ უფრენია რაკეტით და უმჯობურაა მხოლოდ მატარებლით და ავტომობილით. როცა მაქნაჩა იწყებს სიჩქარის მძაფრად აღებს, მგზავრი გრძნობს, რომ თითქმის იგი უკუვადებს. რაიჭულიტეს საჯდომის სიჩქარეში გადატვირთვა ციკლებით დიდია. რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ ძრავი მუშაობს, ჩვენ სიმძიმის გასამგებულ ძალას ვიგრძნობთ. ამ წუთებში ადამიანი, რომელიც დღამიწაზე 75 კილოგრამს იწონის, რაკეტაში 225 კილოგრამს აიწონიდა.

ვადატორები მავნე მოვლენაა. ის დამრღვევად მოქმედებს ადამიანის ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, სმენის ორგანოებზე და მხედველობაზე. თუმცა სამმაგი ვადატორთა, თუ იგი სულ რამდენიმე წუთი გრძელდება, სასებით დასამუბნია. ამიტომ ძრავისა და ტრასის მთელი განავარიშება ისე აიკება, რომ ვადატორთა სამაგებს არ აღემატებოდეს.


გაცილებით რთულია ადამიანი შევარჯიშოთ სრულ უწონადობას. ადამიანის სხეულში ერთდრო-

ულად მუშაობს ბევრი კუნთი, მათ შორის არსებობს კოორდინაცია — რთული ურთიერთ კავშირი, ურომლითლად შეუძლებელია შენარჩუნებულ იქნეს მდგრადობა, ძალთა თანაფარდობა, — შევასრულოთ რთული მოძრაობანი — ვიართო, ვიხტუნოთ, ვწვიროთ, ვმართო მანქანა. მაგრამ კუნთოვანი კოორდინაცია ვათავლისწინებულთა ადამიანის მიერ მისი ნორმალური — „დღამიწის“ წონის არსებობისას. პლახეტაშორისო ვაფრენაში წონა ქერება, მაგრამ მოძრაობათა კოორდინაცია არ უნდა იქნეს დარღვეული. ის ხომ აუცილებელია იმისათვის, რათა ადამიანებმა კაბინაში შეძლონ არა მარტო მოძრაობა, კვება, დასვენება, არამედ დავვირგებაც მოწყობილობებზე, ჩაატარონ მეცნიერული კვლევა. საჭირო კვება სერიოზული მუშაობა, რათა კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟისთვის ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად შევეჭმნა მეორე კოორდინაცია — უწონოდ ვაფრენისათვის.

ხომალდი „მთავარი-1“ მზრუნველობათა შეგუბული სიმძიმის გარეშე სიცოცხლისათვის. კაბინის შიგა კედლები, ისევე როგორც იატაკი და ჭერი, დაფარულია მსუბუქი დრეკადი მასალით. თავის დაჭერის ცოდნა უწონო კაბინაში ერთბაშად შეუძლებელია და რამდენიმე ხანს, დავგავიწყდება რა ჩვენ წონის დაკარგვა, მოვიგდებუა პეტისეტად მევეორი მოძრაობის ვაკეება, რაც უკუვავადებს ჩვენ კედლებსაც ან ჭერსაც. აუცილებლად დარტყმათა შესარბილებლად საჭიროა რბილი გადასაკრავი.

კედლებზე, იატაკსა და ჭერში — მრავალი მარჯვე სახელოურია, რომელთა მოქმედებით ადამიანს შეუძლია მოძრაობა კაბინაში. სიარულს იგი, როგორც დღამიწაზე, ადამიანებისთვის, რომელთაც არა აქვთ წონა, შეუძლებელია. პლანეტაშორისო ხომალდედ გადასახლება შეიძლება მხოლოდ საგნებისაგან უკუვადებით ან მათთან მიწვევით. თავისთავად ცხადია, ყველა საგანი კაბინაში ყრულ წონა იყოს მიმაგრებული კედლებსა და იატაკს. ჩვენს სკაფანდრებზე არის ჩვენი შესაკრავები. მუშაობისას ჩვენ მიეგმავრებით სავარძლებს ხოლო დასვენებისას — სასურველ კედელს. ბუმბულიც კი მოვწვევენ ბოლად ჰაერზე უფრო მავარი, სლდე შეგვიძლია დავიკავოთ სასურველი ბოხა — დამდგარმა, მჯდომარემ, მწოლარემ, თუ თავდაყირამ.

სადილები, საუბმებეი და ვახშმები მფრინავ რაკეტაზე დღამიწისაგან გაცილებით განსხვავებულია. მცხადია. არაჩვეულებრივად მშენიანა. გააღლიათ, ფრენის პირობებში, ელექტრული ჩაიდანის ადღდება, ჩაის დასხმა ტეკაში და შემდეგ მისი დაღვეა. უკსამოვნება ან მხრე იქიდან დაიწყებოდა, რომ ჩაიდა-



იმ გადატვირთვის ადვილად გადასატანად, რაც თვითმფრინავის გაქანების დროს აღძრება, ჩვენ ტარატის დროს დვდებთ ვიქნებით მიკრული თავიებურ საწოლებზე.

ნის ფსკერის ახლო წყალი ადღდელებოდა, ზევით კი ცივი დარჩებოდა, რადგან სიმძიმის ძალის არარსებობის გამო ჩაიდანში არ იქნებოდა კონვექცია — წყლის ფენათა ცვლა: ვათათანი წყალი არ ავიდოდა მაღლა, ცივი კი — ფსკერზე არ დაეშვებოდა. წონის არარსებობის გამო, ჩაიდანის დახრისას, ჩვენ ვერ გამოვლდით იქიდან ვერც ერთ წუთს — წყალს არაფერი არ იზიდავს ჩაიდანის ვარეთ. ჩაიდანის ძლიერი შეხვარებუთაც კი შეუძლებელი იქნებოდა ფინჯის შეგსება უზარმაზარი მრგვალი წყლის წვეთი, ჩაიდანის ცხვირიდან ვადმოსული, პაერში ჩამოვივლია. რაიმე სხეულთან მიახლოებისას ეს წვეთი შემოიხევა მას და ზედამირებ მიმოღვეება.


ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ჩვენ სასადილო (თუ შეიძლება ასე ეწოდოს გადასახსნელ მაგიდას და ბუფეტის კედელში) მოწყობილია სიმძიმის არარსებობის მხედველობაში მიღებით. ყველა საგანი კარადამში და მაგიდაზე დამავრებულია. ფინჯების ნაცვლად ჩვენ ვაკეშ ბოთლები ვიწრო ყელთი. მათში მოთავსებული სითხე უნდა ამოწვოვით მინის მილის დახმარებით.

სითხის გადასხმა ერთი ტურტლიდან მეორეში შესაძლებელია მხოლოდ მოწყობილობით, რომელიც ვაკუონებს პულვერიზატორს რეზინის ბუშტით. ჩაის, ყავის, კაკაოს მონარზე, თუ ეს საჭიროა, შეიძლება სპეციალურ ელემენტურ ქვებში. იმისათვის, რათა სითხის ფენა თანაბრად აირეოდეს და თბეობდეს, ტურტელი ბრუნავს. ამისათვის იქმნება ცენტრიდანული ძალა, რომელიც სითხისთვის ცვლის გამჭვრელ სიმძიმის ძალას.

მთავარე მოგზაურები უზრუნველყოფილია საკვების მარაგით ზუსტი, მიცნიერულად დასაბუთებული ნორმებით. ადამიანის დღე-ღამური მოთხოვნილება, როგორც მრავალი ცდითაა დადგენილი, დამოკიდებულია მის მიერ გამოყოფილ სითბოზე. სითბო კი — შესრულებულ მუშაობაზე. ინტენსიური მუშაობისას ადამიანი გამოყოფს დაახლოებით 3700 დიდ კალორიას დღეღამეში. ხელმძღვანელობენ რა სითბოს ასეთი დაზარალება, ადვენენ, მაკალითად, მფრინავეებისა და წყალმყინთავების რაკეტის. ვებელმდგენლობით რა ამავე ვაანზარშიებით, ჩვენ შევადგინეთ მენიუ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟისთვის შედარებით კალორიული და ნოყიერი პროდუქტებისაგან. მოგზაურობა გასტანს 14 დღე, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ხომალდი უზრუნველყოფილია 5 კვირის სურსათის მარაგით.

ბანაობა რთული პრობლემა აღმოჩნდა უფონად კაბინაში. წყალსადენის ონკანები, აბაზანები, შაბები გამოუსადეგარია პრობლემაში, სადაც წყალი კარგავს ჩვენთვის ჩვეულებრივ თვისებას — დინების, ზევიდან ქვევით გადასვლების უნარს... მართალია, წნევის შეიძლება ვაიჭულოთ იგი ამაღრვანდეს, მაგრამ ტურტლიდან გადამოსული იგი, როგორც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ნელნელა მიიღებს ბუთისისებრ ფორმას და ჩამოეკიდება ჰაერში. ამიტომ დასაბანად ჩვენ ვისარგებლებთ დასველებული დრუბელით, დრუბელი თავისივე იზოდავს სითხეს იმიტომ, რომ მის შიგნით წარმოიშობება მრავალრიცხოვანი სიღრუვენი გაიშვიათებული ჰაერით. ჰაერის წნევა კი არსებობს სიმძიმის ძალის დამოუკიდებლად.

პლანეტათმორისო სივრცეში სუნთქვა აგრეთვე მოითხოვს მზრუნველობას და გამოვლენას. ჩვენ თან მიგვაქვს თხევადი ჟანგბადის მარაგი, რომელიც განსაკუთრებულ ტურტლებში ინახება დაბალ ტემპერატურაზე. თხევადი



სტარტის შემდეგ ჩვენი საწოლები მობერებულ სავარძლებად გადაიქცევა

ჟანგბადის კუთრი მოცულობა დიდა არაა. მისი ერთი ლიტრი საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადამიანი მთელი დღეღამის განმავლობაში. მაგრამ ადამიანები არა მარტო ჩაისუნთქავენ ჰაერს, არამედ ამოისუნთქავენ. სპეციალური კონდენსატორი განუწყვეტილად ვაქმენდს ჰაერს რაკეტაში. გაქმენდა წარმოებს ნახშირორჟანგის გათხრადების ტემპერატურაზე. ესე იგი მინუს 78 გრადუსზე. თხევადი ნახშირორჟანგი განიღვენება, ჰაერი კი ივსება ჟანგბადით და ბრუნდება კაბინაში.

რაკეტაში, რომელიც ავტომატური ხელსაწყოებითაა მოწყობილი ჰაერის მისაწოდებლად, ვასწმენდალ და დასატენიანებლად, ყოველთვის შენარჩუნებული იქნება



ჩვენ განუწყვეტილად მიკრული ვიქნებით სავარძლებზე, ვინაიდან ხომალდის მართვა, დაკვირვებების წარმოება და თან ჰაერის კონტრაილი არც ისე მოხერხებულია

სუფთა ატმოსფერო, როგორც არის ტყეში ქარიშხლის შემდეგ. ამას იმით აღწევენ, რომ ჟანგბადს თან ერთად მიწოდება ერთგვარად რაოდენობა ოზონისა. ოზონი — აირია, რომელსაც ვაანინა ვაკუონებების ძლიერი უნარი. ჰერმეტიკულად დახვეულ კაბინაში მისი ხაკადი განსაკუთრებით სასიამოვნო და სასარგებლო იქნება.

კონდენსატორის დახმარებით, სხვათაშორის მოხერხდება ჰაერიდან გამოყოფილ აგრეთვე წყალი, რომელიც ერთდროულად ადამიანის სხეულიდან. ამ ტენს, შემდეგ ჰაერიდან გაჯერებულს და შეესაბუნებს მართლებს ერთგვარი რაოდენობით, შეუძლია მთლიანად დაფაროს ადამიანის დღეღამური მოთხოვნილება წყალზე — დაახლოებით 2,5 კილოგრამისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას მოგვცემს თან წყალთან წყლის მინიმალური მარაგი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადამიანი უფრო მეტ წყალს გამოყოფს, ვიდრე ლეზულობს სმითა და საკვებით. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ორგანიზმის შიგნით ჟანგბადის ერთგვარი ნაწილი, ჩასუნთქული ჰაერთან, და წყალბადი, რომელიც საკვებ პროდუქტებში შედის, ერთდება და წარმოიშობება წყალი. ასეთი სინთეზირებული წყლის რაოდენობა დღეღამეში 400 გრამამდე აღწევს.

ვაგრენისა და მთავარე მე განუწყვეტილად ვაღვლეოთ თვალყურს ჩემი ამხანაგების ჯანმრთელობის მდგომარეობას და რა გუნებაზე იქნება ისინი. ადამიანის ორგანიზმის მუშაობის ზუსტი აღრიცხვისათვის შექმნილია ძალიან პატარა ელექტრომოწყობილობანი. ისინი მიკერებულაა სკაფანდრების კედლებზე, მაჯის საათის მსგავსად, დამატებულია ლველებით. ეს მოწყობილობანი იჩვენებს სისხლის წნევას, პულსს, გულის ცემას, ჟანგბადის შემადგენლობას სისხლში, სხეულის ტემპერატურას, აღრიცხვენ ვაზთა ცვლას, უჯრედთა სუნთქვას. რათა აპარატებმა გვიჩვენოს ჩვენებანი, ეკიპაჟის წევრები, რომლებიც თავიანთ სამუშაო ადგილას სხედან, მათვლებს, რომლებიც ხელსაწყოებიდან მოდის, ჩასვამენ სპეციალურ შტეპსელში.

ამგვარად, ჩვენ ვიქნებით დამკვირვებლებიც და დაკვირვების ობიექტებიც. გარდა ამისა, ცდებიანათვის ჩვენ თან მიგვაქვს ზეცაყეზი, თეთრი თავგები და ძალდი.



ააგეთ მაქსიმალურად მსუბუქი ხომალდი, ყოველდღიურად გვიმეორებდა ჩვენ მთავარი კონსტრუქტორი. ჩვენთვის გასაკლები იყო მისი სურვილი. რამდენად მსუბუქთა ხომალდი, იმდენად უფრო ადვილია დიდი სისწრაფის განვითარება და დედამიწის მიზიდულობის დაძლევა.

მაგრამ კოლოსალური სიჩქარეები ზრდიან ჰაერის წინააღმდეგ. გაქანებისას წარმოიშევა ინერციის უდიდესი ძალები. მაღალი ტემპერატურები კი! მეტეორიტებთან შესაძლო დაჯახებანი! ადვილი არ იყო შეგვექმნა მტკიცე და მსუბუქი ხომალდი.

სამამოლს მრეწველობამ ჩვენ მოგვამარაგა შესანიშნავი მასალებით. უკანასკნელ წლებში მეტალურგებმა შექმნეს დიდი სიმტკიცის მქონე შენადნობი მსუბუქი ლითონებისა: ტიტანის, მაგნიუმის, ზერილიუმისა, რომლებიც თავისი თვისებით არ ჩამოუვარდება ვასული წლების ყველაზე კარგი ხარისხის ფოლადს და 3—4ჯერ უფრო ნაკლები კუთრი წონა აქვთ, ვიდრე რკინას. ჩვენს განკარგულებაშია განსაკუთრებით მტკიცე პლასტმასა, რომელიც კარგად ახშობს რხევებს და ხმაურობას.

ჩვენი ცეცხლგამძლე მასალები ახლა უძლებენ ორ-ორნახევარჯერ უფრო მაღალ ტემპერატურას,

ვიდრე 20 წლის წინათ. მაგალითად, ძრავის რეაქტორი შეიგნიდან ამოვებულა ფოროვანი კერამიკით, რომელიც დამზადებულია ბერილიუმის ქანების საფუძველზე. ეს კერამიკა უძლებს 4000 გრადუსზე მაღალ ტემპერატურას. სამუშაო ნივთიერება — წყალი რეაქტორში მიეწოდება უწყვირისი ნასერტებით, რომლებიც კედლებშია გაცელებული, და ერთდროულად აცივენ მათ. მაგრამ ცეცხლგამძლე კერამიკას არ შეუძლია გაუძლოს მაღალ წნევას, წარმოშობილ ძრავში. ამიტომ იგი მოთავსებულია მტკიცე ვარსში, რომელიც დამზადებულია ნაკლებ ცეცხლგამძლე, მაგრამ უფრო მტკიცე შენადნობისაგან. ეს შენადნობი დამზადებულია ლითონკერამიკული საშუალებით, წერილი ლითონის ფხვნილის შეცხოვის გზით. ამის მეოხებით იგი ისევე მთლიანად დასერტილია ფორებით და ისევე ცივდება, როგორც კერამიკული მოპირკეთებულია.

მაგრამ მსუბუქი, მტკიცე ცეცხლგამძლე მასალები თავისთავად არ სწყვეტენ ამოცანას. მნიშვნელოვანია მათი ისე მოხმარება, რომ საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული მათი ღირსებანი, ესე იგი შევექმნათ ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც არ იქნებოდა არც ერთი უეღმეტი გრამი. ამისათვის საჭიროა გაანგარიშების უფრო სრულყოფილი მეთოდები. ასეთი მეთოდები სიმტკიცის გაანგარიშებისა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში შექმნილია ჩვენი მეცნიერების მიერ.

და თვით გაანგარიშება ახლა სულ სხვაგვარად მიმდინარეობს — უახლესი, სწრაფადმოქმედი საანრიშო-შემაჯამებელი მანქანების დახმარებით, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვიტონ უაღრესად ნაირგვარი განტოლებები.

თუ თქვენ შეივლით ჩვენს გაანგარიშების განყოფილებაში, მოგე-


ჩვენებთ, რომ მოხვდით საკვლე ლაბორატორიაში.

წარმოდგინეთ დიდი დარბაზი, რომლის კედლების გასწვრივ განვლებულია მაღალი სტენდები მნათი კერანებით. ფერადი ნათურები ინთება და ქრება. მოძრაობენ უამრავ მოწყობილობათა ისრები. გაისმის გადამრთველთა მსუბუქი ხმაურობა: ეს ოპერატორი იძლევა განტოლების პირობას. რამდენიმე წამის შემდეგ კი თვითამწერი ხელსაწყოების ლენტებსა და ეკრანებზე ჩნდება გადაწყვეტა. ახლა ინჟინრის—სიმკვიდრის მცველის საქმეა—შეაფასოს და მისცეს რეკომენდაცია კონსტრუქტორებს. გაანგარიშების ჩვენი მეთოდების პიელი სრულყოფილობის მიუხედავად ყველა ამოცანის გადაწყვეტა მათემატიკურად არ მოხერხდა. აქ დასახმარებლად მოვიდა ექსპერიმენტი.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოვიდა საბოლოო სამუშაო ნახაზები, სიმტკიცის ლაბორატორიაში დაიწყო მოდელის ცალკეული დეტალების გამოცდა, შემდეგ კი—



ლაბორატორიის ნახევარსინეული ცილინენ ხომალდის გამკვირვალე მოდელს



ათობით წევარა სქიმადა და წიქავდა ზომადს, ამოწმებად მის სიმტკიცეს

მთელი ხომალდისა, რაც დამზადებული იყო გამჭვირვალე ლითონისაგან. ეს მასალა (გერცხლის ერთ-ერთი მარილი) სხვადასხვა დატვირთვის მოქმედებით იცვლის თავის ოპტიკურ თვისებებს. სპეციალურ დანადგარზე გამჭვირვალე მოდელი გამოიყენებოდა სხვადასხვა დატვირთვებით და ნახევრადბნელ ლაბორატორიაში აელვარდებოდა ხომალდის ფერადი გამოსახულება, რომელიც მოგვიტანებდა ძაბვაზე კონსტრუქციის ყოველგვარ წერტილში.


ამ გამოცდებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვეუსტებინა კორპუსის ფორმა და ავეგო რაკეტომალანის პირველი ვარიანტი. იგი მთლიანად დაფარული იყო ძალიან მყიფე ლითონური შენადნობის თხელი ფენით. ათობით წვეგრებით დაიწყო მისი მოღწევა, გაკიმვა, დახვევა. ხომალდი მთელი რჩებოდა, მაგრამ მყიფე ლითონური ფენა იზარებოდა შედარებით მცირე დატვირთვისას, რაც მიგვიჩინებდა შედარებით საშიშ ზონებზე და შესაძლებლობას გვაძლევდა გამოგვეკვირებინა დასაშვები ძაბვები.

ძრავს ცდიდნენ კლდეში, ღრმა გამოქვაბულში, რათა ატომურ აფეთქებებს ვინმესთვის ზიანი არ მიეყენებინა. გამოცდებები არ შედიოდნენ გამოქვაბულში, ყველა ცნობის ისინი იღებდნენ ატომობურის ხელსაწყოებით.

ამის შედეგად კონსტრუქტორებმა შექმნეს ხომალდი დამატებითი შინაგანი კედლებისა ან გადატვირულობათა გარეშე. მთელი ძირითადი დატვირთვა მოიღის ხომალდის კორპუსზე. ამან შესაძლებლობა მოგვცა მიზანშეწონილად გამოგვეყენებინა თითოეული კუბური

დეციმეტრი მოცულობა იმისათვის, რათა მოგვეთავსებინა საწვავის გაცილებით მეტი მარაგი, ყველა

აუცილებელი მოწყობილობანი, შეგვექმნა მაქსიმუმი მოხერხებულობა ეკიპაჟისათვის.



1. სამზავრო კაბინა.
2. ანტენა.
3. რაბი კაბინიდან გამოსასვლელი.

4. მოსაბრუნებელი ძრავები
5. სათბობის აუზები.
6. ატომური ძრავი.
7. სტაბილიზატორები
8. მართვის საკე
9. აირის საკები
10. გარსადენი
11. ტელესკოპური დგარი
12. საყრდენი ბუნკი

### ბლანეტაშორისო ხომალდის „მთვარე-1“-ის სქემა

ბლანეტაშორისო ხომალდს, როგორც ყველა სხვას, ესაჭიროება საკე. საკეთა მტანსაზმების მოქმედების პრინციპი ჭრე კიდევ ცოლკოვსკის მიერაა წამოყენებული. თუ საჭიროა ხომალდის მდებარეობის შეცვლა გაფრენისას, ე. ი. მისი მობრუნება სიმძიმის ცენტრის გარშემო (მაგალითად, მთვარეზე დაშვებისას), მზავრები ჩართავენ პატარა ელექტრომობტორს, რომელიც აბრუნებს მასიურ დისკოს. ამ დროს ხომალდი „მთვარე-1“ შემობრუნებას იწყებს მეორე მხარეს. ასეთი თვისება სხეულისა, რომელზედაც არ მოქმედებს გარეგანი ძალები, ამავე მიზეზით ბოროლი ბრუნავს ციყვისაკენ, რომელიც მასში მირბის. თუ რაკეტის მზავრები განიზრახავენ თავიანთი „ოთახის“ გარშემო რბენას საათის ისრის მი-

მართლებით, მთელი ხომალდი ძალიან ნელა დაიწყებს შემობრუნებას საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

გაფრენის მიმართულების შესაცვლელად, ხომალდზე არის ძნელადწინობადი ცენტრალური საკე. იგი მოთავსებულია არების ჭავში და შეუძლია გადახაროს ისინი ვანზე. ამ დროს მთელი რაკეტა გადაიხრება საპირისპირო მიმართულებით. რასაკვირველია, ეს საკე შეიძლება გამოეყენებულ იქნეს მოზოლად მაშინ, როცა მუშაობს ძრავი, ე. ი. აფრენისა და დაშვებისას. დანარჩენ დროს „მთვარე-1“ შემობრუნება დამატებითი ძრავების საშუალებით, რომლებიც ფრთებზეა მოთავსებული. რაკეტაზე არის კიდევ გენერატორი, რომელიც ელექტროენერგია აწვდის ყველა საკეს, მართვის მექანიზმებს, აპარატებსა და მოწყობილობებს.

(დასასრული იქნება)



## ანერო დეიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი


აქედმეიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა. გამოფენა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ასახულია ქართველი ხალხის ძველი ყოფა და კულტურა, მეორეში კი — ახალი ყოფა და კულტურა. გამოფენას უჭირავს ხუთი დიდი დარბაზი და მოიცავს 1200 კვ მეტრ სამაგოფენო ფართობს.

შედივარტ გამოფენის პირველ ნაწილში, სადაც წარმოდგენილია ქართველი ხალხის ძველი კულტურისა და ყოფის ძირითადი მომენტები: სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა, მატერიალური და სულიერი კულტურა. პირველ რიგში ეცნობით ქართულ მეტალურგიულ ხელოვნებას. აქ გამოფენილია სხვადასხვა ხერხებით დამზადებული ლითონის ნაწარმის შესანიშნავი ნიმუშები: ზარინშიანი ხმლის ქარაქაშები და თოფები, მოსხეადებული ხანჯლის ტარები და სატყვეის ქარაქაშები, ცივი კვერთხი ნაკეთები ვერცხლის აბრკალები და ოქროს საყურებები, ჩამოსხმული სამაჯურებისა, ბეჭედებისა და გულის სამკაულების ნაწილები, პათისანი თვითი მოოკვილი ოქროს ყელსაბამები, დაცვარული სამკაულები, გრეხილური ქაშრები, მინაქარაანი ვერცხლის სურები და თასები, სპილენძისა და რკინის საოჯახო ჭურჭელი და ა. შ. აქვეა წარმოდგენილი სათანადო შრომის იარაღები, ყალიბები, საყალიბო თიხის ნიმუშები...


ლითონის დამუშავების ის მრავალფეროვანი და მაღალი კულტურა მაჯიოდ მეტყველებს იმ უძველეს ტრადიციებსა, საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებზე, რომლებზედაც იგი არის აღმოცენებული. ქართველები ხომ მეტალურგია-

ული წარმოების ბიონერებად ითვლებიან. ქართველ ტომებში ლითონის მოპოვება და წარმოება ჯერ კიდევ ძვ. წ. IX — VI ს. ს. მაღალ დონეზე იდგა. უკვე მაშინ იცნობდნენ ლითონის დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორცაა: ცივი კვერთხი, ჩამოსხმა, ამოკვეთა, გრეხილი, ზარინში, სეკალი, მოოკვა და მინაქარი. ქართველი ტომების ლითონის ნაწარმი ამოსიავლეთით ასურეთსა და მიდის, ხოლო სამხრეთით პალესტინას სწვდებოდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო ხალიბებისა და მოსინიკების სპილენძისა და რკინის ნაწარმი. ანტიკური წყაროები მოკვიბობენ, რომ ეს ტომები ფლობდნენ ტექნოლოგიურ საიდუმლოებას — რკინისა და სპილენძის მაღანს გამოღობის დროს ურევდნენ „ერთგვარ მიწას“, „ცეცხლგამძლე ქვას“, რაც ლითონს მაღალ ღირსებას ანიჭებდა. ლითონის გამოღობის ეს უძველესი წესი ქართულმა მეტალურგიამ ათასი წლების მანძილზე გამოატარა: უკანასკნელ ხანებამდე, რაჭველი მეტლები სახელგანთქმული წიღისური ფოლადის მისაღებად რკინის გამოღობის პროცესში ურევდნენ შავი ქვის მაღანს „ფაშას“ — პიროლუზიტს... ინტერესით გათვალისწინებულია მედიკალინური ლითონების რკინის სადნობი ქურის მაკეტს...

გამოფენაზე ყურადღებას იმართებს აგრეთვე კერამიკული ნაწარმი: თიხის უბრალო და მოქექული (ქაშანური) ჭურჭელი, ათასგვარი საწყლუ ქურჭლელი, ღვინის სასმისები და ა. შ. ღვინის სასმისებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორიგინალური, მრავალქიქულებიანი „მარანი“, რომელიც, როგორც გამოჩვენებულია, წარმართული ხანის ადგილობრივი წარმოების საყულტო დანიშნულების სასმისია და „ღვინის სახლის“ (ქურმარნის) სიმბოლოდ გამოიხატულებს წარმოადგენს.



ძველი კულტურისა და ყოფის განყოფილება: მეხინდერობის სტენდი



ძველი კულტურისა და ყოფის განყოფილება: ერთ-ერთი კუთხე

სოფლის მეურნეობის დარგებიდან საინტერესოდ და მდიდრადა წარმოდგენილი შემინდვრებომა.

ცნობილია, რომ საქართველო მეზინდვრეობის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა და რიგი პურული კულტურების სამშობლოს წარმოადგენს. ქართველი ხალხის მაღალმა სამეფომოქმედო კულტურამ გამოხატულება პოვა უმდიდრეს საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებში და სათანადო სასოფლო-სამეურნეო იარაღებში. ექსპონირებულია სახენელი იარაღები: რაჭული, ფშაური, ზესურული სახენელები, ქართული ორხელა და დიდი ქართული გუთანა. ცალკე ტრახულზე მოცემულია ქართული სახენელების განვითარების სქემა, უძველესი და უმარტივესი კაფურიდან — XIX საუკუნის მუხრანულ გუთანამდე. აქვეა გამოფენილი სამკალი იარაღები, საითთერები და შიმკალის უნიკალური ტანსაცმელი — „სამკვლი“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარეთ მკის ღრის გამოსაყენებელი სპეციალური ტანსაცმლის არსებობას ეთნოგრაფია არ იცნობს. ექსპონირებულია აგრეთვე კევი. განვითარებული შემინდვრეობის ეს აუცილებელი კომპონენტი საქართველოში უკვე გვიან ბრინჯაოს ხანისთვისაა დადასტურებული (II თასწლეულის დამლევი).

მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით გამოფენაზე წარმოდგენილია ღვინის დაყენების ორიგინალური და უძველესი ქართული კულტურის ყველა ძირითადი ელემენტი: ხის საწნახელი, საქაჯი, ქვეყრი, თადარი, სარცხი და სხვ.

ნაგებობათაგან ყურადღების იპყრობის სახელგანთქმული დარბაზული სახლის დიორაბა. იგი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული საიყო ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავი ძეგლის შესახებ. მართალია, გვირგვინიანი ნაგებობა — დარბაზი სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, მაგრამ არსად არაა დადასტურებული დარბაზის გვირგვინისა და ინტერიერის კონსტრუქციის ისეთი მდიდარი ნაირსახეობა, როგორც საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ისტორიულ სამხრეთ ტერიტორიაზე ძ. წ. V — III საუკუნეების დროის გვირგვინიანი ავლადმეობა ამოიჩინა.


გამოფენაზე მზავხელის ყურადღებას იპყრობის აგრეთვე საქართველოს ბარში, მთაში და მთისძირა ზოლში გავრცელებული ხალხური ტრანსპორტის სხვადასხვა სახეები: ურემი, მარ-

ხილი, ბოლოთრია და სხვ. ბოლოთრია, რომელიც მთისძირა ზოლის სახით საშუალება და რომლის კონსტრუქციაც თრევისა და გორგის კომბინირებულ პრინციპს ემყარება, საქართველოს გარეთ არსად არა გვხვდება. დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე უხვად გამოფენილი ულამაზესი ეროვნული კოსტიუმის სახეები, ხის ჩუქურთმის შესანიშნავი ნიმუშები და სხვ. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი კომპლექსები მოცემულია ისტორიულ კრიოში სათანადო არტეოლოგიური და ძველი წერილობითი მონაცემების საფუძველზე. ამის წყალობით ეი მზავხელს საშუალება ეძლევა მდიდარი ქართული კულტურის განვითარებას ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გაადევნოს თვალი.

გვიწიბით საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენის მეორე ნაწილს. აქ ნაჩვენებია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურაში მომხდარი უდიდესი ცვლილებები. ცოცხლად და საინტერესოდ არის გაშლილი განუხრელი ამბავლისი გზაზე მდგომი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები, უშუალო მწარმოებელთა — მუშათა და კოლმეურნეთა საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა.

გამოფენაზე ნაჩვენებია სამრეწველო შრომის მრავალფეროვნება და სპეციფიკა. ეფექტურადაა წარმოდგენილი წარმოების ურთულესი პროცესები: მაგალითად, ფოლადის გამოდნობა და სათანადო ნაწარმის დამზადება (რუსთავი). მარგანეციის მოპოვება, გამიღობება და გადამუშავება (ჭიათურა). მრეწველობის მუშათა შრომითი ენთუზიაზმი, რაციონალიზატორული მოპოვება, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა და ამის საფუძველზე მუშათა ცხოვრების მატერიალური პირობების სისტემატური გაუმჯობესება. კარგადაა ასახული საწარმოო კადრების ჩამოყალიბების პროცესი (ჭუთაისის სააგრომობლო ქარხნისა და ჭიათურის სამთამადნო წარმოების მუშათა ყოფის ექსპონაცია) და ის დიდი და უნაგარი დაზმარება, რომელიც მომედი ხალხებმა და პირველ რიგში დიდმა რუსმა ხალხმა აღმოუჩინეს ქართველ ხალხს კვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების საქმეში.

გამოფენაზე უხვადაა ექსპონირებული შრომის იარაღები, სათანადო ნაწარმის ნიმუშები, სამუშაო კოსტიუმები და ა. შ. ყურადღების იპყრობის ჭიათურის მძაბრობების ერთი ნაწილის



ახალი კულტურისა და ყოფის განყოფილება: წინა პლანზე—რუსთავეის მაკეტი

მაკეტი. მისი გარეგანი ხედი წარმოდგენას გვაძლევს მაღაროს მუშათა უბნის დასახლების ტიპისა და ელექტროფიციერული საპატრონო-საბავარიო გზების შესახებ... ვინაიდან მაკეტი ავტომატიზებულია და ელექტროდენის ჩართვით შუაზე იხსნება, მსახველი მაღაროს შინაგან მოწყობილობასაც ეცნობა. მაკეტი მკაფიოდ მეტყველებს საქართველოში სამთამანდო მრეწველობის მექანიზაციისა და შრომის პირობების განსაკუთრებულ მაღალ დონეზე. აქვეა ქართული მეტალურგიის ქალაქის რუსთავეის მაკეტი. იგი ცხადად გვიჩვენებს ახალგაზრდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში აშენებულ სოციალისტური ქალაქის სახეს.

გამოფენაზე საინტერესოდ და ცოცხალად ასახული კოლმეურენ გლეხობის ყოფა და კულტურა. მსახველი ნათელ წარმოდგენას ღებულობს კოლმეურენთა საწარმოო ყოფის არსებით მხარეებზე; ეცნობა კოლმეურენობისა და მანქანატრაქტორების სადღერის მართვისა, შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემას, მტკის როლს საკოლმეურენო წარმოებაში და სხვ.

გეგმვაზე-მედიცინის, მეცხოველეობის, მემინდერობის, გვერდით ყურადღებას იპყრობს ახალი სასოფლო-სამეურენო კულტურების—ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის ექსპოზიცია. გამოფენაზე კარგადაა წარმოდგენილი საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაგალი დონე. ნაჩვენებია მინდვრის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია, მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია მეცხოველეობაში (ძროხის წველა, ცხვრის პარსა, საკვების გადამუშავება, წყლის მიწოდება და ა. შ.) და სხვ. ეცნობით ახალ სასოფლო-სამეურენო იარაღებს (საწველი და საძარსი აგრეგატები, ჩაის ბუჩქის სასხლავი და საკრეფი მანქანები და სხვ). გამოფენაზე დიდი დღილი აქვს დათმობილი მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მოწინავე აგრეგატების ინტენსიური დანერგვის ჩვენებას. საინტერესოდ არის ასახული ყოველივე ამის შედეგად მიწვეული წარმატებები (მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშახელისა და სამუშაო დროის დაზოგვა და სხვ.). მეცნიერებისა და მეურნეობის მჭიდრო კავშირზე მითითების აგრეთვე სასულიერო მუშაობის შედეგთა ექსპოზიცია მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და აგრეთვე ხილის ახალი ჯიშების გამოყვანის ხაზით.

საქართველოში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან მიღ-

წევებსა და კოლმეურენთა შრომით გმობობაზე მკაფიოდ მეტყველებს საცემური სასოფლო-სამეურენო გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობის ამსახველი სტენდი.

კოლმეურენთა საწარმოო ყოფის გვერდით გამოფენაზე კარგად არის ასახული კოლმეურენ გლეხობის ბედნიერი, დოვლათიანი ცხოვრება. წარმოდგენილია სრული სურათი დღევანდელი, სოციალისტური სოფლისა, მისი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, ელექტრისადგურები, რადიოკანქები და ა. შ. მოცემულია აგრეთვე საკოლმეურენო სპორტის ნაციონალური სახეობანი: ცხენბურთი, ისინი, ყაბახი, ლულო, კილაობა და სხვ.

გამოფენაზე თვალსაჩინოდ არის ასახული ქართველი ხალხის შრომითი მეგობრობა მოძველ ნაღებთან. ნაჩვენებია სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა ღრმა მეცნიერული შინაარსისა და სამუზეუმო-საექსპოზიციო ხელოვნების მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გამოფენაზე ექსპოზიციური კომპლექსები გაშალაა ფორმისა და შინაარსის სრულ შესაბამისობის, ლოკუტური და მხედველობითი აქქმის მთლიანობაში. ამას ხელს უწყობს ექსპოზიციის მკაფიო განაწილება, მისი მარტივი ტოპოგრაფია, კომპლექსების განლაგება რაციონალური საექსპოზიციო არის დაცვით და კომპლექსში შერჩევა მოათავის, წამყვანი და ტიპურისა. ექსპოზიციამ გამოყენებულია: ექსპონატები-ორგინალები, მოძრავი მანქანები, დიორამები, ფერწერული ნამუშევრები, ტაბულები, დიკრამები, რელიეფური რუკები და სხვ.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა გამოავლენს ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის სპეციფიკას, ნაციონალურ თავისებურებებს. გამოფენა დიდად შეუწყობს ხელს მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის საკითხების შესწავლაში. გამოფენა ამავე დროს პოლტექნიკური ცოდნის პროპაგანდის საშუალებასაც წარმოადგენს.

გამოფენის ორგანიზატორი და მეცნიერული ხელმძღვანელია პროფესორი გ. ჩიტაია, მხატვრულად გააფორმა ნ. ბრაილაშვილმა.



## აკადემიკოსი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ენგელგარტი

პროფესორი ვლადიმერ ასათიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

აკადემიკოსი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ენგელგარტი მეცნიერების იმ დარგის გამოჩენილი წარმომადგენელია, რომელმაც ბიოლოგიური ქიმიის, ანუ ბიოქიმიის, სახელწოდება მიიღო.


ბიოქიმიის საწყისები შეიძლება ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შრომებში მოინახოს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მაგრამ მისი ჩამოყალიბება, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგისა, XX საუკუნის დამდეგს იწყება. ბიოქიმიის აყვავების ხანა დგება დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ამაში დიდი დამსახურება თვით ვ. ა. ენგელგარტსაც მიუძღვის რომელიც, როგორც მეცნიერი მუშაი, დიდი ოქტომბრის ტოლია.

მეცნიერების ამ დარგის სახელწოდება „ბიოლოგიური ქიმია“ — სიცოცხლის ქიმია — მიუთითებს იმაზე, რომ ის შეეხება ცოცხალი მატერიალის ქიმიურ შემადგენლობას, იმ ქიმიურ პროცესებს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარეობენ და მისი ცხოველყოფილობის საფუძველს შეადგენენ. სასიცოცხლო პროცესის არსის გაგება, ი. პ. პავლოვის გამოთქმით — „სიცოცხლის ქიმიური საფუძვლის შესწავლა“ — ბიოქიმიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას შეადგენს. ვ. ა. ენგელგარტის პირველივე ნაბიჯები კვლევითი მუშაობის დარგში იმის მაჩვენებელი იყო, რომ ის ბრწყინვალე ექსპერიმენტატორია, რომ მას ძალუქს ბუნების ქიმიურ საიდუმლოებათა ამოხსნა.

განათლებით ექიმი, ენგელგარტი კვლევით მუ-

შაობას პირველად იმუნიტეტის დარგში იწყებს. 30 წლის წინათ მეცნიერების ეს დარგი ჯერ კიდევ ნაკლებად იყო განვითარებული, მისი მნიშვნელობა კი, მკურნალობის თვალსაზრისით, მეტად

დიდია. საქმარისია გავაზსენოთ, რომ თანამედროვე მედიცინა ფართოდ იყენებს სამკურნალო ანტიტოქსიკურ შრატებს, — მაგალითად, დიფტერიის, ტეტანუსის, დიფტერიისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. მათი გამოყენება დამყარებულია იმ მოვლენაზე, რომ ცხოველების (ცხენების) სათანადო ტოქსინების (მიკრობული შხამების) მზარდი დოზებით განმეორებითი შეყვანისას წარმოიქმნება ანტიტოქსინები — სპეციფიკური ანტისხეულები. ასეთი ცხოველის სისხლის შრატი იძენს თვისებას — დაავადებული ადამიანის ორგანიზმში შეყვანის-



სას გაანეიტრალოს ტოქსინი და ამით ხელი შეუწყოს ორგანიზმის ბრძოლას სნეულების გამომწვევთან.

ახლა უკვე შეიძლება გადაკრით ითქვას, რომ ბევრი რამ იმუნიტეტის ქიმიაში აიხსნება ზრთულეს ორგანულ ნივთიერებათა — ცილების თავისებური თვისებით. სწორედ ცილებისთვისაა დამახასიათებელი სპეციფიკური, მეტრისმეტად მერძობიანი იმუნოპროტეინული რეაქციები. თითქმის ყველა ცილა (უმთავრესად ცხოველური წარმოშობის) ანტიგენს წარმოადგენს, ე. ი. იჩენს თვისებას — სხვა სახეობის ცხოველის სისხლში ან კანქვეშ შეყვანისას წარმოშვას ანტისხეულები, რომელთა შესახებ ზემოთ ითქვა. უცხო წარმოშობის ცილის სისხლში შეყვანისას ანტისხეუ-

ლებს წარმოქმნა შეიძლება სხვადასხვა გზით იქნეს აღმოჩენილი, კერძოდ, ეს შესაძლებელია ე. წ. პრეციპიტაციის (დალექვის) რეაქციის საშუალებითაც. ასე, მაგალითად, შინაური კურდღლის სისხლი, თუ ამ ცხოველს წინასწარ შეზაბახებული ჰქონდა ცხვრის სისხლი, იძენს თვისებას წარმოქმნას სპეციფიკური ნალექი — პრეციპიტატი ცხვრის სისხლის შრატთან. ამასთან ერთად ნალექი ჩნდება მხოლოდ ცხვრის და არა რომელიმე სხვა სახეობის ცხოველის სისხლის შრატთან შეერევისას. ცილების ასეთი სახეობრივი სპეციფიკურობა მეტად მდგრადია და შეიძლება მეტად დიდი ხნის განმავლობაში არსებობდეს. მაგალითად, პრეციპიტაციის რეაქციის საშუალებით შესაძლებელი გახდა დამტკიცებელი ყოფილიყო ეგვიპტის ფარაონთა სრულიად გამომშრალი მუმების კუნთების ცილების იგივობა თანამედროვე ადამიანის კუნთის ცილებთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუმები ათასწლეული წლების მანძილზე სამარხებში ინახებოდა. ასეთი გზით დამტკიცებულ იქნა ადამიანის ახლო ნათესაობა უმალეს ადამიანის მსგავს მიმუხებთან, რითაც დასტურდება ადამიანისა და ამ მიმუხების საერთო წინაპრადან წარმოშობის თეორია.

იმუნიტეტის ქიმიკში დიდ როლს თამაშობენ სპეციფიკური ცილები — ფერმენტები. ფერმენტების, ანუ ბიოლოგიური კატალიზატორების (ქიმიური რეაქციების დამაჩქარებელი და შემაკავებელი) მოქმედება წარმოადგენს ნივთიერებათა გარდაქმნის მთავარ პირობას, რაც ორგანიზმის არსებობისთვის აუცილებლობას შეადგენს. ვ. ა. ენგელგარტის გამოკვლევებმა შექი მოჰფინა ე. წ. ანტი-ფერმენტების ბუნებასა და მოქმედების მექანიზმს. ამ ნივთიერებათა არსებობით ქსოვილებში აიხსნება უკანასკნელთა თვისება — წინააღმდეგობა გაუწიონ ფერმენტთა მოქმედებას.

ენგელგარტის მოღვაწეობის ამ ადრეულ პერიოდში მის მიერ შემუშავებულ იქნა ბიოლოგიურ მასალაში მთელ რივ ნივთიერებათა (ამილაზის, ამონიაკის, ქოლესტერინის) რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები. ამ მეთოდებმა ფართო გამოყენება პოვა კლინიკურ პრაქტიკაში და მათ თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაკარგავთ.

ამის მიუხედავად ვ. ა. ენგელგარტის ამ პერიოდის შრომებს. შეიძლება მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი მივაკუთვნოთ იმ კაპიტალურ გამოკვლევებთან შედარებით, რომელნიც მან უკრძელში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესის სხვადასხვა მხარის გარკვევას მიუძღვნა. ამ შრომებმა ვ. ა. ენგელგარტს როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში მოუხვეჭეს სახელი ისეთი მკვლევარისა, რომელიც მეცნიერებას ახალ გზებს უკაფავს და წარუშლელ კვლას ტოვებს.

ენგელგარტს ეკუთვნის ფართოდ ცნობილი გამოკვლევები ე. წ. ნუკლეოტიდურ ნივთიერება-

თა გარდაქმნის შესახებ. ეს ნივთიერებები აგებულია პურინის ჯგუფის ერთ-ერთი ნაერთადან ნახშირწყლისა და ფოსფორმჟავასგან. პრეციპიტაციის რეაქციის საშუალებით (შემდგენელი, ატფ.), რომელიც იმ ხანებში ახლად იყო აღმოჩენილი.

მაღალმა ექსპერიმენტატორულმა ხელოვნებამ, რომელსაც ფლობს ვ. ა. ენგელგარტი, საშუალება მისცა მას არაჩვეულებრივი მეცნიერულ წინასწარხელოვნი, ჯერ კიდევ იმ დროს, პირველს მსოფლიოში მიეთითებინა ადენოზინტრიფოსფორმჟავას უნივერსალურ, ზოგადბიოლოგიურ მნიშვნელობაზე. ამ ნივთიერებას ცენტრალური ადგილი უკავია ყველა იმ თეორიაში, რომელიც კუნთში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის და დღესდღეობის პროცესის ასახსნელადაა მოწოდებული. ენგელგარტის მიერ აღმოჩენილ იქნა ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ატფ. მონაწილეობას ღებულობს როგორც უკრძელში მიმდინარე სუნთქვით პროცესში, ისე ნახშირწყლების ისეთ დაშლაში, რომელიც ანაერობულად, ე. ი. ენგელგარტის მონაწილეობის გარეშე წარმოებს (იმ შემთხვევაში, როდესაც დამოს პროცესი ყურძნის შეჭრიდან, გლუტოზიდან იწყება, მას გლიკოლის უწოდებენ).

რით აიხსნება ადენოზინტრიფოსფორმჟავის უნივერსალური ზოგადბიოლოგიური მნიშვნელობა?

ეს ნივთიერება ეკუთვნის ფოსფორმჟავას ისეთ ორგანულ ნაერთებს, რომელნიც ენერჯის დიდი მარაგის მქონე ფოსფატურ ბმებს შეიცავენ. ენგელგარტის წინადადებით ასეთი სახის ქიმიურ ბმას — მაკროერგული ბმა ეწოდება. თუ მოხდება ასეთი მაკროერგული ბმის გაწყვეტა, დანთავისუფდება ენერჯის დიდი რაოდენობა (განახლებობა — 12000 — 15000 კალორია ერთ გრამ-მოლეკულზე). ცოცხალ უჯრედში ფოსფორის ჯგუფის გადატანა შესაძლებელია წინასწარი დაშლის (ჰიდროლიზის) გარეშეც. ასეთ შემთხვევებში, ის ენერჯია, რომელიც აკუმულირებულია მაკროერგული ბმის სახით, კი არ თავისუფლდება, არამედ ფოსფორმჟავას ჯგუფით ერთი შენაერთიდან გადაიტანება მეორეზე. ამ ტრანსფოსფორილების რეაქციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება წარმოქმნას ენერგიით მდიდარი სხვადასხვა ფოსფოროვანი ნაერთი.

ცოცხალ უჯრედში ადენოზინტრიფოსფორმჟავა და მასთან დაკავშირებული ადენოზინდიფოსფორმჟავა წარმოადგენს ფოსფორმჟავას ნაშთის ამგვარი გადატანის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და გავრცელებულ სისტემას.

ენგელგარტის მიერ მ. ნ. ლიუბიმოვასთან ერთად შესრულებული შრომებით აღმოჩენილ იქნა, რომ მიოზინი — ცილა, რომელიც კუნთის შეკუმშვადი ნივთიერების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და რომლის მოლეკულური მდგო-

ძარბოვის შეცვლის ხარჯზე ხდება კუნთის ფიზიოლოგიური ფუნქციათა განხორციელება — შეკუმშვა და მოღუნება, — კუნთის ბიოქიმიის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მთავარი ფერმენტული თვისებების მატარებელია. ის აწარმოებს ენერჯის მდიდარი ადენოზინტრიფოსფორმეჯის დაშლის კატალიზს, ე. ი. წარმოათავს იმ რეაქციას, რომელიც წარმოადგენს კუნთის შეუქმშისათვის აუცილებელი ენერჯის წყაროს.

ენგელვარტის მიერ გადაღებული იქნა შემდგომი, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მან ისარგებლა მიოზინიდან მიომზადებული ძაფით, როგორც კუნთოვანი ბოქოს მოღელთა და დაამტკიცა, რომ არა მარტო მიოზინი მოქმედებს ატფ-ზე, არამედ თვით განიცდის მის ძლიერ ზეგავლენას — ადენოზინტრიფოსფორმეჯის მოქმედებით მკვეთრად იცვლის თავის მექანიკურ თვისებებს.

ამ შრომებით პასუხი გაიცა კუნთის ფიზიოლოგის წინაშე დასმულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე — გარკვევა იმ კავშირის არსი, რომელიც არსებობს კუნთში მიმდინარე ქიმიურ პროცესებსა და მის მექანიკურ თვისებათა შეცვლას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ენგელვარტის ამ გამოკვლევებით საფუძველი ჩაეყარა საკვლევო მეცნიერების ახალ დარგს — კუნთის მექანოქიმიას.

კიდევ ერთ, არსებითი მნიშვნელობის მქონე პრობლემას, რომელსაც მთელი სიღრმით შეეხო ენგელვარტი, წარმოადგენს სუნთქვისა და დულიოს ურთიერთკავშირის საკითხი. ა. ბარხაშთან ერთად შესრულებულ შრომაში, მის მიერ უჯრედში აღმოჩენილ იქნა ნახშირწყლების სუნთქვითი დაშლის ახალი გზა, ან საფუძველზე, საერო შრომაში ნ. ე. საკოვიან ამოხსნილ იქნა ე. წ. „პასტერის ეფექტი“, რომელიც მდგომარეობს დულიოს პროცესის დათრგუნვაში სუნთქვის პროცესით. ამ მოვლენის ქიმიური მექანიზმი პასტერის დროიდან მართებულად ვერ იქნა განმარტებული.

მეთოდური თვალსაზრისით მეტად მოხდენილად დაყენებული ცდებით, ენგელვარტმა შეძლო გამოერკვია უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესის რომელ საფეხურზე წყდება ნახშირწყლის მოლეკულის შემდგომი გარდაქმნის ბედ-იზბალი — წარმართება მისი დაშლა ანაერობული, ე. წ. დულიოს გზით, თუ მოხდება მისი დაჯანგვა უჯრედის სუნთქვის პროცესში.

ამით პირველად მიღწეული იქნა ერთ-ერთი ძირითადი ბიოლოგიური მოვლენის ერთლყოფილი ქიმიური კონკრეტუზაცია — სუნთქვისა და დულიოს პროცესის ურთიერთდამოკიდებულების არსის გარკვევა. მიუხედავად იმ არაჩვეულებრივი ინტერესისა, როგორსაც ეს საკითხი იპყრობდა და იმ მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა,

რომლებიც მას მიეძღვნა, 70 წლის მანძილზე მისი გადაჭრა ვერ ხერხდებოდა. ენგელვარტის მიერ თანამშრომელთა ეს აღმოჩენები უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესის შემდგომი შესწავლის მტიკე საფუძველს იძლევა.

შრომათა ამ წყებას მიეკუთვნება აგრეთვე ენგელვარტის ახალი გამოკვლევები, მიძღვნილი ნერვული ქსოვილის ფუნქციათა ქიმიზმის შესწავლისადმი. ამ შრომებით დადგინდა იქნა, რომ ქიმიურ გარდაქმნათა დიდი უნარის მქონე ტვინის ფოსფორბიტენების წარმოქმნა მკიდრო კავშირშია ქსოვილთა სუნთქვის პროცესთან.

ვ. ა. ენგელვარტს დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა ვიტამინოლოგიის დარგშიც. მის მიერ შესწავლილ იქნა ვიტამინ „C“-ს ფერმენტული გარდაქმნები, გამოარკვეულ იქნა ვიტამინ B<sub>1</sub>-ის უჯრედის ცილეთან კავშირის ხასიათი, შემუშავებულ იქნა ვიტამინ „M“-ს განსაზღვრის სპექტროფოტომეტრიული მეთოდი და მალალაკუშური დესტილაციის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მქონე ნაერთთა (ვიტამინი „A“-სა და სხვ.) გაწმენდისათვის. შესწავლილ იქნა აგრეთვე საკითხი თიამინის კოფერმენტის ბუნებისა და თვისებების შესახებ. ეს შრომები უძვირფასეს მონაპოვარს წარმოადგენენ საბჭოთა ვიტამინოლოგიისათვის. მათ სახალხო მეურნეობაში ფართო გამოყენება პოვის. დიდია ენგელვარტის დეაწლი სამედიცინო პრეპარატების წარმოებისა და ლაბორატორულ ხელსაწყობათა მშენებლობის დარგში.

ვ. ა. ენგელვარტი ეწევა უდიდეს პედაგოგიურ, სამეცნიერო-ორგანიზაციულ და ლიტერატურულ მუშაობას. იგი ბაქსეინვალე ლექტორია — საბჭოთა ბიოქიმიკოსების მრავალრიცხოვანი კადრების აღმზრდელი.

ვ. ა. ენგელვარტი ბიოქიმიკოსთა ყველა თათბირის, ყრილობისა და კონგრესის აქტიური მონაწილეა. იგი ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი და საკავშირო ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ქიმიური სექციის თავმჯდომარეა. ვ. ა. ენგელვარტი ჟურნალ „ბიოქიმიის“ რედაქტორია. მისი რედაქტორობით გამოცემულია მრავალი მონოგრაფიული და საცნობარო ნაშრომი.

საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებს ვ. ა. ენგელვარტის დამსახურებას საბჭოთა მეცნიერების წინაშე. მას მიეკუთვნებული აქვს — სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება, იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამამულო ომისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ევეზი არ არის, რომ აკადემიკოსი ვ. ა. ენგელვარტი საბჭოთა მეცნიერებას კვლავაც ახალი შენაღონავი გამოკვლევებით გაამდიდრებს.

# მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი

\*მიმდინარე წლის 6 მარტს ასი წელი შესრულდა გამოჩენილი გერმანელი მათემატიკოსი და ასტრონომის კარლ ფრიდრიხ გაუსის გარდაცვალებიდან.

კ. ფ. გაუსი დაიბადა ბრაუნშვეიგის საჰერცოგოში 1777 წლის 12 მაისს.

ფილოლოგიაში, გაუსი არც მათემატიკის იფიქნებდა. 1795 წელს 18 წლის გაუსმა დაწერა უმცირეს კვლავატა მხოლოდ, რომელიც შესაძლებელი გახდა მეოთხედი დაკვირვების შედეგების საფუძველზე

მათემატიკის მნიშვნელოვან დარგს — რიცხვთა თეორიას.

ამ წლიდან გაუსის ყურადღება ასტრონომიასკენ გადადის.

1801 წლიდან იგი საოველოდ იქნა აღიარებული როგორც დიდი მათემატიკოსი და ასტრონომი. 1802 წლის დასაწყისში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გაუსი თავის წევრ-კორესპონდენტად აირჩია, ხოლო 8 თვის შემდეგ მას ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორთა შესთავაზა. გაუსმა ამ წინადადებაზე უარი თქვა. შემდეგში რუსეთის მთავრობამ მას დამატებით გაიმართა წინადადება გაუსის რუსეთში მიწვევის შესახებ. გაუსი ბერლინის უნივერსიტეტში ბევრჯერ იყო მიწვეული, მაგრამ იგი სიყვარულად ერთგული დარჩა გეტინგენის უნივერსიტეტსა. 1824 წელს გაუსი არჩულ იქნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. შემდეგში გაუსმა კიდევ უფრო გააღვივებინა ორბიტების დიდ მათემატიკოსად იმდროინდელი მათემატიკის მიწვევა, რომ თუ ელიფი ამ თუ იმ ორბიტის გზის გამოთვალს სამი დიდ უნებუნებელი, გაუსი 1 საათში ანგარიშობდა. ეს მათემატიკოსი გაუსმა გამოაქვეყნა 1807 წელს, როდესაც იგი დამოუკიდებელი გეტინგენის ობსერვატორიის დირექტორად და ასტრონომიის პროფესორად ბეტიუნგენის უნივერსიტეტში.

გაუსის ორბიტის შესწავლის დროს გაუსმა გამოაქვეყნა სამი მათემატიკური შრომა: „პოპოგრამეტიკული მწკრივის შესახებ“ (1812 წ.); „ამპლიტუდის კვლავატის შესახებ“ (1814 წ.) და „საუკუნეობრივი შემოთავაზების შესახებ“ (1818 წ.).

1818 წლიდან გაუსი მონაწილეობდა გრადუსულ გაზომვაში და ეწეოდა გეოდეზიურ სამუშაოებს და ღრმად შექმნილი შრომების შედეგად გაუსს უმაღლესი გეოდეზიის ფუძემდებლად სთვლიან. ამავ დროს გაუსი დივერგენციალურ გეომეტრიაზე მუშაობდა.

1831-1842 წლებში გაუსი მუშაობდა დემათიკის მაგისტრის სახით. 1849 წელს გაუსს საიმპერატორს მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს.

გაუსი გარდაიცვალა 1855 წლის 6 მარტს გეტინგენში.

გაუსის შრომები რიცხვთა თეორიაში, ალგებრაში, თეორიულ ასტრონომიაში, მექანიკაში, უმაღლეს გეოდეზიაში და გეოდეზიაში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას თავისი დროის „მათემატიკის



მოკლე და შედარებით ზუსტი პასუხის მიღება, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1796 წლის 30 მარტს, მან დაამტკიცა, რომ შეიძლება წრეში ჩაიხაზოს წესიერი ჩვილ-მეტკეტილი. ევკლიდეს მათემატიკაში გაუსმა დიდი როლი ითამაშა, რომ წრეში შეიძლება ჩაიხაზოს მხოლოდ წესიერი სამკუთხედი, ხუთკუთხედი და მათგან წარმოებული ფიგურები. ამგვარად გაუსმა აღმოაჩინა ის, რაც ორი ასობით წლის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩა ბუმბერაზ მათემატიკოსებს.

1799 წელს გამოაქვეყნა გაუსის შრომა ალგებრულ განტოლებათა თეორიაში — „ახალი დამტკიცება თეორემათა, რომ ერთი ცვლადის ნებისმიერი მთელი რაციონალური ალგებრული ფუნქცია შეიძლება დაიშალოს პირველი ან მეორე ხარისხის ნამდვილ მამრავლებად“. ამ თეორემაში მნიშვნელოვანი დიდი უკავია ალგებრულ განტოლებათა თეორიაში, რომელსაც მთელი უმაღლესი ალგებრა ეყრდნობა. აღნიშნული საკითხზე გაუსმა დიდ როლს გამოიყენა მათემატიკის დარგში, დაუმტკიცა და სხვები, მაგრამ სუსტებით ზუსტი დამტკიცების მიუხედავად მხოლოდ გაუსმა შეძლო.

1801 წელს გამოაქვეყნა გაუსის შესანიშნავი შრომა „არითმეტიკული მსჯელობანი“. ეს შრომა საფუძვლად დაედო

გაუსი წლის გაუსი დაწვევით სასწავლებელში მიიბარეს. ამ პირველ ორ წელში იგი არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა მისწავლელებისაგან. სამაგიეროდ, როდესაც მესამე განყოფილებიდან არითმეტიკის სწავლება შემოიღეს, მსწავლე მიიქცია ყურადღება თავისი მასწავლებლებისა. ცნობილი ასტრონომი ფრიდრიხ ავგუსტ ტილიერი ვინერტე, რომელიც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში (1858 — 1865 წწ.) პულკოვის ობსერვატორიაში მუშაობდა, მოგვითხრობს: „როგორც კი გაუსი არითმეტიკის გაკვეთილზე მოხვდა, მასწავლებელმა კლასს ამოცანა მისცა. ამოცანა წარმოადგენდა არითმეტიკული მწკრივის შეკრებას, როგორც კი მასწავლებელმა ამოცანის წერა დაასრულა, გაუსმა თავის პატარა დაფა დადებობრივ მერხებზე და დააკოლა: „კიბად არის“. სხვა მოწაფეები ამოხსნას შეუძლებელად მასწავლებელი კლასში დაიღობა და ცალი ფეხით სიბარბულოდ უთავალალოდ გადატარა გაუსს, რომელიც ცოცხედ „აჩქარდა“ ამოცანის ამოხსნაში. გაუსი კი მშვიდად იჯდა, დარწმუნებული, რომ ამოხსნა სწორია იყო, რომ სხვა პასუხი არ შეიძლება დაფები გადმობრუნებულ იქნა. გაუსის დაფებზე ყველა ერთადერთი რიცხვი, რომელიც სწორ პასუხს წარმოადგენდა. მოწაფეთა უზარულსობამ მთელი საათის განმავლობაში ვერ ამოხსნა ამოცანა. ამის შემდეგ მასწავლებელმა ამოცანა განსაკუთრებულ კრებული გამოიწერა გაუსისადმი და გაუსისათვის“.

მასწავლებლის — ბიძგერის თანამეგობარს, ბარტელსს, რომელიც იმხანად მათემატიკაში მუშაობდა, არ გამოაჩინა გაუსის მათემატიკური ნიჭი. 11 წლის გაუსს მან მათემატიკური ანალიზის საწყისები შესწავლა. ამჟამ (1788) წელს გაუსი გენაზე იყო გადაყვანილი.

1795 წელს 18 წლის გაუსი გეტინგენის უნივერსიტეტში შევიდა. იგი ერთნაირი გიტაცებით ისმენდა ლექციებს როგორც ფილოლოგიაში, ისე მათემატიკაში. იმ დროს გეტინგენში ერთადერთი მათემატიკოსი იყო კესტერი. მაგრამ, როგორც თვით გაუსი წერდა, კესტერის სუსტი მკვლევარი ყოფილა. მუშაობდა რა

კს მეფეს" უყოლებდნენ, რაც მისი სხვა-  
ნის აღსანიშნავად დამზადებულ მედალ-  
ზედაც ამოიკვეთა: „თეთმფრინავის მეფე“.

### 3. პარაქმე მეცნიერებათა ფიზიკა-მათემატიკის კანონი

\* 21 მარტს 130 წელი შესრულდა  
ალექსანდრე თეოფრეს-ქე მოეკის-  
ის — მსოფლიოში პირველი თეთმ-  
ფრინავის შემქმნელის დაბადებდნენ  
(1825).

„ჰაერნაოსნობა... ორგანოა: ერთი —  
არსობრივებით, მეორე — აეროდინამი-  
კით. მეორე ...სახე ჰაერნაოსნობისა გვი-  
ქადის ყველაზე უდიდეს მომავალს, სი-  
აღიფეს...“ ასე წერდა 1878 წელს, თეთმ-  
ფრინავის გამოგონებამდე ბევრად ადრე,  
დიდი რუსი მეცნიერი დიმიტრი ივანეს-  
ქე მენდელეევი, რომელმაც წინასწარ გან-  
ჭვრიდა ავიაციის განვითარების ძირითადი  
მიმართულება — თეთმფრინავშე-  
ნებლობა.

და როცა უდიდესი მადლობის გრძო-  
ბით მივაპყრობთ თვალს წარსულს, ჩვენ  
შეგვძლებთ შესანიშნავი რუსი აღმია-  
ნის — პირველი თეთმფრინავის შემქმნე-  
ლის ალექსანდრე თეოფრეს-ქე მოეკისის  
სახელს.

მან მეცნიერულად დაასაბუთა აერო-  
დინამიური\* გაფრენა და თავისი დასკვნე-  
ბის სისწორე მოდელზე შეამოწმა, შემ-  
დეგ კი ააო და გამოცადა თეთმფრინა-  
ვი — 26 წლით ადრე ამერიკელ ძმებ რა-  
იტებამდე, რომლებსაც სასულიერო პირ-  
ველობას მიაწერენ თეთმფრინავშე-  
ნებლობას.

მისი თავდადებული და შფოთიანი  
ცხოვრება, შემოქმედებითი ცხოვრება გე-  
ნიალური აღმანიისა, რომელიც შეუპოვ-  
რად იბრძოდა თავისი იდეის განხორციე-  
ლებისათვის, მხოლოდ უკანასკნელ წლებ-  
ში გახდა რუსთა საბჭოთა მკვლევარების  
შრომების მთავარი.

თავის ცხოვრების თითქმის 30 წელი  
შესწირა მოეკისკიმ ჰაერნაოსნობის პრობ-  
ლემის შესწავლას, არაჩვეულებრივი შეუ-  
პოვრობით წყვეტდა იგი ზედინედ საე-

ბიძეებს, რომლებიც მისი სასულიერო ოფ-  
ნების გზაზე ისმებოდა.

ა. თ. მოეკისი დაიბადა სასულიერო ოფი-  
სის ოჯახში, დაამთავრა კიდეტა კორ-  
პუსი, გახდა მეზღვაური — სამხედრო  
ხომალდ „პროკორის“ უფროსი თეთმფრინ-  
ავი. მაგრამ მას ჰაერნაოსნობის პრობლემა  
აჩივავდა. ამიტომ მან ჭერ კიდევ ახალ-  
გზარამ დატოვა ზღვა.

ფრანგელთა ფრენის შესწავლიდან  
რუსი მკვლევარი გადადის ცდებზე ფრა-  
ნებში. ესეც ზედინედა საფრანგეთში და  
ინგლისში მსგავს ცდებამდე ათი წლით  
ადრე.

მრავალი ცდის საფუძველზე მოეკისი  
კმაყოფიანად ფრთის ამწევი ძალის ძი-  
ძირითადი კანონი: „რაც უფრო დიდია  
ძირითადის სიხარტი, მით უფრო მეტი სიმ-  
ძობის წაღება შეუძლია იმავე ფრთის“.

ფრანის ათვისების შემდეგ მოეკისი  
გადავიდა კვლევის შემდეგ საფეხურზე:  
ამავე შემწე თეთმფრინავის მფრინავი მო-  
დელი. ამ თეთმფრინავით წინასწარ გან-  
ჭვრილი იყო თანამედროვე თეთმფრინ-  
ავის ყველა ელემენტი. იგი მოძრაობდა  
მოყავდა სამ აერხიანს, რომლებიც საა-  
თის ზამბარის საშუალებით ბრუნდნენ.

ა. მოეკისიკი გალაწევიტა გადაღედა  
უკანასკნელი ნაბიჯი — ნამდვილი თეთმ-  
ფრინავის აგება დაეწყო და დასმარებო-  
ბათვის სამხედრო სამინისტროს მიმართა.  
საპეტილურმა კომისიამ, რომელიც  
დ. ი. მენდელეევი შედიოდა, განიხილა  
მოეკისის პროექტი. დ. ი. მენდელეევის  
მონაწილეობამ კომისიაში გადაწევიტა  
მოეკისის პროექტის შემდგომი ბედი.

ა. მოეკისის თეთმფრინავის კონ-  
სტრუქციკა მოწონებულ იქნა კომისიის მი-  
ერა და მას ერთგვარი ფანას მისცეს მუშა-  
ობის გადაჭრედელება.

მაგრამ მეორე კომისიამ, რომელმაც  
მოეკისის პროექტი განიხილა, შემდგომ  
უტყობოლებსაგან, უარყო მოეკისის პრო-  
ექტი, წინადადება მისცა მას გადაემუშა-  
ებინა იგი, დაყრდნობიდა მქნევადა  
ფრთებით მოქმედი აპარატს. ეს ბოლოთი  
რჩევა გამოგონებელმა უარყო და გადა-

წევიტა თავისი სასრული განგებობა ცდ-  
ბი, რადგან მთავრობამ დასმარებაზე უა-  
რ უთხრა.

როგორც ჩანს, ტექნიკის ემდროუ-  
დელმა მდგომარეობამ საშუალება არ მის-  
ცა მოეკისის ავეო ნავთის ძიარე და მან  
ორბელის ძიარეს მიმართა.

1882 წლის ზაფხულში, პეტერბურგის  
მხსლობილ კრასნოე სკოლში, მოეკისი  
კიმ რამდენიმე ოსტატის დასმარებით და-  
ამთავრა თეთმფრინავის შეკრება. ავეე  
გამოცადა იგი მექანიკის ი. გოლუბევის  
მეთოდებით. თეთმფრინავი მოსწავ-  
დასრულ ფიცარნავს, რომელიც ააღე-  
დიწავდა თეთმფრინავის მოწევეტას დე-  
დამოწმისაგან, და გაფრენდა მანქანარზე.

ამ პირველმა გაფრენამ მოეკისის ბე-  
რის მასალა მისცა თეთმფრინავის შემ-  
დგომი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მას  
არ დასცვიდა — 1890 წლის 20 მარტს  
ა. თ. მოეკისიკი გარდაიცვილა.

\* 50 წლის წინათ, 1905 წლის 24 მარტს  
გარდაიცვიდა გამოჩენილი ფრანგი რომა-  
ნისტი, XIX საუკუნის გრანდული ობი-  
ტერატურის დემოკრატული ბანკის  
ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი  
ე. ჯ. ჯ. ვერნი\*, რომლის წიგნებს ამე-  
მაღეც გატაცებით კითხვლობს ჩვენი მოს-  
წავლე ახალგაზრდობა.

ე. ჯ. ვერნიკის მოხატული ვერნი დაიბადა 1828  
წლის 8 თებერვალს, ბრეტანეთის ძველ  
ქალაქ ნანტში.

უდიდესი მზრე იგი დაეკვირებული  
იყო ხომალდებლობელების გვიართა. აღ-  
ბათ, ამით იმსუნება, რომ ის ბავშვობი-  
დან ოცნებობდა მოგზაურის, ახალი მიწა-  
წყლის აღმოჩენისა სახელზე, უფრდა თა-  
ვისი საყვარელი ლიტერატურული გიო-  
რის — რომანოზო კრუსოს ბედი.


მაგრამ დღე-მამის მოთხოვნით, ყმა-  
წული იძულებული იყო ადვოკატის პრო-  
ფესიისათვის მომზადებულყოფი. 1848  
წელს ის მიეგზავნებდა პარიზში, სადაც  
გამოცდებს აპარტეს სამართლის ლიცენ-  
ციანტის ხარისხზე, მაგრამ ნაცვალად იმი-  
სა, რომ ნანტში დაბრუნებულყოფი, ე-  
ვერნი პარიზში დარჩა. აქ იგი ჭერ გადა-  
წერია რომანოზო კრუსოს კანტორაში, შემ-  
დეგ — პატარა თეატრის მდივანი, დაბო-  
ლოდა — პარიზის ბირვის წვილილი მოსამ-  
სახურე.

ამ წლებში იგი ბევრს წერს — ლექ-  
სებს, კომედიებს, ფარსებს, ოპერეტების  
ლიბრეტოებს, პარიზის პატარა ეურნი-  
კლებში ბეჭდვს თავის პირველ მოთხრო-  
ბებს.

ე. ვერნის ახალგაზრდობა დამთხვა  
რევოლუციური ქარიშხალს მის სამშო-  
ბლოში: 1848 წელს საფრანგეთში და ევ-  
როპის რიგ სხვა ქვეყნებში იმსხერედა  
მეფეთა ტახტები და არსდებოდა რესპუბ-  
ლიკები.

ე. ვერნის არქივი-ჭერ გამოქვეყნებუ-

\* ე. ვერნის პიორადიდა იმედეგა ჩვენი უერ-  
ნალის მკიხებელს ე. სურნავას ობოწნა.



ა. თ. მოეკისის თეთმფრინავის მოდელი

ლო არ არის, ამიტომ უნებია, თუ გვირ გამოგზავნა იგი 1848 წლის ივნისის აჯანყებას, მაგრამ კარგად ცნობილია, რომ მისთვის ძვირფასი იყო ყველა გრძელნების ხალხთა და რასების თანასწორულუბიანობის იდეები და იგი ყოველთვის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ღრმა თანაგრძობას გამოხატავდა.

მხოლოდ 1863 წელს გამოსცა ე. ვერნის თავისი პირველი რომანი „არამეკულებრე მოგზაურობა“ სერიოზული — „სუთი კვირა ჰაერბურთით“ — ამ დროიდან იგი გახდა პროფესიონალი-მწერალი, ყოველწლიურად აქვეყნებდა ერთ ან ორ ახალ რომანს.

პარიზის კომუნის დღეებში ე. ვერნის პარიზი დარჩა და პროლეტარული დიქტატურის მსოფლიოში პირველი გამრული ცდის მოწამე იყო. იგი გახდა მოწამე კომუნის დაღუპვისა და კონტრრევოლუციური სამხედრო წრეების სისლანი თარეშისა...

1872 წელს ე. ვერნმა სამუდამოდ დატოვა პარიზი, სადაც 24 წელი დაჟყო და გადასახლდა წყნარ პრივილეჯულ ქალაქ მიენსო.

პირველი რომანის შემდეგ გამოცემულმა ბევრმა თელ ვერნისად იღო ხელმწიფრულემა, რომლის ძალითაც თელ ვერნს, რომელსაც ჯერ კიდევ არავითარი კლტერატურული სახელი არ ჰქონდა, ყოველწლიურად უნდა დაეწერა „ახალი ტომის“ რომანების ორ-ორი ტომი. შემთხვევითმა ჰქრილობამ, რამაც ე. ვერნს სამუდამოდ დააყოლა, და მხედველობის თანდათანობით დაუსტებამ მიაჯექვა იგი მარტოებულ კაზინებს, რომელიც მისი კომუნი მდებარეობდა. მოგზაურობებს ბოლო მივლო, მაგრამ მუშაობა ერთი დღითაც არ შეწყვეტდა. მრავალი წლის განმავლობაში, თავისი პირველი წიგნის გამოსვლამდე თელ ვერნი ამუშავებდა ახალი ტომის „მეცნიერების შესახებ“ რომანის იდეას.

ე. ვერნის ბევრს მუშაობდა ნაციონალურ პობლიოტიკაში, ავტოლოგებდა მუხუცემებსა და გამოფენებს, ხელმძღვანელებდა მეცნიერებს, გამოგონებლებს, ინჟინერებს, მოგზაურებს. იგი თავისი დროის უგანათლებლესი აღმზიანი გახდა.

შელი წლის მანძილზე (1860 — 1870) ე. ვერნმა გამოაქვეყნა შვიდი დიდი რომანი. რომანს „სუთი კვირა ჰაერბურთით“ მოეცა „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ“, „ჰაპიტან გატერასის მოგზაურობა“, „დედამიწიდან მთავისაკენ“ და „მთავისი ვარშემო“, ამავე წლებშია დასწერილი „ჰაპიტან გრანტის შვილები“, „ითხმოცი ათასი კილომეტრი წაალქვეშ“.

ის დრო, რომელზედაც მოვლით ე. ვერნის შემოქმედება, იყო მრეწველობის სწრაფი განვითარების ხანა. ტექნიკის მძაფრი განვითარების ხანა. 1838 წელს პირველმა გემმა გადასერა ატლანტის ოკეანე,



60-იან წლებში რკინის ორთქლის გემებმა რევოლუციური რესებები დაამყარეს სფერანავთსა და მთელ ქვეყნიერებას შორის.

1831 წელს ფარადეს მიერ აღმოჩენილი ელექტრული ინდუქციის მოვლენა ახალ ერად გადაიქცა ელექტროტექნიკისთვის.

1881 წელს ინჟინერ იაბლოჩკოვის „რუსულმა სინათლემ“ გააჩრადნა პარიზის საერთაშორისო ელექტრული გამოფენის ტერიტორია. ყოველივე ამაღ მრავალმა სხვამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა მეცნიერების მძაფრი განვითარებისათვის. ეს იყო არა მარტო ერთი თეორიების გაცმარებების პერიოდი, არამედ მძლავრი სინთეზის ხანა. მეორე, ჯოულმა, ჰელმჰოლცმა დაასრულეს დამტკიცება ენერგის მარადისობის საყოველთაო კანონის, რაც ბერკლად მ. ლომონოსოვმა აღმოაჩინა. ჰერცლომ საბოლოოდ განდევნა ქიმიიდან „სასიცოცხლო ძალის“ ცნება. მენდელეევი დაასაბუთა ყველა ქიმიური ელემენტის ერთიანობა. დარვინმა ევოლუციის თეორიის გიგანტური შენობა შექმნა. ლევერემ „კალმის წყვერ“ ახალი პლანეტა — ნეპტუნი აღმოაჩინა. მენდელეევი განსაკვირვებელი სიზუსტით ასწერა ჯერ კიდევ უცნობი ელემენტების თვისებები.

თავის პირველ ოთხ რომანში ე. ვერნმა თხრობის ცენტრში მოაქცია ოთხი პრობლემა, რომლებიც მასში მეცნიერების წინაშე იდგა: პარენაონობა, პოლუსის დაწყობა, მიწის წიაღის სიღრმისებანი, გაფრენა დედამიწის მიზიდულობის ფარგლებს გარეთ.

60-იანი წლების დამლევს ეთელ ინჟინერებმა და უახლოვებდა რევოლუციური მოძრაობის მრავალ მოღუქმეს, რჩენილნი ჰქარაზის პარიზის კომუნის მხედველობის ქაბი და მოღუქვები გახდნენ. სწორედ ამ წლებში ე. ვერნმა შექმნა ცნობილი ტრილოგია, რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს. ტრილოგიის პირველი ორი ნაწილი — „ჰაპიტან გრანტის შვილები“ და „ითხმოცი ათასი კილომეტრი წაალქვეშ“ გამოქვეყნდა 1866 და 1870 წელს, მესამე ნაწილი — „საიდუმლო კუნძული“ — 1875 წელს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ რომანებში აღწერილი მეცნიერების შემოქმედებისათვის დამახასიათებელია აღმზიანთა შრომითი კოლექტივის საარსებო არიკანებისადმი სანასხური.

ე. ვერნის შემდგომ წიგნებში, რომლებიც მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ დაიწერა, ჩვენ ვხვდებით უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის, ჩინეთში ტაიპინგთა მოძრაობის გამოსახულებას, ინდოეთში აჯანყებას ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ, ჯონ ბრაუნის ამბოხებას, ჩრდილოეთის ომს სასხრეთის წინააღმდეგ ამერიკაში ზანტების განთავისუფლებისათვის. ე. ვერნი მთელი არსებითი თანაუბრებობა კოლონიური ქვეყნების ოახლბ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. მაგალითად, ჰაპიტანი ნემო არა მარტო წაალქვეშ ხომალდის მეთაურია, არამედ გენიალური გამოგონებელი და ინჟინერიც, არა მარტო გეოგრაფი და მუხენისმეტყველო, არამედ თავისუფლების მუშპოვარი დამცველი, მინიაობისა და კოლონიური ჩავერის ულმობელი მტერი.

საფრანგეთ-პრუსიის ომმა და პარიზის კომუნამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ე. ვერნში. ომმა ვაიკატტერა მისი ჰაკიფისტური ილუზიები მეცნიერთა ინტელიციონალის შესახებ, რომელიც ვითომდა უბრძოლველია და აღუმტკიცებლად შექმნიან ნათელ, სამართლიან სამყაროს. კომუნის დღეებში მან დაინახა გიგანტური ძალები, რომლებიც იფარება ხალხში, რომლებსაც მტრში. ვერსალის მტერი კომუნის ჩახშობის დროს მან დაინახა მეცნიერის სხე ბურჟუაზიისა, რომელიც ჯალთაფრად უსწორდებოდა პროლეტარიატს.

ეთელ ვერნისათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა გაუხზორციულებლობა მისი უტოპიური იმედებისა სოციალური პრობლემის მწვიდობიანი გზით გადაჭრის შესაძლებლობის შესახებ და იგი თავისუფლებმა მრავალი უტოპიური ცირურწმენისაკენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის აღშფოთება, რასაც ე. ვერნი იწვევდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა. იყო დრო, როცა ე. ვერნი სრულიად სხვანაირად უცქერდა შეერთებულ შტატებს („დედამიწიდან თიარზეუ“). მაგრამ ე. ვერნი ჩქარა დარწმუნდა, რომ ამერიკის სხვა მის რომანში სრულიად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ის ჩქარა დარწმუნდა, რომ ა. ლინკოლნის და ჯონ ბრაუნის თავისუფლებისმოყვარული და დემოკრატიული იდეები ამერიკაში დაიწვევებოდა, რომ რასიული შტრახი სამოქალაქო ომის შემდეგ არათუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდევ გამოწვავდა. ახალ რომანებში, რომლებიც ამის შემდეგ ე. ვერნი მა გამოაქვეყნა, იგი ამხელს ამერიკის (შერთებული შტატების) შავნულ სინამდვილეს. 1895 წელს ის წერს რომან-პამფლეტს „თეთრბავალ-კუნძულს“ — „სა-

ილმუსო კუნძულს“ თავისებურ ანტი-თეზას.

ე. ვერნის თხზულებებს არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა. მას დიდად აფასებდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანები. მის პირველ რომანს უძღვნა რეცენზია ნეკრასოვის „სოფრემენიკი“ მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინმა.

მაღალ შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებას დიდი ლ. ტოლსტოი. აღბაყებით ლაბარაკობდა მის შესახებ ი. ტურგენივი.

ა. მ. გორკი ეიულ ვერნს კლასიკოსი უწოდებდა დაბეჭდვებით იცავდა იმ აზრს, რომ მისი თხზულებანი გამოეცათ ისე, როგორც კლასიკოსებს სცემენ.

ძლიერ უყვარდა და დიდად აფასებდა ე. ვერნს დედაბაბუის დ. ი. მენდელეევი, რომელიც მას „მეცნიერულ გენიოსს“ უწოდებდა.

ღერობისა და ფოთლების განვითარება. შემდეგ ჩნდება წერტილოვანი ცვაკილები უღეროებოდ და უფლები ლეობი. ყვავილობა და თესლის წარმოქმნა ძლიერ სწრაფად მოავრდება. პოდოსტემონების ნაყოფები — კოლოფები — დამწიფების შემდეგ იხსნება და თესლები მინანარეში იყრება.

### მოგზაურობა მარსზე

ძველი ანდაზა ამბობს, რომ მოგზაურობანი ავითარებენ გონებას. ანდაზები კი, როგორც ცნობილია, საღებური სიბრძნეა.

მოდით, განვახორციელოთ პლანეტათმშობის მოგზაურობა. თუმცა იგი მხოლოდ წარმოსახვითი იქნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაამდიდრებს მის მონაწილეებს. მოგზაურობის მიზანია მარსი.

მიზილულობის ძალა ამ პლანეტაზე დაახლოებით სამჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე, პაერის წნევა კი იქ — 20-ჯერ ნაკლები.

გაცივით პასუხი აქ მიყვანილი კითხვებზე:

1. წესიერად იმუშავენ თუ არა მარსზე მიტანილი ქანქარანი საათი?

2. ისეთივე იქნება თუ არა მარსზე რევოლუციის ტყვიის ხვრეტი უნარი, როგორც დედამიწაზე?

3. განავითარებს თუ არა მარსზე ველოსიპედისტი ისეთივე სიჩქარეს, ისეთივე კუნთოვანი ძალის ბირობებში, როგორც დედამიწაზე?

4. შეიცვლება თუ არა იქ ველოსიპედისტის მოგზაურობის ბირობები მოსახვევებში?

5. ისეთივე საშინო იქნება თუ არა საავტომობილო კატასტროფა მარსზე, როგორც დედამიწაზე ავტომობილის იმავე სიჩქარის ბირობებში?

6. შეიცვლება თუ არა გემის ჩაშენება იმავე დატვირთვის დროს, როგორც დედამიწაზე?

7. შეიძლება თუ არა მარსზე ენერჯების მაგრად მოხარშვა?

(ქრნალიდან „ტენისის პირი-ზინტება“, პოდსოვოი)

# თავისუფალ დროს

## ყველიები წყალგარდნილებში

ტროპიკულ ქვეყნების მთიან რაიონებში კოკისპირული წვიმების დროს წყლის დონე მდინარეებში ზოგჯერ რამდენიმე მეტრით იწვეს. ღრიალით მიჰქვს წაკალი, თან მიაქვს ფოთლები, მუსტერეული ტოტები, ზოგჯერ კი ტოტებიანად ამოთხრილი ხეები. წარმოუდგენელია მცენარეების არსებობა ამ მძვინვარე მორევიში. მაგრამ მთის ჩქარ მდინარეებში არც ისე იშვიათად გვხვდება მცენარეულობა. ჩვეულებრივ ეს არის ხაესი ან წყალმცენარეები. ისინი კლდეებს მიემარებებიან სპეციალური — ფესვების მსგავსი ორგანოების — რიზოიდების საშუალებით. ამ მცენარეების დანახვა ხშირად შეიძლება ზომიერი სარტყლის მდინარეებშიც.


მათი ფესვები მკვიდრადა შეზრდილი კლდესთან, გვერდება—მიწნეხილია ქვებში. მცენარე რომ კლდეს მოაცილო, საჭიროა მისი მოფხეკა დანით.

როცა კოკისპირული წვიმები იწყება, წყალი იწყებს ღეროების მოკლეჯას, მაგრამ ფესვები განაგრძობენ ზრდას და წყლიდან შთანთქავენ ნახშირორგანას.



კოკისპირული წვიმების ბერიოდის დამთარების შემდეგ, წყლის დონე მდინარეში ეცემა, შიშვლდება კლდეები და ფესვებიდან იწყება

ტროპიკულ ქვეყნებში მთის ნაკადებში იზრდება არა მარტო ხაესები და წყალმცენარეები, არამედ უძაღლესი ყველიოვანი მცენარეებიც. ინდოეთისა და სამხრეთ-ამერიკის წყალგარდნილებში, მაგალითად გვხვდება, პოდოსტემონი და აპინავია პოდოსტემონების იჯახიდან.



# პასუხი ტაითხელოთა წერილოებზე და შეკითხვებზე

ტაბაგა (ქლშხორის რაიონი). მოსწავლე  
ი. გავაშვილი

ხაზური მოსწავლე ი. კაკიაშვილი

1. დედამიწის მაგნიტურ ველში გამტარის სათანადო მოძრაობის შედეგად ამ უკანასკნელში წარმოიშობება ინდუქციური დენი. ამ მოვლენის საფუძველზე აგებულია მაგნიტური ხელსაწყო—ინდუქციური ინალიზატორი, რომლის დახმარებით იზომება მაგნიტური დახრილობა.

2. დედამიწის მუდმივი მაგნიტური ველის წარმოშობით მიზეზი თანამედროვე მეცნიერებისათვის არ არის ცნობილი. ამ მიზეზის შესახებ არსებობს მხოლოდ საკმაოდ მრავალი ჰიპოთეზი.

3. მაგნიტური ქარიშხლის მიზეზი კარგად არის ცნობილი მეცნიერებისათვის.

მეცნიერული მეთოდებით დამტკიცებულია, რომ დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენები. დაახლოებით 100—500 კილომეტრის სიმაღლის ფარგლებში, იონიზებულია, ე. ი. ამ ფენებში შემაჯალი მოლეკულებისა და ატომების უმნიშვნელო ნაწილი იონებადაა გადაქცეული. იონი კი არის ნაწილაკი, რომელიც დამტკიცებულია ან დადებითად, ან უარყოფითად. ამიტომ მოლეკულა რომ იონი გახდეს, ამისათვის საჭიროა მას მოწყდეს ელემენტარული; მაშინ ელემენტარული მოლეკულა გახდება დადებითი იონი, ხოლო თვითონ ელემენტარული იქნება უარყოფითი იონი. შეიძლება ელემენტარული მიუერთდეს რომელიმე მოლეკულას, რის შედეგად ეს მოლეკულა უარყოფითი იონი გახდება. ელემენტარული მოწყვეტა მოლეკულიდან ხდება შიდად მოსულ ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით. ასეთივე გავლენის ახდენს მოლეკულაზე მზის ზედაპირიდან წამოსული ნაწილაკები, როგორცაა ელემენტარული, პროტონები, ატომები და სხვა. ვაშასადავ, მზე ყოველს მიზეზი იმისა, რომ ატმოსფეროს ზედა ფენები იონიზებულია. ამ იონიზებულ ფენების კომპლექსს იონოსფერო ეწოდება.

დედამიწის მუდმივი მაგნიტური ველი იონოსფეროში თითქმის ისეთივე სიმდიერისაა, როგორც დედამიწის ზედაპირზე. ამიტომ დედამიწის მაგნიტურ ველში იონოსფეროს ყოველი გადაადგილებისას ამ უკანასკნელში, ცხადია, წარმოიშობება ინდუქციური ელემენტარული დენები, რომლის გარშემო, თავის მხრივ, წარმოიქმნება მაგნიტური ველი. ეს უკანასკნელი დენების დედამიწის მუდმივი მაგნიტურ ველს, რის გამოც ის ცვალებადობას განიცდის.

მაგნიტური ქარიშხალი წარმოადგენს დედამიწის მაგნიტური ველის მძლავრ ცვალებადობას. ეს კი შესაძლებელია, თუ იონოსფეროში იონების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდება. ეს გაზარდა კი შესაძლებელია, თუ მზე იონოსფეროზე უფრო მძლავრად იმოქმედებს. ასეთ უარყოფით მოქმედებას იონოსფეროზე ახდენს მზის ის უბანი, საიდანაც დროადადრო ხდება ამოხტევა.

უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხილეთ პრფ. მ. ნოლის მიერ. პოპულარული შრომა: „იონოსფერო და რადიოგადაცემა“ და „კომპასი და დედამიწის მაგნიტური“.

პროფ. მ. ნოდია

გამოვეთ პასუხს თქვენ შეკითხვაზე „სსრ კავშირის ისტორიაში“ (მეცხრე კლასის სახელმძღვანელო) მოხსენებულ აღბანებულსა თანამედროვე აღბანებულების შესახებ:

ანტიკური პერიოდის ამირკავკასიის აღბანეთსა და ბალკანეთის თანამედროვე აღბანეთს შორის არაერთი გენეტიკური კავშირი არ არის. ამირკავკასიელი აღბანელები ეთნიკურად ინტერკავკასიური მოდემის ტომები იყვნენ (მათი შთამომავლებია თანამედროვე უდიდები). ბალკანელი აღბანელები ინდო-ევროპული მოდემის ტომის — ილირიელების შთამომავლებია. საერთო სახელოებმა „აღბანეთი“ წარმოადგინა ბერძნული სიტყვისაგან, რომელიც თარგმანით „მოთების ქვეყანას“ ნიშნავს, როგორაც ბერძენებმა და შემდეგ რომაელებმა უწოდეს აღმოსავლეთ-ამირკავკასიის ძველ მოსახლეობას, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულის-სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის მოსახლეობას.

## ს. კახათი (ზუზადის რ-ნი). მოსწავლე 3. ზედანიანი

საერთოველის ისტორიის სახელმძღვანელოში მოხსენებულ იანკარის (ანაკლის) ციხე მდებარეობდა შავი ზღვის მსაპირაზე, მდინარე ენგურის შესართავთან.

## ს. ანაბაძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## თბილისი. — 6. ძმებუაძე

დღეისათვის ყველაზე სწორ თეორიად მზის სისტემის წარმოშობის შესახებ ითვლება აკად. ი. ი. შპიდტის თეორია, რომელიც კარგად ხსნის პლანეტური სისტემის თითქმის ყველა კანონზომიერებას. ამ თეორიის მიხედვით პლანეტები (და, მასსადავ, დედამიწე) წარმოიშობილი არიან მეტეორული მატერიის შეგუქვების შედეგად. მეტეორები კი სრულიად ცივი სხეულებია. დედამიწე, როგორც პლანეტა, იარსებებს კიდევ მრავალი მილიარდი წლის განმავლობაში.

ჩვენს ვალქტიკაში მსგავსად მზისა სხვა ვარსკვლავების ირგვლივაც არსებობს პლანეტური სისტემები.

დაუსრულებელ სამყაროში პლანეტურ სისტემათა რიცხვი უსასრულოა.

## თ. რაჭაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

## ს. დილოგი. ჩ. მარტყოფლიძე

1. მიზიდულობის ძალა დამოკიდებულია სხეულის შორის მანძილზე, რაც უფრო შორდება დედამიწის სხეული, მით უფრო მცირე იქნება მიზიდულობის ძალა.

2. დედამიწა მოძრაობს მზის მიზიდულობის ძალის გავლენით. ეს ძალა იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს მზე. მზე კი იარსებებს უარესად დიდ ხანს. 10 მილიარდი წლის განმავლობაში მზე არც და შეიძლება შესაძლებელი.

3. დედამიწა თავის მოძრაობას არ შეწყვეტს. არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ვისკვლით ისეთ რამებზე, რომელთა განხორციელება შეუძლებელია.

## ა. ტორიკეაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი



# მეცნიერება და ტექნიკა

ს ა რ ი მ ე ბ ი

№ 3

მარტი

1965



გ ა რ ე კ ა ნ ხ ე: კოსმოსური ხომალდის „მთავარ-1“-ის გაფრენა (იხ. სტატია „პირველი რეისი მთავარზე“)

## დავით აგლაძე

საპატო სავრძოლო ამოცანა . . . . .	1
ტ. ს. მალეცვის მეთოდი . . . . .	6—7

## გაბრიელ ტალახაძე

საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევა . . . . .	7
კონსტანტინე ჩიქოვანი, ოთარ სიგუა	
ცენტრალური ნერვული სისტემის ქირურგია . . . . .	11

## ალექსანდრე ასლანიკაშვილი

საბჭოთა კარტოგრაფიის ახალი მიღწევები . . . . .	15
ივანე ნიკოზაძე	

შესანიშნავი მეცნიერი-ქირურგი (იუსტინე ივანეს-ძე ჯანელიძე)	20
არდალიონ ფურცხვანიძე	

კალენდარი (2000 წელი იულიუსის კალენდარის შემოღებიდან)	23
ემელიანე კეშელავა	

შვიდი რეისი ანტარქტიკაში . . . . .	27
პირველი რეისი მთავარზე:	

ვ. ნ. ხომენკო — რატომ მიფერინავთ ჩვენ მთავარზე . 31

ტ. ა. აკოფიანი — ადამიანი კოსმოსური გაფრენის დროს 33

თ. შამედოვი — მსუბუქი, მაგრამ მტკიცე . . . . . 36

პლანეტოლოგიის ხომალდის „მთავარ-1“-ის სტემა . 37

## ანდრო ლეკიაშვილი

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენა . . . . .	38
ელადიმერ ასათიანი	

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი (აკადემიკოსი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ენგელბარტი) . . . . .	41
--	----

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები: სატვირთო მოტოციკლი (გვ. 19), საკავშირო სამუშენებლო გამოფენაზე (22).	
---	--

მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი . . . . .	44
--	----

თავისუფალ დროს . . . . .	47
--------------------------	----

პასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე . . . . .	48
--	----

რედაქტორი — პროფესორი რ. ღვალდი

სარედაქციო კომლენტი:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაწილი ვეერი მ. კუბარაძე, პროფესორი მ. კაპაბაძე, დოცენტი მ. შირინაშვილი, ინჟინერი კ. გურბანიძე, ინჟინერი შ. ჯაბაშვილი, მ. წულუაბიძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხთელის ქ. №22. ტელფ. № 8-46-49

## Ежемесячный научно-популярный журнал «Медниереба да техника» (на грузинском языке)

ქალაქის ზომა 60x92, 3 საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი. ხელმოწერილი დასაბეჭდად 11.3.55 წ., უფ. 01575, შეჯ. № 225, ტირაჟი 7000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. А. Церетели № 3/5.



6.16/29

3.20/35



33.10 5 336.